ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №71 (1701) 22-28 დეკემბერი. 1998წ. ● ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აპირებს თუ არა გიორგი გამსახურდია მამამისის იდეების განხორციელებას?



ზვიად გამსახურდიას ვაჟის, გიორგი გამსახურდიას პოლიციაში მუშაობის დაწყების შესახებ გავრცელებულმა ხმებმა საზოგადოებაში ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია, ბევრს „სუკის“ მიერ „დაყრილი ჭორები“ ეგონა და ცხელ-ცხელი ამბის დაჯერებას არ აპირებდა; სხვას, ვინც ასე თუ ისე ირწმუნა „ცხელი“ ამბის სისწორე, მოულოდნელობისაგან განსჯის უნარიც კი წაერთვა, ზვიადის ვაჟი და პოლიცია (?!) — ფიქრობდნენ თავგზააბნეულნი. როგორც ჩანს, თვით მანანა არჩვაძესაც გაუჭირდა ამის დაჯერება; ყოველ შემთხვევაში, მისმა უარყოფითმა პასუხმა ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე, შედის თუ არა თქვენი ვაჟი პოლიციაშიო, ამგვარი შთაბეჭდილება დატოვა. იმის გაფიქრება, რომ ქალბატონი მანანა იმ დღეს ცრუობდა, ჩრდილს აყენებს ზვიად გამსახურდიას „პოლიტიკურ მემკვიდრეს“;

„ჭირმა“ მალა თავი, მალა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ბოლოს მაინც ვერ დამალა; გიორგი გამსახურდია პოლიციაში შევიდა! როგორ აპირებს იქ მამის მიზნების განხორციელებას, ეს ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია და ძალზე საინტერესოც!

კიდევ უფრო საინტერესოა, როგორ ხსნის და ამართლებს მეგობარ-ახლობლებში თავის ამ ნაბიჯს. გვესაუბრება გიორგი გამსახურდიას ბავშვობის მეგობარი ვანო ლორთქიფანიძე.

გაგრძელება მე-2 გვ.



## ჩვენო ძვირფასო მუხრანო, გაჩუმებული ნუ ხარო!



მესამე გვერდი

## ოპოზიციის ლიდერები დიდი ღალატისათვის - 22 დეკემბრის შავი დილისათვის ემზადებოდნენ...

### თბილისი, 1991 წლის 22 დეკემბრის ტრაგიკული დილა



მეორე გვერდი

ალექსანდრე აბდალაძე

## სომხეთ-საქართველოს „უპრეცედენტო“ ომის კვალდაკვალ

მესამე გვერდი

## უპირველესად „პატრონისა სამსახური“ და ჯგუფური ინტერესები

*პასუხად პაპ. გ. მელიქიშვილის თავგადაკლულ მომხრეებს*

მეექვსე გვერდი

### ხმა ხალხიდან

## კმაყოფილია ის, ვისაც შავი მაფიის წილში აქვს თითი ჩაყოფილი



მესამე გვერდი

## თურქ-სელჩუკ-ოღუზები და საქართველო





მერვე გვერდი

# აპირებს თუ არა გიორგი გამსახურდია მამამისის იდეების განხორციელებას?

*პირველი გვერდიდან*

— **ვანიკო, გიორგი შენი ბავშვობის მეგობარია? როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

— ჩვენ პირველი კლასიდან ერთად ვსწავლობდით, მაგრამ



*სურათზე მარცხნიდან: ვანო ლორთქიფანიძე, გიორგი და ცოტნე გამსახურდიები*

სკოლა ერთად არ დაგვიმთავრებია. ცნობილი მოვლენების გამო, გამსახურდიები ჩეჩნეთში წავიდნენ საცხოვრებლად. თუმცა, ჩვენ ურთიერთობა არ გაგვიწყვეტია, ხშირად ვსაუბრობდით ტელეფონით, მათი საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი ჩვენი მისვლა-მოსვლა ერთმანეთთან აღდგა, დღესაც ახლო მეგობრები ვართ.

— **ბუნებრივია, ახლო მეგობარს აუცილებლად გაუმხელდა გიორგი თავის გადაწყვეტილებას! შენთან თუ ჰქონდა მას ამ საკითხზე საუბარი?**

— დიახ, ჰქონდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. გიორგიმ მითხრა, პოლიციაში ვიწყებ მუშაობას და შენ როგორ ამართლებ ამ ნაბიჯსო.

— **მას ალბათ თქვენი აზრი აინტერესებდა. რა ურჩიეთ?**

— არ გირჩევ-მეთქი ამ ნაბიჯის გადადგმას.

— **რატომ?**

— მე ვთვლიდი, რომ ზვიადის ვაჟს და კონსტანტინეს შვილიშვილს პოლიციაში სამუშაოდ დასაკარგი დრო არა აქვს. მე ამით პოლიციას შეურაცხყოფას არ ვაყენებ, უბრალოდ, ჩემს მეგობარს ვაგრძნობინე, მას სხვა მიმართულებით უნდა წარემართა თავისი ცხოვრება, სხვაგვარად უნდა ეშენებინა მისი გასაკეთებელი საქმის საფუძველი.

— **რომელი საქმის საფუძველზე საუბრობთ, დააკონკრეტეთ?**

— მას რიგითი მოქალაქის ცხოვრებით არ უნდა ეცხოვრა და მერე დრო უჩვენებდა, როგორ წარემართა თავისი ცხოვრება.

— **როგორ გგონიათ, გიორგის დედასთან თუ ჰქონდა ამ საკითხზე საუბარი?**

— არ ვიცი, ქალბატონმა მანანამ იცოდა თუ არა. ისე კი გიორგი ჩეჩნეთში შს სამინისტროში მუშაობდა თავისი პროფესიის შესაბამისად. მას მოსკოვში იურიდიული ფაკულტეტი აქვს დამთავრებული.

— **თავად გიორგი როგორ ხსნის ასეთ მოულოდნელ ნაბიჯს?**

— როგორც ის ამბობს, პოლიციაში შესვლა განპირობებულია იმით, რომ არ უნდა დაელოდოს მოვლენების ნელ განვითარებას. გიორგიმ თქვა, პოლიციაში უფრო გავიკაჟებ ნერვებს, მეტ გამოცდილებას შევიძენ და „ჩემიანებს" დავეხმარები, რითაც შევძლებო.

— **ჩეჩნეთში რომ მუშაობდა პოლიციაში, ეს არ შეიძლება თბილისში პოლიციაში სამსახურის დაწყებასთან გათანაბრ-გაიგივდეს. როგორ შეხვდნენ ამას თუ იცით, ქალბატონი მანანა და ზვიად გამსახურდიას მომხრეები?**

— მანანა არჩვაძემ რამდენიმე დღეა, რაც ეს ამბავი გაიგო. მე ვფიქრობ, უარყოფითი ემოცია ექნებოდა, რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას მომხრეებს, ზოგი სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს ამას, ზოგიც პირიქით...

— **გიორგი თურმე სოსო ალავიძესთან იჯდა „მერსედესში", როცა დედამისი მიტინგს მართავდა...**

— მე არ ვიცი სად იჯდა, სად არა, მაგრამ წინა დღეს კი მითხრა, კიდევ რაიმე საშინელება რომ არ მოხდეს, იმიტომ მივდივარო. იგი იქ იდგა ბოლო მომენტამდე და ანეიტრალებდა სიტუაციას, როგორც შეეძლო. ჩემი აზრით, ეს არის დროებითი დასვენების მომენტი მის დაძაბულ ცხოვრებაში.

— **სად არის გიორგის უფროსი ძმა, ცოტნე?**

— ბათუმში. როგორც მე ვიცი, ვიცე-მერის თანამდებობაზე.

— **ძმებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ?**

— რა თქმა უნდა.

— **თუკი მუშაობის დაწყება უნდოდა, მაინცდამაინც პოლიცია რატომ აირჩია?**

— ადვოკატურაში შეიძლება ისეთი საქმე შეხვდეს, სადაც დამნაშავის დაცვა მოუწევს, „სუკი" ხომ თავისთავად გამორიცხულია, საბაჟოზე და საგადასახადო ინსპექციაში მუშაობას არ დაიწყებდა, დარჩა პოლიცია... და პოლიციაც ამიტომ აირჩია. იგი თავის მოვალეობად თვლის საქართველო გაწმინდოს ბანდიტებისაგან, ყაჩაღებისაგან და საერთოდ, ცუდი ადამიანებისგან.

— **თქვენ, როგორც მეგობარი, როგორ შეფასებას აძლევთ მის ასეთ ნაბიჯს?**

— მე შეფასებისაგან თავს ვიკავებ.

— **აპირებს თუ არა გიორგი მამამისის მიზნების განხორციელებას?**

— რა თქმა უნდა.

ესაუბრა
**კობა კაპანაძე**

**P.S.** შეფასებისგან ჩვენც თავს ვიკავებთ. ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი ნება გააჩნია და იგი თავად აგებს პასუხს თავისი საქციელის სისწორეზე. დიდი ადამიანები საკუთარ ნებას ერის ხმას და სურვილს უმორჩილებენ. ჩვენ მხოლოდ ერთსღა დავამატებთ და გიორგის შევახსენებთ ერთ ცნობილ გამონათქვამს ასევე ცნობილი მწერლის ცნობილი ნაწარმოებიდან, რომელიც აგრერიგად ეხმაურება მის დღევანდელ ნაბიჯს: „არ დაივიწყო, ვისი გორისა ხარ!"

## ოპოზიციის ლიდერები დიდი ღალატისათვის - 22 დეკემბრის შავი დილისათვის ემზადებოდნენ...

### თბილისი. 1991 წლის 22 დეკემბრის ტრაგიკული დილა (თვითმხილველის მოგონებები)

ეგოცენტრიზმით დაავადებულებს, ყოფილ ე.წ. ოპოზიციონერებს, ვერ ან არ სურთ გაგება იმისა, რომ ისინი ხალხის თვალში ოპოზიციად კი არა, არამედ ვისაც თითქოსდა ებრძვიან, იმის წისქვილზე წყლის დამსხმელ მონებად რომ აღიქმებიან. ამიტომ, მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენი ხალხის მეხსიერება უფრო ხანგრძლივია და ობიექტური, ვიდრე თქვენი პარტიებისა და ნუ გეწყინებათ, თუ თქვენს გამოჩენას ტელეეკრანზე იქნება ეს თუ სხვაგან, ისეთივე ზიზღით და შიშით შევყურებთ დღესაც, როგორც რვა წლის წინ.

თუ 8 წლის წინ, ე.წ. შეურიგებელი ოპოზიციის მიერ, ედ. შევარდნაძესთან ან მასთან დაახლოების ნებისმიერი მცდელობა მათ მხრიდან სამშობლოს ღალატად ინათლებოდა და ყოველივე ამის ზვიად გამსახურდიაზე გადაბრალება, შესაბამისად, საკუთარი იმიჯის ამაღლებას და ამ უკანასკნელის ხალხის თვალში დაკნინებას ისახავდა მიზნად, რაც ასევე მათი პოლიტიკის ქვაკუთხედს შეადგენდა, — დღეს, როცა ყველაფერი გაირკვა, ნათელი გახდა თუ ვინ ვინ არის. როგორც მოველოდით, სირცხვილით არავინ დამწვარა და კვლავ ხმებს ითხოვენ მათ მიერ გაუბედურებული ხალხისაგან. არა, ბატონებო! ჩვენ ვიცით, რომ თქვენი პოლიტიკა ბინძურია და იგი სინდის-ნამუსს არ ითვალისწინებს. ჩვენი იმედი ნუ გექნებათ! მით უმეტეს, რომ ერს თავის საგანძურში ჯერ არ გამოლევია ღირსეული ალტერნატივა, — პიროვნებები, რომლებიც ღირსეულად გააგრძელებენ დიდი ზვიადის მიერ დაწყებულ დიდ ეროვნულ საქმეს და ბოლომდე მიიყვანენ მას.

ფაქტიურად, ეროვნულ მთავრობას ოპოზიცია, როგორც ასეთი, არც ყოლია. მას დაუპირისპირდა გარეშე ძალის მიერ ხელით მართული შეიარაღებული ბანდიტური მცირერიცხოვანი ჯგუფები, პოლიტიკური პარტიების ქუდით და შემდეგ ეს ჯგუფები, ქუჩის ოპოზიციად მოინათლა. ამიტომაც უწოდებენ მათ ეგრეთწოდებულს რომლის ფუნქციას ეროვნული მთავრობის საწინააღმდეგო პროვოკაციების მოწყობა და ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევა შეადგენდა. ამდენად, ამ ჯგუფების მიერ მოწყობილი ყოველი აქცია, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში სისხლითა და მსხვერპლით მთავრდებოდა, და ყველა ეს აქცია რატომღაც მხოლოდ რუსთაველის გამზირზე იმართებოდა, რა თქმა უნდა, არსობრივად მოიცავდა მძიმე სახელმწიფოებრივ და სისხლის სამართლის უმძიმეს დანაშაულობებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს ოპოზიციად წოდებული შეიარაღებული დაჯგუფებები, საპარლამენტო ოპოზიციაში მოკალათებული ბევრი ცნობილი პიროვნებების პირადი სიმპათიებითა და აშკარა მხარდაჭერით სარგებლობდნენ. მათ პირწმინდად დაივიწყეს, თუ რისთვის აირჩია ისინი ხალხმა დეპუტატებად და ამ შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფებების ანტიკონსტიტუციური-კანონსაწინააღმდეგო დანაშაულებრივ ქმედობათა ციკლურ ოპოზიციად წარმოჩენის



მცდელობამ, თავად აქცია ისინი ყველა დანაშაულებრივი აქტების აქტიურ მონაწილედ.

მე არასოდეს მიგვრძნია თავი დამცირებულად იმის გამო, რომ სულიერად მაღალი და ნიჭით გამორჩეული ძლიერი პიროვნების წინაშე განვიცდიდი არასრულფასოვნების კომპლექსს. ასეთ პიროვნებად კი ხშირად მაღალი მეცნიერული წოდებისა და დიდი თანამდებობის პირი მიმაჩნდა ყოველთვის, მაგრამ ცხოვრებამ და გამოცდილებამ დამანახვა, რომ ეს მთლად ასე არ ყოფილა.

თუ ადამიანის ტვინში ხვეულების სიმრავლე ბავშვობიდანვე საკუთარ თავზე მუშაობითა და დაუღალავი შრომისადმი ჩვევის გამომუშავებით მიიღწევა, ჭკუას, გონიერებას და კაცობას, თუ ის ღმერთისაგან არ გაქვს მომადლებული, უმაღლესებში მახსოვრობის გამდიდრება-ვარჯიშით ვერ მოიპოვებ და ცოდნასავით ვერ შეიძენ თურმე. სწორედ ასეთ კაცზე იტყვიან სამეგრელოში: კი, ნასწავლია, მაგრამ რად გინდა, უგნურია და მისი ჭკუის ამყოლი კაცი ჭიშკრამდე ვერ მიაღწევსო.

თქვენ რას იტყვით, ჩემო კეთილო მკითხველო, აბა, გენიოსად ხომ არ მივიჩნევ იმ კაცს, რომელსაც თითქოს ცენზი და განათლება არ აკლია, მაგრამ მისმა ჭკუანაკლებობამ და უცნაურობამ, ერთ დროს არც ისე იოლად ხელწამოსაკრავი პიროვნება პირწმინდად გამძარცვა და სიბერისათვის შრომით გამწირა და ლუმპენად მაქცია. და ეს ყველაფერი ეს მის უცნაურ თავში აკვიატებული „ალბანიზაციიდან" ჩემი დახსნისათვის ჩაუდენია თურმე და რატომ ამას ვერ ხვდებიო, ვალს აქეთ მადებს უნამუსოდ.

1991 წლის მიწურულისათვის, იზა-ირინა-ლუიზას მაგვართა თავგამოდებულ ე. წ. ოპოზიციონერთა გარემოცვით დაიმედებულ თ. სიგუას, ბოლოს და ბოლოს, ეძლევა საშუალება განაცხადოს, შეპირებული ინავის ოქმის საიდუმლოებისათვის ფარდის ახდის მოლოდინში რესპუბლიკის მოედანზე თავმოყრილ ოპოზიციონერთა და მათ თანამგრძნობთა წინაშე, რომ „მთელი ხალხი ჩვენთან არისო".

ბრძენს უთქვამს: „ბედნიერია ერი, რომელსაც ჭკვიანი დედები ჰყავსო", მაგრამ არავის უთქვამს, თუ რამდენად შეიძლება უბედური იყოს ის, როცა ამ უკანასკნელთა უგუნურობის მსხვერპლი ხდება. სწორედ ასეთი უგუნურობისა და დედაკაცის მოვალეობა დავიწყებულთა ორგიის მოწმე გავხდი იმ საღამოს, როცა ხანგრძლივი მივლინებიდან, რაჭიდან ჩამოვედი გვიან საღამოს, სადაც დედაქალაქიდან შიშის მომგვრელი ამბები მოდიოდა. ოჯახის მაგიერ რუსთაველის გამზირს მივაშურე, რომელიც ბოლო ჟამს აღვირახსნილი ხულიგნობისა და უკანონობის სათარეშო ადგილად ექცია ე. წ. შეურიგებელ-შეიარაღებულ ოპოზიციას.

სანამ 8 წლის წინანდელ ზოგიერთ გულისამრევ სურათებს აღვადგენ თქვენს მეხსიერებაში, ცოტა იმის შესახებ, თუ რა წაგვართვა 1991-92 წწ. 22 დეკემბრისა და 6 იანვრის ტრაგედიის მოწყობით მტერმა, უგუნურ და იოლად გამოსაყენებელ ე. წ. ოპოზიციაზე დაყრდნობით.

როგორც ვიცით, ზვიად გამსახურდიას და მის ხელისუფლებას საბჭოთა სისტემამ მემკვიდრეობით არ არსებული ეკონომიკა და რაც მთავარია, ახალი, დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად აბსოლუტურად გამოუსადეგარი და უვარგისი მენტალური აზროვნების მქონე ნომენკლატურული კადრები დაუტოვა. მათი მარიონეტულად ჩამოყალიბებული აზროვნება დიდ საბჭოთა კავშირს საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევდა და მისდამი ერთგულებას ანგარებით თუ გამოხატავდა, თორემ რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდოდა თავში მსოფლიოს თითქმის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული ტერიტორიის, მასში გაერთიანებული სახელმწიფოების საკუთარ სამშობლოდ აღიარება. ამიტომაც იყვნენ დიდი საბჭოთა კავშირის ხალხები იმთავითვე განწირებული

*გაგრძელება მე-5 გვ.*

## ხმა ხალხიდან

## „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?"

საქართველოს დალხინებული ცხოვრება ალბათ არასოდეს ჰქონია. ქართველი ერი ბრძოლით ინარჩუნებდა ტერიტორიულ მთლიანობას, სულით არასოდეს ეცემოდა. ბრძოლის დროს იბრძოდა, შრომის დროს შრომობდა, ლხენის დროს ილხენდა. დღეს?.. რა მოგვდის, რა გვემართება? რატომ დავკარგეთ მომავლის იმედი? რატომ გახშირდა თვითმკვლელობები, განსაკუთრებით ახალგაზრდებში? აღარ შეგვიძლია ჩვენი დაჩოქებული ქვეყნის ატანა? ბევრი წავიდა საქართველოდან სხვა და სხვა ქვეყნებში. რა ექნათ, მათ სამშობლოში მათხოვრული ცხოვრება მობეზრდათ. მაგრამ ყველამ რომ გასაქცევი ვეძებოთ, ვის დავუტოვოთ ჩვენი სამშობლო? სომხებს? ქურთებს? თათრებს? რომლებიც კატასტროფულად მრავლდებიან. ქართველი ერი სასოწარკვეთაშია. მიგვიყვანეს იმ ზომამდე, რომ მხოლოდ კუჭზე ვიფიქროთ. ჩვენ, უფროსები, ავიტანთ შიმშილს, მაგრამ ბავშვებს რა ვუთხრათ, პურს რომ მოგვთხოვენ? ვმუშაობთ, მაგრამ ჩვენი შრომის მათხოვრულ ანაზღაურებასაც არ გვაძლევენ. ნეტა შეიძლებოდეს ჰაერით გამოიკვებო, თუნდაც დაბინძურებული ჰაერით. ადამსა და ევას რომ არ შეეცოდათ, რამდენი პრობლემა გვექნებოდა მოხსნილი?.. მაგრამ ცოდვის შვილები ვართ და უნდა ვზიდოთ ეს ცოდვა. ყველა ნორმალური ადამიანი გრძნობს რა ვითარებაა დღეს ჩვენს ქვეყანაში. ლარის დაცემამ მთლად ბოლო მოგვიღო. ყველაფერზე 100%-ით გაიზარდა ფასები. პური არ გავაძვირეთო — თავს იწონებს ჩვენი მთავრობა. იცით თუ არა ბატონო ხელისუფალნო, რომ მოსახლეობის უმრავლესობას ის 45 თეთრიც სასესხებელი აქვს, ხშირად კი გამსესხებელსაც ველარ პოულობს. აი, ამას მიჰყავს თვითმკვლელობამდე — მიუტევებელ ცოდვამდე ადამიანი. ვინ უნდა აგოს პასუხი იმაზე, რამაც აქამდე მიიყვანა ადამიანი.

ამ დროს კი ერთეულები იმაზე ფიქრობენ, რომელ რესტორანში ივახშმონ ან ისადილონ. რომელი ფუფუნების საგანი დარჩათ შესაძენი.

ნერვებდაწყვეტილი, ნახევრადმშიერი, არსებობისათვის მებრძოლი ათასეულები კი სხედან ჩაბნელებულ სახლებში და ფიქრობენ.. მეტი არაფერი დარჩენია საოცნებო, — სინათლე როდესაც გამოჩნდება, ცისფერ ეკრანს მიაჩერდება, იქნებ სანუგეშო რამე წამოსცდეთო. ხშირად ატყუებენ, მაგრამ მაინც „წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო" — უთქვამთ და ხავსს — შეუსრულებელ დაპირებებს ეჭიდება, ახალი ფინანსთა მინისტრის იმედი აქვს, რომელიც ერთი თვის ხელფასის და პენსიის დარიგებას ჰპირდება საახალწლოდ. რას არ შეიძენს საცოდავი ადამიანი ახალი წლისთვის...

ქართველი კაცისთვის ძნელი ასატანია დაცინვა. როგორ შეიძლება არ გაგაგიჟოს ვაჟა ლორთქიფანიძის სიტყვებმა — „საქართველო ეკონომიურ კრიზისს არ განიცდისო". სიმწრით ცრემლები წამომცვივდა. როგორ, საჯაროდ დაგვცინით ბატონო ვაჟა? ნუთუ ოდნავ მაინც არ გქეჯნით სინდისი ამ სიტყვების წარმოთქმისას? თქვენ რომ არ გიჭირთ და ეკონომიურ სიდუხჭირეს არ განიცდით, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველობა დალხინებული ცხოვრებით ცხოვრობს?. ძალიან სცდებით. გაიარეთ ქალაქში, ნახეთ რამდენი გამათხოვრებული ქართველია, ტომრებ აკიდებული ქალები, რომლებსაც ქალის სახე დაუკარგავთ. ნუთუ გგონიათ, რომ მოსწონთ ასეთი ცხოვრება. ქალი-ქალია ბატონო, მუდამ უნდა რომ ლამაზი და სათნო იყოს. მაგრამ სახლში მშიერი შვილები ჰყავს და მათი გულისთვის ყველაფერს კადრულობს. ეკონომიკური კრიზისი არ არისო — აბა რა ჰქვია ამას ბატონო ვაჟა? თუ მთელი ქართველობა უნდა მათხოვრობდეს? ჩაბრძანდით მეტროში და თვალებში ჩახედეთ ბავშვს წკრიალა ხმით ღმერთს შეწეობას რომ სთხოვს. ნუთუ გგონიათ, სიამოვნებს მთელი დღის განმავლობაში სიმღერა ან კიდევ იმ ბავშვებს, რომლებიც ჩანისლული თვალებით მოწყალებას ითხოვენ. მათ ხომ ბავშვობა წართმეული აქვთ. ამდენი ლტოლვილი, თავის ქვეყანაში რომ ლტოლვილებად ქცეულან. როდემდე შესძლებენ დუმილს?! როდემდე გაუძლებენ ამ დუხჭირ ცხოვრებას. ვერა, ბატონო, ვერ მოატყუებთ ამდენი დაპირებებით „ხალხი ბრძენიაო", — უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. მართალია, დღეს ერთადერთ საზრუნავს არსებობისათვის ბრძოლა წარმოადგენს, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ.

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს". მჯერა, რომ გამოფხიზლდება ქართველობა, ერთმანეთს ჩაეხუტება და მაშინ ვაი მათ, ვინც დააძინა...

**მარიამ კაჭილაშვილი**

# ჩვენო ძვირფასო მუხრანო, გაჩუმებული ნუ ხარ!



„ვიტყვი რამეს და ვაი,
გავჩუმდი და უი,
ვინც ლაპარაკობს, ის ხომ
წაღმა-უკუღმა ტყუის,
მაგრამ ვინც ჩუმადაა,
მით უარესად ტყუის!"

როგორ ახერხებს ამ სტრიქონების ავტორი, რომ ჩუმად იყოს, ან სად არის ბატონი აკაკი ბაქრაძე, რატომ დუმან ისინი...

ეს ამბავი ძლიერ მაწუხებდა. კერძო საუბრებში თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დღეებში, სადაც საკრებულოს დეპუტატობაზე ვიყრიდი კენჭს, მუდმივად ვამახვილებდი ყურადღებას ამ თემაზე.

საქვეყნოდ აღიარებულ ჭეშმარიტ მამულიშვილებს განა აქვთ უფლება ჩუმად იყვნენ, როცა ხალხი და სამშობლო ქვეყანა არნახულ განსაცდელშია და შველა ჭირდება?

„გაჩუმებულა მუხრანი,
ვერ იტოტება მუხნარი,
გემუდარებით მუხრანო,
გულჩათხრობილი ნუ ხარო,
თქვენი დუმილით დიდ საქმეს
ძირი არ გამოუთხაროთ!"

**ბატონო აკაკი!**
**ბატონო მუხრან!**
**გამოჩნდით, ნუ აგვიანებთ!**
**დუმილი რეკავს!**

*პატივისცემით*
*კუკური ხოფერია.*



ალექსანდრე აბდალაძე

## სომხეთ-საქართველოს „უპრეცედენტო" ომის კვალდაკვალ

80 წლის წინათ, 1918 წ. დეკემბერში სომეხთა გარკვეულმა წრეებმა შეძლეს თითქმის მთელი სომეხი ხალხის მომართვა საქართველოს წინააღმდეგ და ომის გამოუცხადებლად სომხური ჯარი საქართველოს შემოუსიეს. ასე გააჩაღეს დაშნაკებმა სომხეთ-საქართველოს ომი. ეს იყო შავი უმადურება. როგორც ცნობილია, დღეისათვის საქართველოში დაახლოებით ნახევარი მილიონი სომეხი ცხოვრობს. თითქმის ასე იყო იმ დროსაც. დაშნაკებმა საქართველოში მცხოვრები სომხების, კერძოდ, თბილისელი სომხების დიდი ნაწილის გადაბირებაც მოახერხეს და მათზე დამყარებითაც ცდილობდნენ ლამის ნახევარი საქართველოს (ქვემო ქართლის, თბილისის, სამცხე-ჯავახეთის, ბათუმის და სხვათა) დაპყრობას.

1994 წელს გამოცემულ ბატონ ფარნაოზ ლომაშვილის „საქართველოს ისტორიაში", რომელიც XI კლასის სახელმძღვანელოს წარმოადგენს, სომხეთ-საქართველოს 1918 წ. დეკემბრის ომთან დაკავშირებით ნათქვამია: „ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ჩამოყალიბებისთანავე საქართველომ წამოაყენა წინადადება მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლების კონფერენციის მოწვევის შესახებ. ამ კონფერენციას სამ მეზობელ ქვეყანას შორის სადავო ტერიტორიული საკითხები უნდა გადაეწყვიტა. სომხეთის უარყოფითი პოზიციის გამო ეს კონფერენცია ჩაიშლა.

სწორედ ეს ტერიტორიები იქცა სომხეთ-საქართველოს უპრეცედენტო ომის მიზეზად. 1918 წლის 8 დეკემბერს სომხეთის ჯარები ომის გამოუცხადებლად ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში (ჯავახეთსა და ქვემო ქართლში; ეს და სხვა უძველესი ქართული მიწები ყოფილა თურმე სადავო ტერიტორიები — ა.ა.) შეიჭრნენ. საქართველოს ჯარებმა ისინი უკუაქციეს" (გვ.30).

1998 წ. გამოცემულ ბატონ რევაზ გრძელიძის წიგნში — „საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924)", რომელიც განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების სახელმძღვანელოდ, ვკითხულობთ: „1918 წლის ბოლოს ქვეყანაში არსებულ დაძაბულ საშინაო ვითარებას საგარეო ფაქტორის გართულებაც დაერთო. საქართველოსა და სომხეთს შორის სადავო ტერიტორიებთან დაკავშირებული დაძაბული ურთიერთობა ომში გადაიზარდა, რის პრეცედენტიც ისტორიას არ ახსოვს. სომხეთის მთავრობამ საქართველოს ულტიმატუმი წარუდგინა, რომლითაც ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებიდან ქართული ჯარის გაყვანა მოსთხოვა. საომარი ოპერაციები ლორეში, სანაინის რაიონში დაიწყო და დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდა. სომხეთის ჯარის ნაწილებმა 9 დეკემბერს დაიწყეს საქართველოს სასაზღვრო პოსტებზე თავდასხმა, საქართველოს მთავრობამ მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ, 13 დეკემბერს გასცა ბრძანება თავდამსხმელთა წინააღმდეგ ზომების მისაღებად (საქართველოს მენშევიკურ ხელისუფლებას მარქსისტული იდეების ბედი უფრო აწუხებდა, ვიდრე ჩვენი ქვეყნის საზღვრებისა — ა.ა.). დეკემბრის მეორე ნახევარში დაიწყო ინტენსიური საომარი ოპერაციები, რომლებიც თვის ბოლოს ინგლის-საფრანგეთის აქტიური ჩარევის შედეგად შეჩერებულ იქნა და მეომარ მხარეთა ჯარები ომამდელ საწყის პოზიციებს დაუბრუნდნენ" (გვ. 152-153).

1918 წლამდე ისტორიას ვითომ მართლა არ ახსოვს სომხეთ-საქართველოს ომი? სინამდვილეში ისტორიაში ამგვარი ომები ცნობილია და ბატონებს ფ. ლომაშვილსა და რ. გრძელიძეს, ცხადია, კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდათ, როცა ადრინდელი ომების დავიწყება მოინადინეს. მაგრამ სომეხთა გარკვეული, სამწუხაროდ, მრავალრიცხოვანი წრეები დღესაც გვედავებიან ჩვენი წინაპრების სისხლით გაჟღენთილ მიწა-წყალს, კერძოდ, ჯავახეთს და ასეთ ვითარებაში წარსულის დავიწყებას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია ჩვენი მრავალტანჯული, დღეს მიწასთან გასწორებული ქვეყნისათვის საერთოდ და, სახელდობრ, ახალგაზრდობის აღზრდის საქმისათვის.

XI საუკუნეში სომხეთში დაეცა სომხური სახელმწიფოებრიობა და სომხები სხვადასხვა ქვეყნებში გაიფანტნენ. ამის შემდეგ სომხეთში სომხური სახელმწიფო მხოლოდ 1918 წელს აღდგა და მას სათავეში დაშნაკები ჩაუდგნენ. ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე მათ თბილისის დასაკუთრებაც კი მოინდომეს და საქართველოს წინააღმდეგ სამარცხვინო ომიც გააჩაღეს. მაგრამ ასე ჩვენ, ქართველები მივიჩნევთ, თორემ სომხეთში ამაყობენ 1918 წ. დეკემბრის სომხეთ-საქართველოს ომით და მასში სომხეთის „გამარჯვებით", ჩვენგან განსხვავებით, დიდ ყურადღებას უთმობენ ამ ომთან დაკავშირებული საკითხების შესწავლასაც. დღევანდელ საქართველოში, სამწუხაროდ, ისეთი გაუკითხაობაა, არაქართული სულისკვეთება იმდენად მომძლავრებულია და შიმშილობაც ისე მოდებულია, რომ ვილას აინტერესებს სომხეთ-საქართველოს ომები, ერთი-ორი კაცის გარდა. სომხეთში კი, როგორც ამ ცოტა ხნის წინ გაზეთ „რეზონანსში" ამოვიკითხე, გარკვეული წრეები

*გაგრძელება მე-9 გვ.*

ხმა ხალხიდან

## კმაყოფილია ის, ვისაც შავი მაფიის წილში აქვს თითი ჩაყოფილი

განვლილმა სამოცდაათმა წელმა ხალხის გულში წარსულის ნოსტალგია და მომავლის უიმედობა დატოვა. ნუ ვიქნებით ზედმეტად თავდაჯერებულები. ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტია კმაყოფილი. ვინ არიან ესენი? ისინი, ვისაც ქვეყნის მართვის სადავეები აქვთ ხელში ჩაგდებული და ისინი, ვისაც შავი თუ თეთრი მაფიის წილში აქვთ ხელი ჩაყოფილი. საქართველოს მოსახლეობა ე. წ. „დემოკრატიული საქართველოს" დღევანდელ ხელისუფლებას, რბილად რომ ვთქვათ, უნდობლობას უცხადებს. ღმერთმა ნუ ქნას, ისტორიამ ჩარხი უკუღმა დაატრიალოს, თუმცა ჩვენი ვაიპოლიტიკოსების გადამკიდე ესეც ადვილი შესაძლებელია. ხალხის ხსოვნა ასე ადვილად არ კვდება. ვინ დაივიწყებს 20-იანი წლების დევიზად გამხდარ სიტყვებს — „დავახრჩობ დედას, დავახრჩობ მამას, რევოლუცია თუ მომთხოვს ამას", — ანდა, ჩვენი ისტორიის სისხლიან დოსიეს, სადაც ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებზე აღიმართა სისხლიანი მახვილი, რასაც მოჰყვა 37-იანი წლების რეპრესიები. შეუძლებელია დაივიწყო ჩვენი ქვეყნის შვილების იძულებითი შრომა საკონცენტრაციო ბანაკებში „ყამირი მიწების ათვისების" საქმეში, სადაც ქართული მოსახლეობის მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი „საბჭოთა კავშირის" ქვეყნებიდან ყველაზე დიდი იყო — რა თქმა უნდა, ძია სტალინის შემწეობით. ანდა, სულ ახლო წარსულის გამონათქვამი გავიხსენოთ, რუსეთის პრესაში რომ დომინირებდა „რუსი კაცის ძვალი ათჯერ მეტი ღირს, ვიდრე ათი ცოცხალი ქართველიო". მერე ვინ ამბობდა ამას? ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნება — ვიტალი კოროტიჩი.



ვინ ჩამოთვლის ხალხის გონებაში დალექილ უამრავ შემაზრზენ ფაქტს! მაშ, რა ხდება? რატომ მისტირის ქართველი კაცი ძველ დროს? ბუნებრივია, ყველა ჩვენგანს აწუხებს ეს ფიქრები. ვიდრე დასკვნას ნაადრევად გამოვიტანდეთ, გადავხედოთ ჩვენს დღევანდელობას. ქართველი კაცის მიზანი ყოველთვის თავისუფლების, თვითმყობადობის და ეროვნულობის შენარჩუნება იყო.

*გაგრძელება მე-4 გვ.*

გამოხმაურება

## გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს, ბ-ნ ს. ჯანაშიას

***ბატონო სერგო,***

თქვენი გაზეთის მიმდინარე წლის 8-14 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვ. გულისაშვილის სახელობის სამთომეტყევეობის ინსტიტუტის ტყის დაცვის ლაბორატორიის გამგის, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ბატონ ბიძინა თავაძის ღია წერილი კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის მისამართით, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

პუბლიკაციიდან გამომდინარე, წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ სინათლე მთლად სანთელით საძებნელია როგორც თბილისში, ასევე მთის სოფლებში, კერძოდ მაგალითისათვის მოყავს ორი კვირით მონახულებული თავისი სოფელი ლაგვანთა (ონის რაიონი), სადაც ინფორმაციის უკმარისობაა (ტელევიზია, პრესა), გვამცნობს და აქცენტი გადააქვს „ხაზის რადიოც" დიდი ხანია აღარ მუშაობსო.

საერთოდ, რატომღაც ბევრ პროფესიონალს, და არა მარტო პროფესიონალს, ჰგონია, რომ „ხაზის რადიოს" ელექტროენერგია არ სჭირდება, არადა კავშირგაბმულობის სატელეკომუნიკაციო ტექნიკაში ფუნქციონირებისათვის ყველაზე მეტი ელექტროენერგია სჭირდება რადიოსიგნალის გავრცელებას. ხაზის რადიო მართლაც ფუნქციონირებდა როგორც ქალაქად, ასევე სოფლად, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო, ბევრ რაიონში და სოფელში ქსელი მთლიანად განადგურდა, დაიტაცეს საყრდენი ბოძები და ფერადი რადიო-საფიდერო მავთულები, ასეთი ბედი ეწია ონის რაიონის ბევრ სოფელს, მათ შორის ლაგვანთასაც.

პატივცემულ ბიძინას ვთხოვ, გული ნუ დაწყდება, თუ ასეთ შეფასებას თავის თავზე მიიღებს.

რაც შეეხება იმას, რომ სამყაროსთან კავშირი ჰქონებოდა პორტატიული რადიომიმღებით და მაინც ვერ მოახერხა ქართული რადიოსადგურების ხმის მოსმენა, ისევ პროფესიონალიზმს თუ დავუბრუნდებით, გასაკვირია, რა ტიპის რადიომიმღები გამოიყენა — სხვა ქვეყნის რადიოხმას თუ მოუსმინა და ვერ მოუსმინა საქართველოს ხმას, საინტერესოა, მისი მიმღები სპეციალურად თუ დუმდა, როცა საქართველოში და მთის რეგიონში, კერძოდ, ონში და სოფელ ლაგვანთაში, გრძელ 1587 მ და მოკლე 59,5მ ტალღებზე თავისუფლად ვრცელდება საქართველოს რადიოს პირველი რესპუბლიკური პროგრამა. თუ გაიკითხავს, თავისი მეზობლებიც დაუდასტურებენ. ვფიქრობ, აქ ალბათ ბატონ ბიძინას ხელი შეუშალა საკუთარმა არათანამედროვე სტანდარტის რადიომიმღებმა, სადაც გრძელ და მოკლე ტალღაზე მიღება ვერ დააფიქსირა, ეს ხომ მხოლოდ რუსეთის რადიომიმღების სტანდარტებია და დღეს საქართველოს ბაზარზე ასეთი რადიომიმღებების შოვნა დიდი პრობლემაა.

გპირდებით, რომ საქართველოში დაწყებული გვაქვს თანამედროვე სტანდარტების რადიოსადგურების FM დიაპაზონში და საშუალო ტალღაზე მომუშავე ახალი ქსელის შექმნა, რომელიც განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს კუთვნილი თანხების გამოყოფის შემთხვევაში.

რაც შეეხება პრესის გავრცელებას, ნუ იქნება გალმა-გამოლმის პრინციპით შედავება, გამოიწერონ გაზეთები და იმავე დღეს ქალაქად, მეორე დღეს რაიონში მიიღებენ პრესას. თუ სურვილი ექნებათ, საცალო ქსელში „საქპრესის" ჯიხურებში საკმაოდ მრავალ დასახელების, ამოსარჩევ ჟურნალ-გაზეთებსაც მოიპოვებენ.

**პატივისცემით,**
**საქართველოს**
**კავშირგაბმულობისა და ფოსტის**
**მინისტრი**
**ს. ესაკია**

## ნუ გასწირავთ სტალინის ძეგლებს კვლავ დასანგრევად!



უკანასკნელ პერიოდში, რუსეთის კომუნისტური მოძრაობის მაჯისცემით მოსულდგმულე ე.წ. „სახალხო პატრიოტული კავშირის" თაოსნობით, ზოგიერთ რაიონებში ხელახლა იდგმება კომუნისტების ქართველი ბელადის სტალინის ძეგლები.

სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტია მოუწოდებს წითელი კავშირის ანტიქართველ ლიდერებს, ბატონებს: გოგუაძეს, მარგიანს, კვარაცხელიას, ჯუღაშვილსა და სხვებს, ნუ გასწირავენ მათი ბელადის ძეგლებს კვარცხლბეკებიდან კვლავ გადმოგდებისა და მსხვრევისათვის, რაც დღევანდელი ნეოკომუნისტური ხელისუფლების გარეკვისთანავე განხორციელდება.

**სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის თავმჯდომარე**
**ლეილა ცომაია**

# კომენტარი პრეზიდენტის 7 დეკემბრის რადიოინტერვიუზე

### ლარის თემა

პრეზიდენტის მსჯელობა ლარის კურსის შესახებ იმ „სასახელო“ ტრადიციის გაგრძელებაა, საბჭოთა ცეკას მდივნები რომ ყოველ დამარცხებას გამარჯვებად აცხადებდნენ და საკუთარ კარში გატანილ ბურთს — მოწინააღმდეგის კარში გატანილად. პრეზიდენტი მალავს, რომ გარედან სესხთა მიღებას (რომლებიც იქვე იფლანგება) და საკუთარი ფულის უცხო ვალუტათ სტაბილიზაციას აზრი აქვს მხოლოდ ერთ შემთხვევაში — თუ ამ გზით მოპოვებული სტაბილობის ფონზე საკუთარი წარმოება ვითარდება. საქართველოში, როგორც ვიცით, წარმოების განვითარება ჩახშობილია. პრეზიდენტი ფანტასტიკური სიჯიუტით იმეორებს მითს, თითქოს ბიუჯეტის ვერშევსება... ელექტროენერგიის სპეკულანტური ნიხრებით გადასახადების არგადამხდელ ოჯახთა ბრალია, მაგრამ მალავს იმ ზარალს, რასაც ბიუჯეტს მაღალი „სახურავების“ მქონე მონოპოლიური მაფიების საქმიანობა აყენებს. ჩვენი მონაცემებით სახელმწიფოში არსებული საგადასახადო ბაზა საკმარისია, სულ ცოტა, ორი მილიარდი ლარის გადასახდევინებლად (1998 წლის ზაფხულის კურსით), მაგრამ არ იკრიფება 900 მილიონიც კი. რატომ? იმიტომ, რომ ხელისუფლება ყველა მისი ეშელონებით კორუმპირებულია, ხოლო კორუმპირებულია იმიტომ, რომ ანტიეროვნული კურსის გამტარებელ დიქტატურაში ადამიანთა შემადგენლობა მხოლოდ კორუმპირებული შეიძლება იყოს. დიდი ზარალის გადაბრალება გვალვაზე, რა თქმა უნდა, დამაჯერებელი ვერ იქნება, ისევე როგორც „სახელისუფლებო სტრუქტურების გადახალისების“ ანუ მექრთამეთა და ქურდთა ერთი ჯგუფის მეორით შეცვლის იმედად ყოფნა. ამ დეზინფორმაციათა და გადაბრალებათა ჯამი ისაა, რომ რადიომსმენელისაგან იმალება მთავარი — ის, რომ არსებული კურსის პირობებში, მაშასადამე, არსებული ხელისუფლების ხელში მოქალაქის მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელია. რომ სხვათა მოწყალების იმედით ცხოვრება და ამავე დროს, კიდევ სხვათა ინტერესების შესაბამისად, საქართველოში მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩახშობის პოლიტიკის გატარება შეუძლებელია. ფოთის ნათვსადგომების, „თელასის“ და საქართველოს სხვა ქონების გაყიდვა (თუნდაც მას ზრდილობიანი სიტყვა „პრივატიზაცია“ ერქვას), მოსახლეობის ხსნა არ არი. პირიქით, ეს იმ საარსებო ბაზის განადგურებაა, რომელსაც ამავე მოსახლეობის მეორე და მესამე თაობა უნდა გამოეკვება. ჭეშმარიტად ბრძენია ფოლკლორის შემოქმედი — ხალხი, რომელმაც ამ წესით მაცხოვრებელ მეურნეს ამგვარი ლექსი გამოუთქვა:

„ღმერთმა მოგცა ბატის ტვინი,
ინდაურის გონება,
ერთ კვირაში შეგაჭამა
მამაშენის ქონება“.

რაც შეეხება ლარის ბედს, ეს თემა მარტივია. საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა ლარის დასტაბილების პროგრამა იმ უსიტყვო მორჩილების საფასურად, რომლითაც მისი ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკური ორგანიზაციების რეკომენდაციებს მისდევს. საქართველოს სეიფში დასადებად მისცეს თანხა, რომ ლარის დოლარზე გადახურდავება შესძლებოდა. თანხა ამ ამოცანას ვერ გაწვდა (იგი მანამდე „ჩაშოადნეს“). ახლა კი ამ მასტაბილებელ საქმიანობაზე ანუ „სავალუტო ინტერვენციაზე“ ეროვნული ბანკი ხელს იღებს და პროცესს თვითდინებით უშვებს. საქართველოს ხელისუფლებამ თავისი უუნარობა აღიარა, მაგრამ ამისთვის შესაბამისი სახელის მიცემა არ ჰსურს.

კომიკურია (სატირალი რომ არ იყოს) პრეზიდენტის მიერ კორუფციასთან მრავალწლიანი შერიგების პოლიტიკის ერთგვარი გამართლება იმით, რომ იძულებულნი ვართ ქურდბაცაცებთან ურთიერთობისას ადამიანის უფლებები დავიცვათ. ეს იმ კომუნისტური „სამართალდამცავების“ ფსიქოლოგიური ჩვევის ინერცია გახლავთ, რომლებსაც ყალბი საქმეების შეთითხნის ჩვევამ რეალური საქმეების გახსნის უნარი დაუკარგა. მილიონიანსა და მილიარდიან ქურდ-ბაცაცებს, რომლებიც ბავშვებს სამათხოვროდ იმეტებენ, ქვეყანას — დასაქცევად და ქალებს სხეულით სავაჭროდ, ადვილად შეიძლება მოეთხოვოს პასიური ადამიანის უფლებათა ანუ იურიდიულ ნორმათა შეულახავადაც. მაგრამ ამას მოსდევს ბუნებრივი „გასვლა“ ხელისუფლების ორგანოებზე.



გადმოგვცემს სავალუტო პოლიტიკის თვით დედაარსს. ჩვენ დოლარები (300 მილიონამდე) მოგვცეს ლარის სტაბილიზაციისათვის. მოგიტანენ ლარს და დოლარზე გადაუხურდავეთო. ამან ლარი განამტკიცა. მაგრამ ამას აზრი აქვს მხოლოდ როგორც დროებით ღონისძიებას. ამ ფონზე უნდა მომხდარიყო მრეწველობის ამუშავება. მრეწველობა ვერ ამოუშავდა, ვინაიდან იგი ხელოვნურად ჩაახშეს. მოხდა კრიზისი რუსეთში, რუსმა პარტნიორებმა ქართულ კომერციულ ბანკებს მოსთხოვეს, დოლარები გვინდაო. ამ ბანკებმაც თავისი სეიფებში ჩაწყობილი ლარები (რაც კანონით უნდა სდებოდათ) გადაუხურდავეს დოლარებზე და დოლარები რუსეთში გაგზავნეს. რატომ? იმიტომ, რომ რუსეთზე არიან მიბმულნი და არა უფრო ჯანსაღი ვალუტის მქონე ქვეყნებზე. რატომ არიან მიბმულნი? იმიტომ, რომ ასეთია ხელისუფლების პოლიტიკა (საბაჟო და სხვ.). იმას, რაც მოხდა, ლარის კურსის ლიბერალიზაცია არ ჰქვია. ეს არის ეროვნული ბანკის ინტერვენციის ანუ ლარებში დოლარების გადახდის შეწყვეტა, ანუ იმ 300 მილიონიდან ჯერ კიდევ მორჩენილი 50-მდე მილიონი დოლარის ზემოხსენებული დამასტაბილიზებელი მოქმედების შეწყვეტა. არანაირი იდუმალი „სიბრძნე“ საქართველოს ხელისუფლების ამ პოლიტიკაში არ დევს.

პრეზიდენტი ბრძანებს, „საქართველოს ეკონომიკამ ახალი თვისებრიობა“ შეიძინაო. არაფერი არ შეუძენია. ეს ისევ სესხებზე ჩამოკიდებული, ამ სესხების უნამუსოდ გამნიავებელდამტაცებელი და დანგრევის პროცესში მყოფ რუსეთზე მიბმული კორუმპირებული ეკონომიკაა.

პრეზიდენტი მეწარმეებს აფრთხილებს, გადასახადებს თუ არ გადაიხდით, დამოუკიდებელი სახელმწიფო თავზე დაგემხობათ და ბიზნესმენები ველარ იქნებითო. ტყუილია! ის ბიზნესმენები ვინც დღევანდელ კომუნისტურ რეჟიმთან „კუდიკუდზეა გადაბმული“ და ამიტომ ჯერ კიდევ ცოცხლობს, საქართველოს მტრების ხელში უკეთესად გაიხარებენ. რაც შეეხება პატიოსანსა და ერთგულ ბიზნესმენებს, გადასახადთა არსებული ხელოვნური სისტემა მათ მართლაც ახრჩობს. როგორ უნდა გადაიხადოს მეწარმემ 20 პროცენტი დღგ, თუ მისი წარმოება 21 რპროცენტ მოგებას არ იძლევა? ასეთ პროცენტს კი, ცხადია, ვერც ერთი წარმოება ვერ მოგცემთ. პრეზიდენტის სიტყვები სხვა არა არის რა თუ არ მცდელობა, თავისი ადმინისტრაციის დამანგრეველი ანუ ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება გადასახადების არგადამხდელთ დააბრალოს და სახელმწიფოს დაქცევის აზრს შეგვაჩვიოს.

### პრეზიდენტი ან გულუბრყვილობას იჩენს, ან დემაგოგობს

პრეზიდენტი ისე აყენებს დიდად საკამათო ფუძემდებელ თეზისებს, რომ გვერდით ოპონენტი არავინ ჰყავს. მაგალითად, ამბობს, „მხოლოდ ფართომასშტაბიანი ბიზნესი არის ერთადერთი გამოსავალი, რომ ქვეყანა აყვავების გზას დაადგეს“. ეს სიტყვები ელემენტარული ფაქტების გაუთვალისწინებლობას ემყარება: რომ ქვეყანაში, რომელსაც ფეხზე დადგომის იმედი აქვს, ჯერ მცირე ბიზნესი უნდა განვითარდეს, შემდეგ საშუალო და ბოლოს — დიდი. თავისი „თეორიული“ შეხედულებების ცხოვრებაში გატარებისათვის კი პრეზიდენტი გეგმავს „საყოველთაო-საერთო სახალხო მოძრაობას“ „ურჩ გადამხდელთა წინააღმდეგ“ ანუ ისეთ ოხლოკრატიულ (და, მაშასადამე, დესტრუქციულ) ღონისძიებას, რომელიც პლატონისა და არისტოტელეს მიერ აღწერილი დემაგოგიის არსენალსაც კი დაჩრდილავს.

### პრეზიდენტი პირობას დებს

პრეზიდენტი ბრძანებს, რომ ემისია (ფულის დაბეჭდვა) არ მოხდება. ღმერთს ვევედროთ, რომ არ მოხდეს (რადგან ეს მართლაც კატასტროფა იქნება). მაგრამ ეჭვი კი გვრჩება: რატომ გაიცა ამ ორი თვის წინ აქა-იქ ხელფასები ერთმანეთზე მიყოლებული ნომრების მქონე ოცლარიანებით და ხუთლარიანებით? უმტკივნეულო პასუხია: ეს ალბათ კომერციული ბანკების იმ „შეუხებელი“ სეიფებიდან იყო, რომლებიც წელან ვახსენეთ.

### მცირე და დიდი ნავთობის თემა

პრეზიდენტის სიხარულს „ადრეული ნავთობის“ წამოსვლის გამო ყველანი ვიზიარებთ, თუმცა, ცხადია, არც ამ ადრეული, არც დიდი ნავთობით მონაგარი თანხა გაბატონებულ „ჯგუფს“ (ნუ ვუწოდებთ მათ „ხროვას“), როგორც იტყვიან, მზესუმზირის ფულად არ ეყოფა. საბედნიეროდ, „დერეფანი“ მხოლოდ ნავთობი არ არის. ჩვენთვის მასში მთავარია გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული ვითარებების მთელი ის კომპლექსი, რომელიც ამ დერეფნის ამუშავებას მოსდევს კიდეც და განაპირობებს კიდეც. ნავთობი ჯეიჰანზე წავა თუ შავი ზღვით ევროპაში წავა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიო გიგანტებისათვის, მაგრამ ჩვენ ორივე ვარიანტი ხელს გვაძლევს.

### პოლიტიკის თემა

### პრეზიდენტი მართალს არ ამბობს:

ადგილობრივი არჩევნების ჩატარება „მმართველი პარტიის ნება“ კი არ იყო, არამედ მსოფლიოში მოქმედი ნორმების ნება. „მმართველმა პარტიამ“ ეს არჩევნები ოთხი წლის მანძილზე გადადო და გადადო. პრეზიდენტის გეგმა ჯერ კიდევ ორი წლის წინ იყო ნათელი. ვინაიდან მდგომარეობის გასწორება მას არც ძალუძს (თავისი ძირფესვიანად მანკიერი ორიენტაციის გამო), არც ჰსურს (ჩრდილოელი მეზობლის ნების გამო), იგი იძულებულია სატელიტი პარტია (ან პარტიები) შექმნას და მათი სახელით მართოს და ანგრიოს ქვეყანა. ერთი ასეთი „სატელიტი“ პარტიაა სოციალისტური (თავმჯდომარე რჩეულიშვილი), სხვები მეტ-ნაკლებად გამოკვეთის პროცესში არიან. მაგრამ ჩასაძირად განწირულ გემზე დარჩენა არც ერთ ვირთხას არ უყვარს და ამიტომ „სატელიტები“ ახლა საერთო ბატონთან საკუთარ გზებს ეძებენ. რა თქმა უნდა, ეს ვერ ამცირებს არჩევნებზე მისული იმ 30 პროცენტი ამომრჩევლების ღვაწლს, რომლებმაც „მოქალაქეთა კავშირის“ ჯერ-ჯერობით ზრდილობიანი პანღური უთავაზეს: ამომრჩეველმა უარი უთხრა უკვე მხილებულ ქურდბაცაცებს, თუმცა არ იკითხა, ვინაა ის, ვისაც უპირატესობა მისცა. არა უშავს რა! მთავარია, რომ არც ზეწოლას, არც ფალსიფიკაციას არ შეუშინდა. შემდგომი არჩევნებისათვის იგი უკეთეს არჩევანს გააკეთებს.

**შემატკივარი**

### კომენტარი პრეზიდენტის 14 დეკემბრის რადიოინტერვიუზე

### პრეზიდენტი მართალს არ ამბობს.

პრეზიდენტი არასწორად

## ხმა ხალხიდან

# კმაყოფილია ის, ვისაც შავი მაფიის წილში აქვს თითი ჩაყოფილი

*მესამე გვერდიდან*

ზემოთ ჩამოთვლილი სამეულიდან ვითომ „დემოკრატიულმა საქართველომ“ ვერც ერთი მათგანი ვერ გაითავისა. სამაგიეროდ, წარმატებით გაართვა თავი დიდების ზღაპარს. საქმეში ჩაუხედავ კაცს მოეჩვენება, რომ საქართველოს ტელევიზიის I არხმა თავი დააღწია იმ მარწუხს, რომელიც სიმართლის თქმას უკრძალავდა. არა და არა, ბატონებო! ხომ ნათქვამია, არ გასწორდება კუდი ძაღლისაო — პირიქით, თვითონ მოატყუეს მოსახლეობა. ცოტაოდენი ხუმრობა, ბევრი ეშმაკობა, რამდენიმე გადაკრული ფრაზა (ილუზიის შესაქმნელად, ვითომ სიმართლეს ამბობენ) და ზღაპრის გმირები ზუსტად მიზანში არტყამენ: მაყურებლებს, ასე თუ ისე, მათ უკვე შეაყვარეს თავი. რას იზამ, ისინი ხომ ზღაპრის გმირები არიან. შეხედავ ჟუანიას და სიცილით კვდები. გაგონდება მისი „ჭნება“ წინა საარჩევნო ზღაპარში. მათ ყველაფერი მიეტევებათ — ისინი ხომ ზღაპრის გმირები არიან! ამაში კი ნუ დაეჭვდებით, მკითხველო. თუ არა ზღაპრის გმირს, ვის შეუძლია კიდევ ისეთი დაპირებებით დააჯეროს ხალხი, სადაც ასი ტყუილია და ერთი მართალი.

ხალხს შიმშილისაგან სული ჰხდება. უმუშევრობა, ლოთობა, ნარკომანია თითქმის ყველა ოჯახის აუცილებელი ატრიბუტი გახდა. ყველა მეორე ადამიანის ხვედრი დანგრეული ფსიქიკა, ოჯახის აყალმაყალი და უსახლკაროდ დარჩენაა. ვილას აინტერესებს შენი თავისუფლება, თვითმყოფადობა? მშიერი კუჭით თავისუფლებას მაძღარი კუჭით მონობა ურჩევნიათ. ეს ადამიანის ბუნებისაგან თავისთავად გამომდინარეობს. ბოლოს და ბოლოს, რა არის ადამიანი? გონიერი ცხოველი, რომელსაც თავის სულიერ მოთხოვნილებებთან ერთად ფიზიკური მოთხოვნილებებიც გააჩნია.




ყველაფერი ზუსტად არის გამოთვლილი, მისხალ-მისხალ, და არც არის გასაკვირი. ვინ არიან სათავეში ბოლოსდაბოლოს? მგელმა რომ ირმის ქურქი ჩაიცვას, ვითომ ირემი გახდება?

ერთი პირველი მიზანი მიღწეულია. ხალხს წარსულის ნოსტალგია გაუჩნდა. კარგ დროს ვცხოვრობდით ადრე, ბედნიერი ბავშვობა გვქონდაო, ამბობენ და არცა ტყუიან. დღევანდელ ბავშვებს მართლა არა აქვთ არავითარი პირობები იმისა, რომ თავი ბედნიერად იგრძნონ. რადგან ბავშვობიდანვე უხდებათ ფიქრი სოციალურ თუ სხვადასხვა პრობლემებზე.

ლარის კურსის ცვალებადობამ იმ ერთეულებსაც წარუკვეთა სასო, რომელთაც ჯერ კიდევ სჯეროდათ უკეთესი მომავლისა. ესეც ხელოვნურად გამოწვეული ინფლაცია იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული სახელმწიფოებრიობისადმი არა მარტო თავისი ხალხის უარყოფითი დამოკიდებულების გაღვივებას, არამედ სხვა სახელმწიფოების თვალშიც ქართული სახელმწიფოებრივი იმიჯის შელახვას.

აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიწების დაკარგვაც არ იყო ბუნებრივი მოვლენა. საქართველოს ტერიტორიის მესამედი დაიკარგა. ქართული გენოფონდი ნადგურდება, უმეტესობა ქართველი მოსახლეობისა საზღვარგარეთ მირბის დუხჭირი ცხოვრებისგან თავის დასაღწევად და თავისი უფლებების დასაცავად. მაგრამ ეს ხომ გამოსავალი არ არის?!

რუსეთში კომუნისტური ურჩხული ილვიძებს. არის კი ქართველი ხალხი მზად, რომ მომავალი უბედურება აიცილოს? ან იქნებ მხსნელადაც კი მიიღოს ხალხმა სოციალისტური იმპერიის აღდგენა?

იქნებ მონობა სჯობდა მათხოვრობას? მონობა თუ თავისუფლება? — სამწუხაროდ, უკვე ასეც ისმის კითხვა.

**ლია გიგიტაშვილი**

მეორე გვერდიდან

უსამშობლო, უძირო, უჯილაგო და უზნეო არსებობისათვის, მათ შორის ჩვენი ხალხიც, რომელთა საქმიანობას და ცხოვრების წესს განსაზღვრავდა დევიზი: „მე უნდა ვიქურდო, რაც შეიძლება მეტი უნდა წავლილტო სახელმწიფოს, ის იმდენად დიდია, რომ ამით მას მაინც არაფერი დააკლდება და რომც დააკლდეს, განა ცოტანი არიან შტერები, ტუნგუზები, ყალმიყები თუ უზბეკები, ისინი აუნაზღაურებენ დანაკლისს, მე რატომ უნდა გავუფრთხილდე ისეთ სამშობლოს, რომელიც არც კი ვიცი ვისია“. ასე ფიქრობდა ყველა იმ უზარმაზარ საბჭოთა სამშობლოში, სადაც ყველა ამ სამშობლოს პატრონად იყო გამოცხადებული და სინამდვილეში ფაქტიურად არავის არაფერი არ ეკუთვნოდა. ნომენკლატურის მიერ ადამიანური საწყისებისაგან გაძარცვული საზოგადოება კანონებისათვის მოხერხებულად გვერდის ავლისა და ნაქურდალის დაფარვის ხელოვნებასაც უნდა დაუფლებოდნენ. კადრის მუშაობის შეფასება ხდებოდა მარტივი არითმეტიკული მოქმედების — „გაყოფის“ არსობრივი მნიშვნელობის ცოდნით. ამ თვისებების გარეშე, როგორც იტყვიან, „კარუზოც“ რომ ყოფილიყო პროფესიაში და ცხრა პარტიული მანდატიც გდებოდა გულის ჯიბეში, რაიმე თანამდებობაზე ან სამსახურებრივ წარმატებებზე ფიქრიც კი, სრული უაზრობა იქნებოდა.



ფლანგვა, ქურდობა, მექრთამეობა, კორუფცია, ღალატი, პირში ლაქუცი, ზურგს უკან სამარის თხრა, აი, ის მოკლე ჩამონათვალი ღირსებებისა, რომელიც განსაზღვრავდა ნომენკლატურის ცხოვრების წესს საბჭოეთში.

ასეთი კადრებით დაძეძგილი ქვეყნის მემკვიდრეობა ერგო ბ-ნ ზვიადს „ბედნიერებად“. ნომენკლატურისათვის იგი თეთრი ყვავი იყო და სხვა არაფერი, მაგრამ ულრუბლო ცაზე მეხის გავარდნას უდრიდა მათთვის ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენა.

ვის უნდა ცოდნოდა ზვიადზე უკეთ მახათმა-განდის მიერ გამოთქმული „ძალაუფლებისადმი დაუმორჩილებლობის გზაზე შემდგარი, მორალურად მზად უნდა იყოს სიკვდილისათვის“-ო, ჭეშმარიტება.

რამოდენა სიყვარული უნდა ჰქონოდა ქვეყნისა და ერისადმი, რამოდენა გმირული სულითა და სიმამაცით უნდა ყოფილიყო ღმერთისაგან დაჯილდოვებული, რომ ეს ნაბიჯი შეგნებულად გადაედგა.

მართლაც რომ შეუძლებელი შეძლო ამ ეპოქის აზროვნების გიგანტმა, ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ.

შინაური და გარეშე მტრების გამუდმებული თავდასხმების, იდეოლოგიური და ფიზიკური დივერსიების, სიცრუისა და ღალატის უმძიმეს პირობებში, ჯერ კიდევ დაუშლელ და მომქმედ საბჭოურ სივრცეში, ისტორიის მიერ მისთვის განკუთვნილ უზომოდ, ზღაპრულად მცირე დროის მონაკვეთში მან შესძლო შეუძლებელი, ერის 800-წლიან ოცნებას ფრთები შეასხა და რეალობად აქცია იგი. მან მოუტანა თავისუფლება ხალხს. მან, გამუდმებული შანტაჟისა და მუქარის ქვეშ შეძლო ყველა საერთაშორისო იურიდიული ნორმების დაცვით საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებელი დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

მართლაც რომ შეუძლებელი შეძლო ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ, ქართული სულის ამ გენიამ. ეროვნული ცნობიერებით დიდი ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის და სხვა სახელოვან მამულიშვილთა ტრადიციებით გონებაგამდიდრებული, მაგრამ საბჭოური რეჟიმისაგან თავში ჩარტყმული და მეორე ხარისხოვან ადამიანებად გადაქცეული ქართველებისაგან, ამ მხრივ პროფესიონალი კადრების სილატაკისაგან თითქმის უდაბნოდ გადაქცეულ საქართველოში მან შექმნა ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი ეროვნული მთავრობა და პარლამენტი. საფუძველი ჩაუყარა ქართული დიპლომატიის ისეთ უნიკალურ საწყისებს, რომელიც, რომ დაეცლიათ, ერთ წელიწადში გადაიქცეოდა მსოფლიო საოცრებად, ზნეობისა და კაცთმოყვარეობის მისაბაძ მაგალითად და მარგალიტად.

მისკენ შემობრუნდა თვით ის კატეგორიაც კი ხალხისა, ვისაც სისხლ-ძარღვში ჰქონდა გამჯდარი საბჭოური მენტალიტეტი, მაგრამ ფეხ-ქვეშ მიწა რომ შეერყა, წყალწაღებულივით ცალი ხელი პარტმანდატს ჩასჭიდა და ცალსაც ენერგიულად იქნევდა ეროვნული მთავრობისაკენ გასანაპირებლად. ბ-ნ ზვიადს ესმოდა, რომ კადრების ეს კატეგორია არც ერთის ერთგული ყოფილა ოდესმე და არც მეორის ლოცვა-კურთხევით გადაილოცდა თავს, მაგრამ ერისათვის სამსახურის გაწევის შანსი არავის წაურთმევია მათთვის.

საქართველოს მთელი მოსახლეობა, განურჩევლად ეროვნებისა, მთლიანად მოიცვა აღმშენებლობამ და აღორძინების სურვილმა.

# ოპოზიციის ლიდერები დიდი ღალატისათვის - 22 დეკემბრის შავი დილისათვის ემზადებოდნენ...

## თბილისი, 1991 წლის 22 დეკემბრის ტრაგიკული დილა

### (თვითმხილველის მოგონებები)

ოჯახს დაუბრუნდა პატრონი! ამან ბუნებრივი პროცესები წარმოშვა. ქვეყნიდან თავისი ნებით იწყებს გადინება ისეთმა მტრულმა ძალებმა და პირებმა, რომელთა გეგმაში არასდროს არ შედიოდა ქართულ ბუნებასთან მიახლოვება, მისი სულიერი მოთხოვნილებებისადმი პატივისცემა ან ანგარიშის გაწევა, გინდაც ენის შესწავლაც. ქვეყანას ტოვებდნენ ისინი, ვინც სუკ-ის მიერ სპეციალურად იყვნენ შემოთესლილნი ან ანგარების მიზნით ბოლო ათწლეულში ჩამოსულიყვნენ შეგულებული უპატრონო საყდრის დასაპატრონებლად.

შექმნილი მდგომარეობა ე. წ. ოპოზიციამ და საბჭოურ სისტემაში ჩამპალი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა დაუყოვნებლივ გამოიყენეს პირადად, ზვიად გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების სადისკრედიტაციოდ. ფაქტების აშკარა დამახინჯებითა და მოვლენების საკუთარი, ბინძური, მოღალატური პოლიტიკისათვის შესატყვისი ინტერპრეტაციით, პირველ რიგში — რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით, სიამოვნებით აუწყეს მსოფლიოს, რომ მათ სამშობლოში დიქტატურა მძვინვარებს და ეროვნულ უმცირესობებს (რომელნიც ფაქტიურად იმ ხანებში უმრავლესობასაც კი წარმოადგენდნენ ქვეყანაში და პირიქით, თავის ჰეგემონიას ახვევდნენ თავზე ქართველობას უტიფრადაც) გაუსაძლისი პირობები შეუქმნეს და „სამშობლოდან“ ერეკებიანო. ამ მუხანათური ღალატისათვის მსოფლიოსაგან და პირველ რიგში რუსეთისაგან, უნამუსოდ ითხოვდნენ თანადგომას და დახმარებას, რამეფრად გვიშველეთ და დროზე მოგვაჭრევინეთ ის ტოტი, რომელზედაც ვზივართო. რუსეთმაც და მსოფლიომაც, რომელთა ინტერესებში არასდროს არ შედიოდა საქართველოს ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, საიმოვნებით უთანაგრძნეს მათ.

უგუნური ოპოზიციის უგუნური ლიდერები წითელ ინტელიგენციასთან ერთად, ამ ეტაპზე თავს გამარჯვებულად მიიჩნევდნენ და გადამწყვეტი იერიშისათვის, უფრო დიდი ღალატისათვის — 22 დეკემბრის შავი დილისათვის ემზადებოდნენ.

საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭულის აღმშენებლობა და იმავ დროულად — ეთნიკური წონასწორობის აღდგენა შეადგენდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და მისი მთავრობის უპირველეს საზრუნავს. ამიტომაც, მშენებლებს აქამდე არნახული, მიწერებისა და სხვა ათასგვარი მამაძაღლობების გარეშე მუშაობის პირობები შეუქმნეს. იმსხვრეოდა მითიც, საბჭოთა სისტემის მიერ შექმნილ ქართველ კაცზე, მის სიზარმაცეზე, უსაქმურობაზე, უნიჭობაზე, — როგორც მძიმე სამუშაოებისათვის თავის არიდების მოსურნეზე, „თბილი“, თავის შესანახი ადგილის მაძებარზე, ქართველი მუშა და ხელოსანი ტოლს არ უდებდა სამუშაოთა მწარმოებელს საინჟინრო საკითხების გადაწყვეტაში.

მიწისძვრით დაზარალებულ მთიან რაიონებში, განსაკუთრებით რაჭაში, სადაც თბილისიდან სხვა სამმართველოებთან ერთად, ჩემი სამმართველოთი ვიყავი მივლინებული, სამშენებლო სამუშაოთა სპეციფიურობიდან გამომდინარე და მექანიზმების უკმარობის გამოც და იმისთვისაც, რომ ხელით უმძიმესი სამუშაოების შესრულება უხდებოდათ, თბილისის, გარდაბნის, ბოლნისის და სხვა რაიონის სამშენებლო სამმართველოების ძირითადმა მუშებმა, მიუხედავად მაღალი ანაზღაურებისა, უარი თქვეს სამუშაოებზე.

ქუთაისიდან, ტყიბულიდან, სამტრედიიდან და თეთრწყაროდან მოწვეულმა ქართულმა ბრიგადებმა გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში, სამუშაოთა წარმოების მაღალი ხარისხით დაგვამთავრებინეს აღდგენითი სამუშაოები, რომელიც ზამთარში ამ რეგიონში დიდი თოვლიანობის გამო 1992 წლის გაზაფხულამდე გადაიდო.

მშენებლები, რომლებმაც ამ რეგიონის მაცხოვრებელთა 75% უზრუნველყვეს საცხოვრებელი ფართით, სულმოუთქმელად ელოდებოდნენ გაზაფხულს იმ უსახლკაროდ დარჩენილ 25%-თან ერთად.

გაუქმებულ იქნა „ობხს“-ი, ეს ნებადართული ყაჩაღების, მუქთამჭამელებისა და წურბელების ბუდე. შეიცვალა სამინისტროებისა და უწყებების დამოკიდებულება სამსახურებრივი მოვალეობისადმი. გაიზარდა პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა და დამოკიდებულება საქმისადმი. ყოველივე ამან კი, ხალხის ნდობა და პატივისცემა მოუპოვა მათ. შ.ს.ს. მეტად არ ალიქმებოდა ურჩხულად. ინსპექტორები თუ საგზაო პოლიციის მუშაკები, „რა ვქნა ძმაო, მეც ოჯახი მყავს სარჩენი“ და სხვა ამგვარი მიზეზ-მიზეზებით ფულის გამოძალვის ნაცვლად პირიქით, მზად იყვნენ დახმარების გასაწევად. სხვისი ჭირი საკუთარ ჭირად გაეხადა ყველას. სასიკეთოდ შეიცვალა კონფლიქტიც არაკაცსა და პიროვნებას შორის. იგი ჩვენს თვალწინ ტრაგიკულიდან კომიკურისკენ გადაიხარა და ობივატელი, ქურდი, ავაზაკი, ნაძირალა, გაუთლელი და უნიჭო, კვლავინდებურად მოიცვა არასრულფასოვნების კომპლექსის განცდებმა ეროვნული სულით ამაღლებული პიროვნების წინაშე.

საბჭოთა სისტემის მიერ შობილმა შავმა სამყარომაც, რომელიც იგივე ერის შვილებისაგან შედგებოდა, დაიგულვეს რა სამშობლო პირად საკუთრებად, ე. ი. პირად ოჯახად, — იმ უბრალო მიზეზის გამოც, რომ საძარცვი ობიექტი გაქრა და საკუთარი ოჯახი არანაირი ხერხებით, არავის არასდროს არ უძარცვია, — ქურდებმაც აიღეს ხელი ქურდობაზე და ქვეყნის აღმშენებლობით საქმიანობას მიჰყვეს ხელი.

სწორედ ამ პოზიტიური ცვლილებებით გალაღებული და გაბედნიერებული ერის ხილვით გაოცებულმა ედ. შევარდნაძემ გულწრფელად (ალბათ პირველად ცხოვრებაში) წამოიძახა: რა უქნა ამ ხალხს ასეთი გამსახურდიამ?! როგორ შეცვალა იგი ამ მოკლე ხანში, ისე როგორ გადაგვარა, რომ ვეღარც კი ვცნობო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ფონზე შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი გაოცება და იმ ათასების მდგომარეობაც, რომელნიც საკუთარი პრეზიდენტისადმი ერთგულების გამოხატვის მიზნით ღამეებს ათევდნენ მთავრობის სასახლის საფეხურებზე.

იქნება ეხლა მაინც შეხვიდეთ იმათ მდგომარეობაში, ვინც მაშინ თავს მოესაჯა იმ აულაგმავი ე. წ. ოპოზიციის გამორჩეული ლიდერების, ჩვენს შემთხვევაში იზა ორჯონიკიძისა და ლუიზა შაკიაშვილის მიერ რუსთაველზე გამართული უფასო ამაზრზენი კონცერტების ცქერა.

როგორ ვიფიქრებდი მაშინ, — მაია წყნეთელობაზე პრეტენზიის მქონე ქალბატონები დღეს, იმ შავად მოსაგონარი დილიდან რამოდენიმე წლის მერეც, თავს მოიწონებდნენ სამარცხვინო წარსულით და მით კოპწიაობას დაიწყებდნენ.

მთავრობის სასახლის წინ რუსთაველზე გამოჩნდა კარგად შეზარხოშებული ჯგუფი, რომელსაც მისკენ პირშექცეული, უკან სვლით, ხელების მაღლა-დაბლა ენერგიული ქნევით, რიტმში „ჩაუშესკუ, ჩაუშესკუ“-ს ხმამაღალი შეძახილით წინ მიუძღოდა, „დირიჟორი“ ლუიზა შაკიაშვილი, მეტსახელად შოკოშვილად ცნობილი.

ამ სპექტაკლმა „ქარიშხალას“ ხალხით სავსე სტადიონი მომაგონა რატომღაც. აქაც ისე, როგორც გუნდის თამაშით უკმაყოფილონი, ემოციას აყოლილნი ლანძღავენ ერთ დროს მათთვის სათაყვანებელ მოთამაშეებს, ისე მთავრობის სახლს შეფენილი ხალხი წყევლა-კრულვას უგზავნიდა სამარცხვინო და უზნეო სპექტაკლის რეჟისორებს, სადაც მთვრალი ბრბო შაკიაშვილის ნიშანზე „დრუჟნად“ გაჰკიოდა: „მონებო, მონებო!-ო.

მოღალატეებო, გამყიდველებო! არ თმობდნენ პოზიციებს ხალხის მხრიდან. ამის პასუხად ლუიზამ თითებში გჩრილი წითელი თუმნიანი ააფრიალა ჰაერში, მას წამსვე მიბაძეს სპექტაკლის წევრებმა და ორი ათეული ხელი გიენისებური ხორხოცითა და სიცილ-ტკაცალით აღიმართა ჰაერში შეძახილებით: „დიახ, რომ ფულზე ვყიდით საქართველოს!“-ო.

ერთი ახალგაზრდა ქალი, სოფიკოს გარეგნობითა და მიხვრა-მოხვრით გამოეყო მთვრალ ჯგუფს და ტროტუარზე შემოვარდა წივილით: „თქვე გამსახურდიას მონებო, თქვენა და როგორც კი იგრძნო მისკენ მომავალი რამოდენიმე პიროვნება აშკარად მტრული, არა კეთილი განზრახვით, წამსვე ზურგს უკან ამომეფარა, წელზე ხელები შემომხვია როგორც ძველ ნაცნობს და შემევედრა: „ძია, მიშველეო“. წყევლით მოახლოებულთ ვუთხარი, ამას, როგორც ეტყობა, ტვინში მთლად დალაგებულად არ უნდა ჰქონდეს საქმე-მეთქი და იქნებ თქვენი ყურადღების ღირსადაც არ უნდა ღირდეს მეთქი. თანაც ნახეთ, სოფიკოს როგორა ჰგავს და ამ ღირსებისათვის მაინც შეუნდოთ-მეთქი. სოფიკოს არა, ჭირსა ჰგავს მაგ სასიკვდილე, მაგიო და „სოფიკომაც“ არ დააყოვნა პაუზით ესარგებლა. ჩამჭიდა ხელი და პროსპექტის შუა ნაწილისაკენ გამათრია, სადაც გულზე ხელდაკრეფით მაყვალივით შავ თვალება, ნახევარ საუკუნეს მიღწეული იზა ორჯონიკიძე იდგა.

„სოფიკომ“ მას წარუდგინა ჩემი თავი, როგორც მისი მხსნელი ჯენტლმენის, მე კი მომიბრუნდა და ზომაზე მეტად გამხიარულებულმა მითხრა: ნუთუ არ იცნობ იზას, ეს ხომ ჩვენი სასიქადულო პოეტია და თან დასძინა, „ხომ მაგარი“ ქალია, ძიავ?“ ფრთხილად იყავი, თორემ შენც ბევრ სხვებივით მაგის ეშხის მსხვერპლი გახდებიო უთუოდ, ასე არ არის ჩემო იზავ? მიუბრუნდა „მაგარ“ ქალბატონს და ძმაკაცურად ხელი დაჰკრა მხრებზე. ამ რამოდენიმე წუთში ისე გამიშინაურდა „სოფიკო“, თითქოს დიდი ხნის ტოლი და ნაცნობი ვყოფილიყავი მისი. შევატყვე, რომ ჩემდამი სიმპატიურადაც კი განეწყო და ეხლა იზას აწონებდა ჩემს თავს.

ქალბატონ იზას ჭაბუკურ ქინქლა ულვაშებით შემოსილ და პომადის სქლად დადებულ ფენით დაფარულ ტუჩებზე აკიაფებული ღიმილი იმაზე მეტყველებდა, რომ გოგონას მიერ საკმაო უხეში სითამამითა და ფამილარობით გაკეთებული ქათინაურები არ ეთაკილებოდა, მაგრამ მის მაგიერ მე ვიგრძენი უხერხულობა და ამ სულიერი მდგომარეობიდან თავის გამოყვანის მიზნით მოწიწებით ვკითხე ქალბატონს: მაინც რაზე შეწუხებულხართ ასე გვიან ქალბატონო, ან ამ ფორმით რას მოითხოვთ, ან ვისგან რას მოელით-მეთქი და ხელით მივანიშნე იქვე ზედახორაზე, ექსტაზით შეპყრობილით ზედ რუსთაველის გამზირის სავალი ნაწილის აღმნიშვნელ ხაზზე უნებლიედ წაბორძიკებულ და ზურგით გაშხლართულ ლუიზა შაკიაშვილის სხეულზე რომ გაემართათ.

იგი ზღაპრის დევის ქალივით, ალბათ, თავისი მდგომარეობით მეტად კმაყოფილი, ისე გულიანად ხითხითებდა, რომ მთელი ტანი უძაგძაგებდა.

თავი მერიისაკენ ჰქონდა მიმართული, ისე, რომ „ამფითეატრის“ მაყურებელს ჰქონდა საშუალება „დამტკბარიყო“ უჩვეულო სანახაობით.

სიცილ-ხარხარისაგან დაოსებული გოგობიჭები, ლუიზას ბარძაყის სიმსხო მკლავებს ჩასჭიდებოდნენ და მისი ასფალტიდან წამოწევასაც ახერხებდნენ მხოლოდ, მერე სხეულის მასას კვლავ პირვანდელ მდგომარეობაში აბრუნებდნენ და შორიახლო ჩამუხლულები იცინოდნენ სულმოუთქმელად, ალტყინებისაგან მორეულ ცრემლებს მუშტებით იშრობდნენ და ისე უსმენდნენ ლუიზას ვედრებას: „ბიჭებო, თქვენ შემოგევლეთ, მადროვეთ, ცოტახანს ნუ ამაყენებთ, ძალიან დავიღალე, ნეტავ გაცოდინათ როგორ



მსიამოვნებს, მხოლოდ რაც ჩამრჩა, კაბა!“ [illegible] მის სხეულზე თავდახრით მდგარ გოგონებს.

და [illegible] შუა გზაზე, შუა ლაქში [illegible] უშუ[illegible]ებისა[illegible] ვგონე[illegible] სოფიკოს[illegible]გან“ თავისუფალი, იწვა ისე, რომ გეგონებოდათ, ასფალტზე კი არა, ლუდოვიკოს ლოგინში ნებივრობსო.

ბევრ ქვეყნებში ვყოფილვარ, ბევრი მაწანწალა და „ბასიაკი“ მინახავს, მაგრამ ხალხის, ადათ-წესების ასე აბუჩად აგდებას, გინდაც საკუთარი „ღირსებებისადმი“ ამგვარ დამოკიდებულებას არსად შევხვედრივარ.

უნიკალური სურათის ცქერამ ერთხანს ყველანი გაგვიტაცა, მაგრამ მისგან თვალმოუშორებლად, თავის საქციელის მართებულობაში დარწმუნებული კაცის გამომეტყველებით გააგრძელა დიალოგი იზამ:

— როგორ თუ რამ მომიყვანა? მას (პრეზიდენტს) ყველაფერი? ჩვენ კი, რომლებმაც საქართველო ჩვენი ზურგით მოვიტანეთ დღემდე, — თვით მაგ საზიზღარიც კი!... არაფერი?!... და მუქარის ამსახველი თავის ქიცინით გამოსცრა მოკუმულ ბაგეებიდან: გადადგეს პრეზიდენტობიდან, ჩვენც აქ აღარ მოვალთო.

–კი, მაგრამ ბალბატონო...

— არავითარი მაგრამ, სანამ არ გადადგება, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო.

— – როგორ, ამოდენა ხალხს...

— ეს ხალხი არ არის! ეს მონებია! გადადგეს და თან წაიყვანოს თავისი უმეცრები, [illegible]ეუ არ დავუშლი, დიახ, ასე!

„საუბარში“ ჩაერთო სიმპატიური გარეგნობის, საშუალო ტანის ორმოციოდე წლის მამაკაცი.

— „მე კაცო, თითონ მერსედესით დასრიალებს და ხალხი შიმშილით იხოცება! აბა, პრეზიდენტი ისე უნდა იქცეოდეს“, — „მოხია“ იზას მეგობარმა.

— რას ამბობთ, საბჭოურ სივრცეში საქართველო ეკონომიკურად ყველა რესპუბლიკებზე უკეთეს მდგომარეობაშია და ვის შია დღეს?... თქვენ რა, არც სამსახური გაქვთ და არც მანქანა? ვკითხე მოპაექრის თავხედობით გაგულისებულმა.

— „მე პროფესიით ექიმი ვარ. სამსახურიც მაქვს და მანქანაც. არც მშია და არც მწყურია, პრეზიდენტის სათხოვარიც არაფერი მჭირს. მე, უბრალოდ, ხალხის ბედი მაწუხებს.

— რომელი ხალხის ბედი გაღელვებთ თქვენ? თუ ქართველობას გულისხმობთ, თავად ხედავთ და ისმენთ, როგორი წყევლა-კრულვითაც გიხსენებენ, ასე არ არის, სოფიკო?

— აქ რა, ამათ გარდა სხვა ხალხი არ ცხოვრობს? — მომიგო ნიშანი „პოეტესამ“.

— მაგენი გამსახურდიას მონებია! — დაასკვნა ჭკუის კოლოფმა ექიმმა.

— თქვენ ვინა ხართ? — ჩავეძიე ჭკუის კოლოფს.

— ჩვენ ოპოზიციაში ვუდგევართ გამსახურდიას — მიპასუხა მან.

— თქვენ გაიგებდით ალბათ, რომ ტერპეტროსიანს თავისმა ხალხმა თვითმფრინავი აჩუქაო, ქართველები კი, პრეზიდენტი „მერსედესით“ რომ „დასრიალებს“, ამისათვის ოპოზიციაში უდგებით და მის გადადგომასაც ამ მოტივით მოითხოვთ, და ამ მიზნის მისაღწევად ქუჩაში დაკოტრიალებთ და ამაში სასაცილოსა და სამარცხვინოს ვერაფერს ხედავთ?..

— დიახ, ვერ ვხედავთ! — ჯიუტი ბავშვის გაბუტული კილოთი დაადასტურა იზამ.

— ფრიად დამაჯერებელი არგუმენტები გქონიათ პრეზიდენტის გადასაყენებლად და აბა რა მეთქმის-მეთქი და „სოფიკოს“ მივუბრუნდი.

— შენ და შენს ამხანაგებსაც გეტყობათ ძალიან შეუწუხებიხართ ზვიად გამსახურდიას მერსედესს?

— არა, კარგო ძია, ჩვენ არაფერს არ შევუწუხებივართ. სუფრიდან მოვდივართ, მე ეხლა 300 გრ-ში ვზივარ, ისინი კი სულ მთვრალებია. იზა და ლუიზა ჩვენი ჯიგრებია. დაგვიძახეს და წამოვედით, „ვოტ ი ვსიო“. თანაც, ბევრ კარგ რამეებს გვპირდებიან სამომავლოდ...“

— ქვებს რომ ესროდით მთავრობის სახლის ფანჯრებს, არ გეშინიათ, რომ დაგიჭირონ? ვკითხე ყოველ შემთხვევისათვის.

ვაიმეეე.. შეიცხადა სოფიკომ. თქვენ არ იცით ესენი რა მაგარი ოპოზიციონერებია. ამათ გვერდით როცა ხარ, არავისი და არაფრის არ გეშინია. აი, თქვენ აწი სულ ჩვენთან იქნებით და ამაში თავად დარწმუნდებითო, გადამიწყვიტა „სოფიკომ“.

ამ გოგონას სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ იმიტომ, რომ ჯერ ერთი ის ბავშვის დედა ყოფილა და მეორეც იმიტომ, რომ კარგა ხანია მიხვედრილია იმას, რომ „ჯიგრებმა“ — იზა ორჯონიკიძემ და ლუიზა შაკიაშვილმა ერთ დროს მაგრად გააბრიყვეს.

ქალბატონმა ლუიზამ იმდენი იკოტრიალა რუსთაველზე, რომ ბოლოს და ბოლოს საწადელი აისრულა. დაამხო ეროვნული მთავრობა და შეგორდა შევარდნაძის ანტიეროვნულ პარლამენტში და გაზეთ „ასავალ-დასავალის“ კორესპონდენტ ვანო პავლიაშვილის მუდმივი სიმპათიები მოიპოვა.

ამ უკანასკნელის მეშვეობით ერთი „ღირებული“ განცხადების გაკეთება შეძლო საქვეყნოდ, რომ თურმე მას „მაია კარდენახელს“ ეძახიან, მე კი გამიგია, რომ მას ეროვნულ მოძრაობაში თავის ტკივილის, შაკიკისა და შოკოშვილის სახელით იცნობდნენ, მაგრამ ამ ზედმეტი „თავმდაბლობისათვისაც“ თავი არ მოუკლავს და ყოველგვარი უხერხულობების განცდების გარეშე თავისი თავი შეადარა „მაია წყნეთელს“, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში ულამაზესი ქართველი მსახიობი ქალის ქალბატონი ლეილა აბაშიძის სახისმეტყველებით არის დამკვიდრებული. სწორედ ამაზეა ნათქვამი, სად ერეკლე და სად მისი ხმალიო. მაგრამ ხომ იცით, ისიც არის ნათქვამი, — კაცს თავი რომ არ მოსწონდეს, ჯარობანა არ შეიყრებოდაო. ასე, რომ არა, ვანო პავლიაშვილის გაზეთ „ასავალ დასავალის“ გარე კანზე „ბუგრიმოვას ლომივით“ აღბეჭდილ მის სახეზე, მოვალეობისადმი ვალმოხდილი ადამიანის ლაღი გამომეტყველებით და ისიც ძმისშვილებსა თუ სხვის შვილებში ჩამჯდარი „საკუთარი შარიების გუგუნით“ თავს არ შეგვახსენებდა.

ზოგიერთებს, ვინც მეტი შემზარავი ფაქტების მომსწრე და მნახველია, შეიძლება ზემოთ აღწერილი სურათი უმნიშვნელოდ მოეჩვენოს, მაგრამ ხომ გაგიგიათ, „ზღვა კოვზით დალიაო“ და ეს ფაქტიც პატარა ნაწილია იმ დიდი უბედურებისა, რომელითაც 1991 წლის 22 დეკემბრის დილის ტრაგედია ასაზრდოვა ჩვენმა სისხლმა და ხორცმა.

როსტომ კუტალია

# უპირველესად „პატრონისა სამსახური" და ჯგუფური ინტერესები

## პასუხად აკად. გ. მელიქიშვილის თავგადაკლულ მომხრეებს

საქართველოში მოღვაწე რუს ისტორიკოს პეტრე უშაკოვის საქმის თაობაზე სპეციალური კომისიის შექმნა და მის მიერ დაწერილი ორი პასუხი მე პირადად დიდ წარმატებად მიმაჩნია. როგორც გაზეთ „საქართველოს" მკითხველებმა იციან, პირველი როდი ვარ, ვინც პეტრე უშაკოვის ნაშრომების გამომზეურებასა და შეფასებას, მათ ბედ-იღბალის დადგენას ცდილობს. ამ მხრივ ჩემი წინამორბედი გახლდათ ცნობილი ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე, რომელიც პეტრე უშაკოვთან რამდენიმე წლის განმავლობაში კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში მუშაობდა და შემდგაც, მის გარდაცვალებამდე, მეგობრობდა მასთან. ასე რომ, ბატონმა სარგისმა ძალიან კარგად უწყოდა თუ პეტრე უშაკოვის სახით რა დონის მეცნიერთან ჰქონდა საქმე, რა ნაშრომები (ხელნაწერები) დატოვა მან და რა ბედი ეწიათ მათ. ფაქტია, რომ მიუხედავად თითქმის მთელი ოცი წლის მანძილზე ბ-ნ სარგისის დიდი მცდელობებისა გ. მელიქიშვილი ერთხელაც არ გამოხმაურებია. რაში იყო საქმე? განა ადამიანი ცილისწამების მხრივ ასე დაუცველია? თუ ვინმე რამეში გადანაშაულებს და თანაც ამდენი ხნის მანძილზე, დაზარალებულმა კეთილი ინებოს და პასუხი გასცეს (ზეპირად ან წერილობით) ცილისმწამებელს ანდა მოითხოვოს სათანადო კომისიის შექმნა სიმართლის დასადგენად. მაგრამ გ. მელიქიშვილს ამ გზებისათვის არ მიუმართავს. უკვე ამ ფაქტიდან გამომდინარე სერიოზულ ისტორიკოსს საფუძვლიანი ეჭვი უნდა გაუჩნდეს. ვფიქრობდი, რომ დიდად გამოცდილი და გარკვეული ხასიათის (ფსიქოლოგიური) მქონე გ. მელიქიშვილი ჩემს პუბლიკაციას ამჯერადაც წაუყრუებდა. ამიტომ მე და ეთნოგრაფოსმა ლევან ფრუიძემ რამდენიმეჯერ ვთხოვეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობას რათა სპეციალური კომისია გამოეყოთ ჩემს პუბლიკაციასთან დაკავშირებით (მანამდე, ამა წლის 9 სექტემბერს, იგი მოხსენების სახით წავიკითხე საზოგადოება „ცოდნაში"). ვიმეორებ, თუ არა ჩვენი ამგვარი მცდელობა, ისე ჩემს პუბლიკაციას რაიმე სერიოზული რეზონანსი არ მოჰყვებოდა.

გულუბრყვილოდ ვფიქრობდით, რომ მეცნიერებათა აკადემიის მესვეურები შეეცდებოდნენ ბევრად უფრო კომპეტენტური კომისიის შექმნას, რომელიც ასე თუ ისე მაინც დაინტერესდებოდა ჭეშმარიტების დადგენით. სამწუხაროდ, იმედები გაგვიცრუვდა: „კომისია" შედგენილ იქნა გ. მელიქიშვილის თავგამოდებულ მომხრეთაგან, რომლებიც ან პირადად მისგან დიდად არიან დავალებულნი ანდა საერთო — სოციალურ-ჯგუფური ინტერესით დაკავშირებული. როცა ერთი ნახევარფაბრიკატული წიგნისა და ერთი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის ავტორს აკადემიკოსობას უწყალობებენ და ინსტიტუტში სოლიდურ განყოფილებას (იდეით მაინც) ჩააბარებენ, როცა სულ სხვა თემატიკაზე მომუშავეს ჯერ შრომითი კოლექტივების ისტორიის (ტიპური საბჭოური სამეცნიერო პროდუქტი!), შემდეგ კი საქართველოს პოსტკომუნისტური ისტორიის განყოფილებას ჩააბარებენ (ისე რომ ამ საკითხზე ერთი საგაზეთო სტატიაც კი არ გექნება გამოქვეყნებული) და თანაც მსგავს უნიჭობის განსახიერებას — ერთ დროს საწარმოს კომკავშირელ წინამძღოლს ახლა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორობა მოუნდეს და ამ საქმეში აწინდელი დირექტორის „ჩინისა და მეტლაკების" მიღება სურს, როცა ადამიანს, რომლის სამეცნიერო კარიერის მწვერვალი ჩვენს დღევანდელ გაუკულმართებულ საზოგადოებაშიც კი მეცნიერებათა კანდიდატობა და დოცენტობა უნდა ყოფილიყო, ხოლო „პატრონის" წყალობით მეცნიერების დოქტორობასა და პროფესორობას გამოჰკრა ხელი და უნივერსიტეტში ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში ლექციების კურსის წაკითხვას ანდობენ და როცა სავსებით უჩინარ, მეცნიერებასა და საზოგადოებრივ აქტიურობაში არაფრით გამორჩეულ პირს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ გაგხდიან — ხომ იძულებული შეიქმნებიან ერთგული ყმობა გამოიჩინონ.

რასაკვირველია, არასოდეს არ მქონია მაღალი აზრი „კომისიის" წევრ ისტორიკოსებზე, მაგრამ როცა მათი ოპუსს (პირველი წერილის სახით) გავეცანი ყოველგვარი იმედი გადამეწურა. აღმოჩნდა, რომ მათთვის ობიექტურობა აბსოლუტურად არაფერს არ ნიშნავს. აქედან გამომდინარე, გასაგებია, ჩემეული პუბლიკაცია მათ ოდენ პასკვილად აღიქვეს და ვერ გაიცნობიერეს, რომ იგი ძირითადად ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომს წარმოადგენს, რომელშიც ვცდილობ გამოვასწორო ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზი. მსგავსი ყაიდის ისტორიკოსებს საისტორიო წყაროებზე სერიოზული მუშაობა და სათანადო ფაქტების დადგენა, შესაბამისი აზროვნების გამოჩენა არ ხელეწიფებათ, მეთოდებზე და მისთ. ლაპარაკი ხომ სავსებით ზედმეტია. მათეული „მეცნიერული" აზროვნების ერთადერთი ამოსავალი გახლავთ „ადვოკატურ-გამასარჩლებითი" მეთოდი (როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი იტყოდა). ჩვენს უკუღმართ სოციალურ სინამდვილეს რა ვუთხარი, თორემ როგორ შეიძლება ისტორიკოსებად იწოდებოდნენ პირნი, რომელთაც არ შეუძლიათ მარტივ საკითხზე მსჯელობისასაც კი დოკუმენტებისა და ფაქტების ენით იაზროვნონ და ილაპარაკონ და რომელნიც ადვოკატთა მსგავსად საკითხს წინასწარი განზრახვით უდგებიან. დიდად მზარავს განსაკუთრებით ერთი გარემოება. აღნიშნული კომპანიიდან ერთ-ერთი მათგანი ხომ მრავალი წლის მანძილზე სულ სხვა რამეს ჩაშჩიჩინებდა გ. მელიქიშვილის შესახებ. მაგრამ ამჯერად, სავსებით გასაგები მოტივების გამო, კურსი 180 გრადუსით შეიცვალა. (ამ შემთხვევაში სიტუაციის გაგებაში დიდად მეხმარება ყვარყვარე თუთაბერის „გენიალური" შეგონება: „ეს ვერ გამიგია, ზოგიერთი კაცი სირცხვილით მიწაში რომ ჩაძვრება, სირცხვილს რომ სჭამ კაცი, თუ ვარგიხარ, მაშინ თავი უფრო მაღლა უნდა ასწიო").

„კომპანიის" წევრებმა ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ სათქმელი მხოლოდ არსზე ეთქვათ და ერთი დასკვნა გაეკეთებინათ. ამის ნაცვლად, როგორც დავინახეთ, ორი უზარმაზარი წერილი გამოაცხვეს, რომლებიც სჭარბობენ ჩემეულ პუბლიკაცია-გამოკვლევას. გამოქვეყნება ორი წერილისა მე აღვიქვი თავისებური სამეცნიერო იერარქიის გამოვლინებად: ერთს ხელს აწერენ ძირითადად „მოკვდავი მეცნიერნი" თუმცა ერთი „უკვდავის" (აკადემიკოსის) ხელმძღვანელობით, ხოლო მეორეს — ორივე „უკვდავი" (აკადემიკოსები).

ჯერ ძირითადად „მოკვდავთა" ოპუსზე შევჩერდებით. მიუხედავად იმისა, რომ „კომისიის" წევრები ჩვეულებრივ ურცხვად სტყუიან, ისინი მართალი არიან იმაში, რომ მათი წერილი გ. მელიქიშვილისაგან „მალულად დაიწერა". ამ მხრივ კი უკანასკნელს არაფერი არ „ემლება" — იცის, რომ საქმის გახმაურებით შეიძლება რაღაც უსიამოვნო რამ გამოჩნდეს. ისიც სწორია, რომ იყო შემთხვევა როცა გ. მელიქიშვილმა არ ურჩია გრ. გიორგაძეს პასუხი გაეცა ჩემს წერილზე, რომელიც ეხებოდა წინაკაპიტალისტური ევოლუციის საფეხურების თაობაზე გ. მელიქიშვილის უაღრესად უსუსური შეხედულებების კრიტიკას. სწორედ მათი გამართლება სცადა პატრონის ერთგულმა ყმამ. მაგრამ საკითხზე მას ოდნავ მეცნიერული წარმოდგენაც კი არ ჰქონია და არც დღეს გააჩნია. ამიტომაც უფრო წინდახედულმა „პატრონმა" ზედმეტად ჩასთვალა ერთგული ყმის უადგილო თავგამოდება. „კომისიის" წევრები რომ ჭეშმარიტების დადგენით ოდნავ მაინც ყოფილიყვნენ დაინტერესებული, მაშინ უნდა დაეწყოთ პეტრე უშაკოვის ხელნაწერებზე არსებული ზეპირგადმოცემების შემოწმებით. ამიტომ, ცხადია, უნდა შემკითხოდნენ თუ საიდან, რაზე დაყრდნობით, მომაქვს ისინი. არაფერი ამის მსგავსი! ყოჩაღი შერლოკ ჰოლმსები თუ მეგრეები მხოლოდ იმას დასჯერდნენ, რომ ჩემეულ პუბლიკაციაში მოტანილი ყველა გადმოცემა ჩემს შეთხზულად ჩასთვალეს. მათ რომ რაიმე ინტერესი ჰქონდეთ ჭეშმარიტების დადგენისა და შემკითხოდნენ, მაშინ ხომ ჩემს მიერ მოტანილი ცნობების წყაროებს (ზეპირს) ადვილად დაადგენდნენ.

რაკი არავითარი იმედი არა მაქვს „კომისიის" წევრებს რაიმე შევასმინო, ამჯერად მკითხველთა ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ ფაქტებზე. პეტრე უშაკოვის ცოცხალ ხანდაზმულ მეზობლებს მშვენივრად ახსოვთ მისი მეუღლის მათ წრეში ჩივილი: **"приходят и забирают рукописи моего мужа"**. თუ ამ სიტყვებში იგულისხმება ორი ან მეტი პირი, მაშინ კითხვა დაისმის: ვინ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვინც დაინტერესებული იყვნენ ურარტულოლოგიური (ძირითადად) ხელნაწერებით? საქართველოში ხომ იმ დროს ორად-ორი კაცი მუშაობდა აღნიშნულ სფეროში — გიორგი წერეთელი და გიორგი მელიქიშვილი? ამათგან პირველი, რა თქმა უნდა, გამორიცხულია. ასე რომ, მოტანილ ფრაზას მე ისე ვგებულობ, რომ ერთ პიროვნებას პეტრე უშაკოვის ბინიდან ხშირად მიჰქონდა ხელნაწერები და მრავლობითი რიცხვის ხმარება ამ მხრივ რაღაცნაირად გამართლებულია. ამ ვიღაცის ვინაობაზე პეტრე უშაკოვის ქვრივი მეზობლებს არაფერს არ უუბნებოდა, ანდა შეიძლება კიდეც უუბნებოდა, მაგრამ არ დაამახსოვრდათ. სამაგიეროდ იგი ბ-ნ სარგისს ნიშანდობლივ მიუთითებდა თუ ვინ იყო მსგავსი საქმის ჩამდენი. იგივე ფაქტი დასტურდება სხვა პირის მიერაც. როგორ მოხდა, რომ სულ სხვადასხვა პირნი, რომელთაც ერთმანეთის არსებობაც კი არ იციან, ფაქტობრივად ერთსა და იმავეს ადასტურებენ. ვფიქრობ, რომ ამაში სერიოზული რეზონი არსებობს და ამ შემთხვევაში ჩემი აკვიატება არაფერ შუაშია.

მოდით ერთი წუთით დავფიქრდეთ შემდეგ საკითხზე. 1944 წლის დეკემბერში გ. მელიქიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ურარტულოლოგიაში და შეუდგა სამუშაოს სადოქტორო დისერტაციაზე ამავე სფეროში და იმავე საკითხზე რომელიც უფროს კოლეგას — პეტრე უშაკოვს უკვე წარდგენილი ჰქონდა 1940 წელს. როგორ, მომავალი დოქტორანტი განა არ დაინტერესდებოდა აღნიშნული დისერტაციით? ანდა მანამდე განა მას რაიმე ურთიერთობანი არ ექნებოდა პეტრე უშაკოვთან? უეჭველია, რომ გ. მელიქიშვილი აუცილებლად გაეცნობოდა უკანასკნელის სადოქტორო დისერტაციას. რაკი ასეა, განა იგი ვალდებული არ იყო თავის მომავალ დისერტაციაში მიეთითებინა წინამორბედის ნაშრომი? და ა. შ. კომისია რომ ამ სახელწოდებას ამართლებდეს, მაშინ მას ამ საქმისათვისაც უნდა მოეკიდა ხელი და გ. მელიქიშვილისათვის აღნიშნული კითხვები დაესვა. გაზეთ „საქართველოს" მეშვეობით მე პირადად კვლავ მივმართე გ. მელიქიშვილს რათა პასუხი გაგვცეს მსგავს კითხვებზე.

„დიდად პროფესიონალი" ისტორიკოსები მიკიჟინებენ უსუსურობას თვით წყაროთმცოდნეობის დონეზეც კი, რომელსაც მომავალი ისტორიკოსი ჯერ კიდევ უფროს კურსებზე უნდა იყოს დაუფლებული. თურმე ერთ-ერთ მათგანს (ა. დაუშვილს) ერთი დღეც არ დასჭირდა იმის გასაკეთებლად, რაც მე რვა წლის მანძილზე ვერ შევძელი, კერძოდ აღმოაჩინა პეტრე უშაკოვისეული სადოქტორო დისერტაციის მეორე ეგზემპლარი, მისი 169 გვერდიანი ნაშრომი, ათი ბიბლიოგრაფიული ხასიათის (სინამდვილეში ზოგიერთი მათგანი ისტორიოგრაფიულიცაა) საქაღალდე. (იქნებ იგი დაინტერესდეს და პეტრე უშაკოვის სხვა დაკარგული მონოგრაფიები და სტატიებიც მოძებნოს!) მაგრამ ამის მტკიცებისას ხომ ურცხვ ტყუილთან გვაქვს საქმე. სინამდვილეში ჩემს მიერ 9 სექტემბერს წაკითხული მოხსენების შემდეგ, როცა აღვნიშნე ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე უშაკოვის ურთიერთობების ამსახველი შვიდი დოკუმენტის არსებობა, მეცნიერებათა აკადემიის არქივის ერთ-ერთი თანამშრომელი დიდად დაინტერესდა იმით — იქნებოდა თუ არა მსგავსი დოკუმენტები სიმონ ჯანაშიას არქივშიც. ზემოთ აღნიშნული და სხვა მიგნებანი სწორედ მას ეკუთვნის. ვის სჭირდება ამგვარი მტკნარი ტყუილი? ყოჩაღი „კომისიის" წევრები ფიქრობენ, რომ მხოლოდ ბრიყვ მკითხველებთან ექნებათ საქმე და არას დაგიდევენ ტყუილების უხვად დახვავებას. მაგრამ სხვა კატეგორიის მკითხველებიც ხომ არსებობენ და თანაც მეც ხომ უპასუხოდ არ დავტოვებ მსგავს ყალთაბანდობებს.

ჩემს პუბლიკაციაში არსად არ მიწერია რომ პეტრე უშაკოვის ხელნაწერების მითვისება დაიწყო 1943 წლამდე. თურმე არაფერი საეჭვოა იმაში, რომ პეტრე უშაკოვის პირადი საქმე, რომელიც 1946 წელს შედგა, მეცნიერებათა აკადემიის არქივს გადაეცა 23 წლის შემდგომ და თანაც ნაკლულოვანი სახით, მასში არ ფიგურირებს ფურცლები რომლებსაც უნდა გადმოეცათ პეტრე უშაკოვის ცხოვრების ორი წელი — 1941 წლის 16 სექტემბრიდან 1943 წლის 15 სექტემბრამდე. სხვანაირად რომ ვთქვათ, დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც ჩვენთვის დიდად საინტერესო ფაქტებს დავადგენდით. თურმე კერძოდ ჩემი „პასკვილისა" არავის არა სჯერა. მაგრამ როცა იგი 9 სექტემბერს წავიკითხე, დარბაზში მსხდომთა უმეტესობა მის დედააზრს დაეთანხმა, ხოლო ვინც (გ. მელიქიშვილის ერთგულმა ყმებმა) არ დაიჯერა და დაგვიპირისპირდა, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თურმე როცა პეტრე უშაკოვის „ტრაგიკული აღსასრული" ვახსენე, ამაშიც ვცრუობ, რამეთუ მას ფიზიკურად არ გასწორებიან. მაგრამ ფიზიკურად არ მოუსპიათ ვთქვათ ნიკოლოზ ბარათაშვილი და ლადო ასათიანი, რომლებიც ავადმყოფობით გარდაიცვალნენ, მაგრამ მათ მიმართ ხომ მსგავს სიტყვებს ხარობენ; რატომ არ შეიძლება იგივე ვთქვათ ჭლექით დასნეულებულ და უკიდურეს მეტერიალურ შეჭირვებაში აღსრულებული პეტრე უშაკოვის მისამართით, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ მის არც თუ დიდ ასაკს და მეცნიერული მემკვიდრეობის ფათერაკებს. „დიდად პროფესიონალური კომისიის" წევრები რიხიანად გვიმტკიცებენ, რომ პეტრე უშაკოვის დისერტაციის ოპონირებაზე უარი განაცხადეს ი. მეშჩანინოვმა და გ. ღაფანციანმა და მსგავს „მოსაზრებას" მტკიცე ბეჭედს უსვამენ: ეს მოხდა პეტრე უშაკოვის დისერტაციის დაბალი დონის გამოო. მაგრამ საიდან გააკეთეს ასეთი დასკვნა? მე უფრო ის მჯერა, რომ ამ შემთხვევაში თავი იჩინა ომის წლების სიდუხჭირემ — განა ადვილი იყო მოსკოვიდან ან ერევნიდან თბილისში ჩამოსვლა ოპონენტობის გასაწევად. რომ პეტრე უშაკოვის მიმართ სიმონ ჯანაშიას, გიორგი წერეთლის და სხვათა კრიტიკული დამოკიდებულება აიხსნება პირველს ნიკო მარის „ახალი მოძღვრებით" გატაცებითაც, ეს ეჭვებს არ უნდა იწვევდეს. მე მტკიცედ მწამს, რომ პრინციპულად, მეცნიერული თვალსაზრისით სიმონ ჯანაშია და სხვანი, რომლებიც ამ საკითხში ივანე ჯავახიშვილის შეხედულებას იზიარებდნენ, უდავოდ სწორნი იყვნენ, მაგრამ მოწინააღმდეგეებთან (მარისტებთან) ისინი მთლად კორექტულად როდი იქცეოდნენ და ამაში მათ მხარს უმაგრებდა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება (ლ. ბერიას ხელმძღვანელობით). ეს გარემოება ქართული მეცნიერების ისტორიის ელემენტარული ფაქტი გახლავთ. როცა ჩემი ოპონენტები ამას ერთბაშად უგულებელყოფენ, დაე მსგავსი ზღაპრები შვილიშვილებს უამბონ (რაკი შვილები უკვე აღარ დაუჯერებენ). ურცხვი დემაგოგიაა როცა „კომისიის" წევრები მიკიჟინებენ თითქოს ქართულ სამეცნიერო ელიტას 40-იანი წლებიდან დღემდე „გულუბრყვილო, უმეცარ საზოგადოებად" ვთვლიდე. ჯერ ერთი, ჩვენი წინაპრებისადმი მსგავსი რამ არ განმიცხადებია და მეორე, მათ დღევანდელ ე. წ. სამეცნიერო ელიტასთან ვერ გავათანაბრებ. ჩემი „ძვირფასი კოლეგების" დემაგოგია იქამდეც კი მიდის, რომ თითქოს ერთი მოხსენების დროს „აშკარა ცინიზმი და ირონიული ტონი" თვითონ ივანე ჯავახიშვილის მიმართაც კი გამოვხატე. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი ილიასთან ერთად, მთელი გულწრფელობით ვაღიარებ, ჩემი უსაყვარლესი პიროვნება გახლავთ და მსგავს რამეს როგორ ვიკადრებდი. და თუ გრ. გიორგაძეს და მის კომპანიას მსგავსი რამ მოეჩვენათ, ეს აიხსნება ცნობილი ფსიქოლოგიური მოვლენით, რაც ქართულ ხალხურ სიბრძნეში მშვენივრად არის გაცხადებული. მიკიჟინებენ ქართული ენის უცოდინარობას. ილიასი არ იყოს, რასაკვირველია, მეც ვცოდავ ხოლმე ქართული ენის წინაშე. მაგრამ მოწინააღმდეგე ბანაკისაგან განსხვავებით მე არასოდეს არ დავწერ „ღვინის საწყობს" მარნის ნაცვლად, ხოლო ზეპირი მეტყველებისას არ ვიტყვი „წევედი", „მევიტანე" და მისთანებს. თურმე რუსულ ენაშიც მთლად უსუსური ვყოფილვარ და ელემენტარულ შეცდომებს ვუშვებ. მაგრამ მოტანილი შეცდომები ხომ აშკარად კორექტორული ხასიათისაა.

ახლა ჩემი პლაგიატის შესახებ, რომლის შესახებაც „ევრიკა!" პირველად მ. სამსონაძემ დაიძახა. დაახლოებით 3 წლის წინათ გავაცნობიერე, რომ ულუ-დავითის აჯანყებისას (მონღოლთა წინააღმდეგ) ცნობილ ბრძოლას ადგილი ჰქონდა დღევანდელი ხაშურის მიდამოებში, ყოფილ სოფელ შინდარასთან, ასე რომ, ბრძოლის ადგილის გორთან ლოკალიზება უაზრობაა. მალე ეს მოსაზრება გავანდე წარმოშობით ხაშურელ ისტორიკოსს ბ-ნ კარლო ტაბატაძეს, რომელმაც მითხრა, რომ მსგავსი მოსაზრება დაბეჭდა ხაშურელმა ისტორიკოსმა ბ-ნმა გივი იმერლიშვილმა. ხატზე დაფიცება ამჟამად მოდაში აღარაა, თორემ დავიფიცებდი, რომ ორი წლის განმავლობაში ბ-ნ კარლოს რამდენჯერმე ვთხოვე მიეთითებინა ჩემთვის საინტერესო პუბლიკაციის შესახებ. აღნიშნული ხნის მანძილზე პასუხი ვერ მივიღე და ბოლოს ამ პუბლიკაციის შესახებ დიდად დავეჭვდი. ამა წლის მაისში მართლაც მოხდა ჩემი ოპონენტების მიერ მოთხრობილი ამბავი, რამაც გ. სამსონაძე და სხვები დიდად აღაფრთოვანა. პასუხად მე განვაცხადე, რომ დაბეჭდვისას აუცილებლად გავითვალისწინებდი ბ-ნ გივი იმერლიშვილის პუბლიკაციას. მართლაც როდესაც ორი თვის შემდეგ ჩემი სტატია „სალიტერატურო გაზეთში" გამოვაქვეყნე, ეს გარემოება აღვნიშნე. მეტსაც ვიტყვი. სრულიად შემთხვევით წავაწყდი ბორჯომელი ისტორიკოსის, დიდად ღირსეული კაცის, აწ განსვენებული ბ-ნ გიორგი ზედგინიძის 1972 წელს გამოქვეყნებულ სტატიას (ეთნოგრაფოსების კრებულში), სადაც იმავე ფაქტის თაობაზე სწორი მიხვედრაა გამოთქმული. რასაკვირველია, ჩემს აღნიშნულ წერილში ამაზედაც მივუთითე. საქმე იმაშია, რომ ცნობილი ავტორიტეტების წყალობით ჩვენში დამკვიდრდა შეხედულება ზემოხსენებული ბრძოლის გორის მიდამოებში მოხდენაზე, რის გამოც ორი ადგილობრივი (ბორჯომელი და ხაშურელი) ისტორიკოსის მიხვედრები არა კმარა. სიყალბეა თითქოს ჩემი მოხსენება „მთლიანად გადმოღებული იყო" ბ-ნ გივი იმერლიშვილის პუბლიკაციიდან. ეს აშკარაა თუნდაც იქიდან, რომ ჩემეული ტექსტი სულ ცოტა ორნახევარჯერ მეტი მაინც იყო მოცულობით და ჩემს მოხსენებაში სხვა მომენტებზეც შევაჩერე ყურადღება. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ თითქოს ჩემეულ ნაშრომს „სერიოზული მიმართვის ფორმა მივეცი". მაგრამ მე არაფერი, აბსოლუტურად არაფერი არ შემიცვლია, მხოლოდ დაბეჭდილი სტატიის ბოლოს დავურთე მანამდე ჩემთვის უცნობი პუბლიკაციების დედააზრი. მ. სამსონაძეს კიდევ ერთი „შემოქმედებითი შთაგონება" მოსვლია და იგი გადამდები აღმოჩნდა „კომისიის" სხვა წევრთათვის: მე ხომ წარმოშობით თითქოს ხაშურელი ვარ, ამდენად ვიცნობდი დასახელებულ სტატიას და მაშასადამე, ჩემს პლაგიატორობასაც წყალი არ გაუვა. საოცარია: 30 წელია რაც ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ვმუშაობ და ამდენი ხანია რაც კომისიის წევრები (ერთის გარდა) მიცნობენ და ამ ხნის განმავლობაში განა უნდა გასჭირვებოდათ დადგენა იმისა, რომ მე წარმოშობით ბორჯომელი ვარ. მე ხომ მავანთაგან განსხვავებით არასოდეს არ მიცდია ჩემი ბიოგრაფიის რომელიმე მონაცემის გაყალბება!

აი თურმე რაში მდგომარეობს მეცნიერებაში ჩემი ერთ-ერთი დიდი კრიმინალი, რომლის გამოისობითაც მომავალში, საიქიოში როცა მოვხვდები, მძიმე განსასჯელი მელოდება და ამ მხრივ უთუოდ მავანთა ხვედრს გავიზიარებ. რა თქმა უნდა, მე რომ სოფლის ჭორიკანა დედაკაცების დონის ხალხთან არ მქონდეს საქმე ზემოაღნიშნულის შესახებ ლაპარაკი არ დამჭირდებოდა. მაგრამ რას იზამ? თუმცა აღნიშნული შედარება მთლად ზუსტი არაა და მას თავისი ქვეტექსტი აქვს: ჯერ ერთი, ამით სურთ, რომ თავიანთი პატრონის საძრახისი საქციელიდან ყურადღება ჩემზე გადმოიტანონ და მეორე, „კომისიის" ერთ-ერთი წევრი კარგა ხანია მსგავს ხელმრუდობაშია შემჩნეული: ჯერ კიდევ საკანდიდატო დისერტაციაში მან უხვად გამოიყენა ისტორიკოს დერმიშა გოგოლაძის 1959 წელს გამოსულ წიგნში მოთავსებული საარქივო მასალები და თავს ისე აჩვენებდა თითქოს სამეცნიერო მიმოქცევაში ისინი პირველმა შემოიტანა. მერე და მერე მსგავსი ქცევა აღნიშნულ პირს რომ იტყვიან მეორე ნატურად ექცა, რის თაობაზედაც მთელი კატეგორიულობით აცხადებდა აკად. პაატა გუგუშვილი (იხ. მისი რეცენზია მ. სამსონაძის წიგნზე ჟ. „ეკონომისტი", 1981, № 10, გვ. 16-18).

თურმე ჩემი მძიმე პიროვნული თვისებების გამო თავის დროზე ჩემთვის ყველა სამეცნიერო დაწესებულების კარი აღმოჩნდა ჩარაზული. ამაზე ჩემს „პროფესიონალ" კოლეგებს მოვახსენებ, რომ მოსკოვში საკანდიდატო დისერტაციის (ფილოსოფიაში) დაცვის შემდგომ შემომთავაზეს სამუშაო ამ ქალაქის ორ საკმაოდ პრესტიჟულ (სამეცნიერო და სასწავლო) დაწესებულებაში, ხოლო როდესაც 1970 წელს ბ-ნმა ნიკო ჭავჭავაძემ გამიცნო, ორჯერ შემომთავაზა ფილოსოფიის ინსტიტუტში გადასვლა. მაგრამ ორივე შემთხვევაში მე გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ქართულ მეცნიერებასა და ისტორიის ინსტიტუტს უფრო გამოვადგებოდი. არ უარვყოფ, რომ გ. მელიქიშვილმა გარკვეული ინტერესი გამოიჩინა ჩემდამი (ერთ დროს „დიდად პერსპექტიულ ახალგაზრდადაც" კი მთვლიდა) და მისი დახმარებით მუშაობა დავიწყე ისტორიის... ინსტიტუტში. დაახლოებით სამი წლის განმავლობაში გ. მელიქიშვილთან ფრიად ნორმალური ურთიერთობა მქონდა, მაგრამ როგორც კი ორჯერ შევეკამათე (ძალზე კორექტულად, სამეცნიერო ეთიკის ნორმების დაცვით), ამიერიდან ჩვენი ურთიერთობების ხასიათი შეიცვალა: ჯერ მოინდომა ჩემი გადასვლა ინსტიტუტის საბჭოთა პერიოდის განყოფილებაში, ხოლო შემდეგ მაგრძნობინა, რომ აშკარად persona non grata ვიყავი და ამიტომ სხვაგან გადავსულიყავი.

„კომისიის" წევრთა ცრუპენტელობას მართლაც, რომ საზღვარი არა აქვს. თითქოს ისტორიის... ინსტიტუტში გ. მელიქიშვილის წყალობით „სათბურის პირობები შემექმნა". მეგონა, რომ იგი თავს გამოიდებდა რათა ქართული ისტორიოგრაფიის დიდი ხარვეზი — დაბალი თეორიული დონე გამოგვესწორებინა. მაგრამ სამწუხაროდ, მან არაფერი არ ილონა ამ მიმართულებით. თურმე ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორად ჩემს გახდომაშიც გ. მელიქიშვილს დიდი როლი უთამაშია. მაინც რაში გამოჩნდა ეს? მავანნი ანტიმარქსიზმის იარლიყის მიწებებით მთელი ექვსი წლის მანძილზე ხელს მიშლიდნენ დისერტაციის დაცვაში, დიდად „გამოიდვეს" მათ თავი თვით დისერტაციის დაცვის დროსაც. გ. მელიქიშვილი კი ამ საქმეში სულ განზე იდგა. როცა დოქტორობის ხარისხის მიღების შემდეგ მას რამდენჯერმე თხოვნით მივმართე დამხმარებოდა წიგნის გამოცემაში, ამას იგი დუმილით ხვდებოდა (არც ჰო, არც არა). ხოლო როცა აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტი ბ-ნი ევგენი ხარაძე და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მაშინდელი აკადემიკოს-მდივანი ბ-ნი ანდრია აფაქიძე შეეცადნენ დამხმარებოდნენ, გ. მელიქიშვილი შეეცადა ხელი შეეშალა წიგნის გამოცემისათვის. მსგავსი შემთხვევა პირველად როდი მოხდა; მანამდეც რამდენჯერმე მივმართე წიგნების გამოცემაში შემწეოდა, მაგრამ ამაოდ. ფაქტია, რომ თუმცა დღესდღეობით 10 მონოგრაფია და სამეცნიერო კრებული მაქვს გამოქვეყნებული, მაგრამ ინსტიტუტის ეგიდით არც ერთი არ გამომიქვეყნებია. ასე რომ, ინსტიტუტში მუშაობის 30 წლის მანძილზე თითქოს ერთხელაც კი ვერ შევძელი დამეწერა საინსტიტუტო დონისა და გ. მელიქიშვილის მოსაწონი ნაშრომი. რასაკვირველია, მსგავსი პრობლემა არ შექმნია „კომისიის" წევრებს, ასევე ისტორიის... ინსტიტუტის მრავალ სხვა თანამშრომელს.

„კომისიის" წევრები ჩემზე წერენ: „იგი არ უარყოფს,რომ მისი მიზანი დიდი მეცნიერის (კორექტურული შეცდომაა: ცხადია, უნდა იყოს მეცნიერის, გ. ყ.) ფიზიკური განადგურებაა". კვლავ საქმე გვაქვს სოფლის ჭორიკანა დედაკაცების დონესთან: სად, როდის განმიცხადებია მსგავსი რამ. სინამდვილეში ყოველთვის ვაცხადებ, რომ ჩემი მიზანია გ. მელიქიშვილის ფენომენის იდეური მხილება, მაგრამ მას ვუსურვებ დიდ ხანს სიცოცხლეს, მათ შორის იმიტომაც, რათა დაინახოს რომ ქართველები უსასრულოდ ბრიყვები და გონებაჩლუნგები როდი ვართ.

ჩემს მეცნიერულ მრწამსს, ცხადია, გრ. გიორგაძეს და მისთანებს ვერ გავაგებინებ. თუმცა არ დავუკარგავ დამსახურებას და აღვნიშნავ მათს, ვითარცა მკვლევრების გარკვეულ ღირსებას (რა ქნან: „დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა"). მხოლოდ მკითხველთათვის ვთვლი საჭიროდ განვაცხადო, რომ ივანე ჯავახიშვილისა და გრიგოლ ნათაძის შემდგომ ისტორიის ფილოსოფიითა და მეთოდოლოგიით

# უპირველესად „პატრონისა სამსახური“ და ჯგუფური ინტერესები...

## პასუხად აკად. გ. მელიქიშვილის თავგადაკლულ მომხრეებს

ქართველ ისტორიკოსებს თავი არ შეუწუხებიათ. მიზნად დავისახე ამ ტრადიციის აღდგენა და მასზე დაყრდნობით საქართველოს ისტორიის ახლებური გააზრება. თანაც არ მინდა დავემსგავსო მავან ქართველ ფილოსოფოსებს, რომლებიც აღნიშნულ საკითხებზე ოდენ რეფერატებს წერენ. ფუჭსიტყვაობაში რომ არ ჩამეთვალოს, ვიტყვი, რომ კერძოდ მეთოდოლოგიის შესახებ გამოქვეყნებული მაქვს ორი მონოგრაფია და ორი კრებული, მალე გამოვა ჩემი მოზრდილი მონოგრაფია ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის თაობაზე. საქართველოს ისტორიის შესახებ ჯერჯერობით დაბეჭდილი მაქვს ორი კრებული სახელწოდებით „საქართველოს ისტორიის საკითხები“ (39 ნ.თ.), ფაქტობრივად დამთავრებული მაქვს მონოგრაფია ილიაზე და ა. შ. აღარაფერს ვამბობ ჩემს პუბლიცისტიკაზე. ერთი სიტყვით, სულაც არ მიმაჩნია თავი ისე ხელმოცარულად (მეცნიერებაში), როგორც ეს გრ. გიორგაძესა და K°-ს ჰგონია. მაგრამ მოგეხსენებათ ჩვენი წინაპრების სიბრძნისა: „რაც არ უნდა მინდისაო, ყურში (თავშიც!) მძიმედ მიდისაო“ და შემთხვევები როცა რიყეზე ქვის შემჩნევა არ ძალუძთ. იგივე ემართებათ ჩემს „ძვირფას კოლეგებსაც“. სხვათა შორის, ხეთოლოგოსი (ისევე როგორც გრ. გიორგაძე) გახლდათ განსვენებული ედუარდ მენაბდე. მაგრამ მას ესმოდა ჩემი და ამიტომაც საინტერესო საუბრები გამოგვდიოდა, რასაც, ცხადია, ვერ ვიტყვი გრ. გიორგაძესა და მისთანებთან მიმართებაში. თუ მათ ელემენტარული რამ არ ესმით, ამის გასაგებად ფსიქიატრია არ მჭირდება. მიზეზი მათს ოდენ ემპირიული აზროვნების დონეშია საძებნი. ისინი გ. მელიქიშვილსა და ჩემს შორის დაპირისპირებულობას ნათელყოფენ სპილოსა და გოშიას მაგალითზე. მე კი ისინი მაგონებენ თაგვებს, რომელთაც კატა უძლიერეს არსებად წარმოუდგენიათ.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები იმ ჭეშმარიტებაში, რომ ისტორიკოსობა ადვილი საქმე არაა. ამისათვის მრავალ პირობათა შორის საჭიროა საისტორიო წყაროებისა და ფაქტების ლოგიკით და არა წინასწარ აკვიატებული განწყობის მიხედვით აზროვნება. უფრო ღრმად ვაცნობიერებ იმასაც, რომ როდესაც მავანნი, ისტორიკოსობას რომ ჩემულობენ, ასე უმწეონი არიან საკმაოდ იოლად მისახვედრი ამბების გაგებაში, როგორ გაიაზრებენ ძველი შუმერის, ხეთების, XVIII საუკუნის საქართველოს და ა. შ. ისტორიულ სიტუაციებს და როგორ შეიძლება მათი ნდობა. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ეს როდია მთავარი. მთავარი გახლავთ ის, რომ „პატრონითა სამსახური არაოდეს არ წახდების“. პატრონის — გ. მელიქიშვილის თვალში ყმათა გარჯა არც ამჯერად წახდარა. მაგრამ ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გარეთ ხომაა საზოგადოებრიობა. არა მგონია მან, მთლიანობაში აღებულმა, სათანადოდ ვერ გააზროს ჩვენი კამათი და სწორი დასკვნა ვერ გააკეთოს.

ახლა გადავალთ ორი „უკვდავის“ (აკადემიკოსის) ერთობლივ ოპუსზე. როგორც უკვე ვწერდით, „კომისიის“ ორ პასუხში დიდ გამართლებას ვერ ვხედავთ. მიზნად ალბათ ის ჰქონდათ დასახული, რომ ორი „უკვდავის“ სახით ბრძოლაში არტილერია ჩაერთოთ და საბოლოოდ გადაეწყვიტათ მისი ბედი. ასეც ფიქრობენ და მსგავსად ნაპოლეონისა ვთქვათ აუსტერლიცის ბრძოლის შემდეგ ესენიც და „კომისიის“ სხვა „მოკვდავი“ წევრები ტკბებიან მიღწეული გამარჯვებით.

ორი „უკვდავის“ მთავარი არგუმენტი გახლავთ მათ მიერ ლურსმული დამწერლობის (კერძოდ ურარტულის) ცოდნა და ჩემი აბსოლუტური პროფანობა ამ სფეროში. ამჯერად თვალწინ ამეკვიატა პასაჟი გენიალური დანიელი მეზღაპრის ნაწარმოებიდან, როცა მახინჯი იხვის ჭუკი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა:

„ — კვერცხების დადება შეგიძლია? — ეკითხებოდა ქათამი ჭუკს.

— არა.

— მაშ მოიღე მოწყალება და გაჩუმდი!

კატა კი ეკითხებოდა:

— შეგიძლია ზურგის ამოკუზვა, კრუტუნი და ნაპერწკლების გამოყრა?

— არა.

— არადა, ნუ ჩაერევი შენი აზრებით, როცა ჭკვიანი კაცი გელაპარაკება!“

ანდერსენის ზღაპრის პერსონაჟისაგან განსხვავებით ჩვენ არ გავჩუმდებით და ორ „უკვდავს“ მივუგებთ: მართალია ლურსმული დამწერლობისა არაფერი არ გამეგება და არც რაიმე სურვილი გამაჩნია მისი შესწავლისა, მაგრამ მწყრალად როდი ვარ ლოგიკასთან. ასევე ღრმად მჯერა, რომ ისტორიკოსი ვარ და აქედან გამომდინარე, შორსა ვარ ჩვენი ხელობა (მარკ ბლოკი რომ დიდი სიამაყით იტყოდა) ჩვეულებრივი ადვოკატებისას არ გაუთანაბრო. და ბოლოს, საკმაოდ ვიცნობ აღმოსავლეთის ზოგად ისტორიას და მზადა ვართ ამ საკითხში კერძოდ ორ „უკვდავ“ აღმოსავლეთმცოდნეს ლექციები წავუკითხოთ. სხვათა შორის, ლოგიკიდან გამომდინარე, ვხვდებით, რომ ბ-ნ ვიაჩესლავ ივანოვისა და ბ-ნ თამაზ გამყრელიძის ერთობლივი თეორია (სინამდვილეში ჯერჯერობით ჰიპოთეზა) ინდოევროპელთა წინარესამშობლოსა და კულტურის შესახებ აზროვნების ამ მძლავრი იარაღის მკაცრ გამოცდებს ვერ უძლებს (რაც კარგად აჩვენა იგორ დიაკონოვმა და რასაც სხვა დროს ჩვენც შევეცდებით).

ორი „უკვდავის“ მეორე მთავარი არგუმენტია ახალი მასალების გამოყენება, რომელთა არსებობაზეც ჩემეული პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე წარმოდგენა არა მქონდა და რომელთა გამოვლენაზე ჩვენც მიგვიძღვის (ირიბად) გარკვეული როლი. ამდენად „ტყუილს რომ მოკლე ფეხი აქვს“ ამაში ჩვენი დამსახურებაცაა (საკვირველია, რომ ძალიან გრძელი ფეხი აღმოაჩნდა ბ-ნ სარგის კაკაბაძის „ტყუილს“!). სანამ მე სიცრუეს დამაბრალებდნენ, ჯერ თავიანთი მეხსიერება შეამოწმონ — პეტრე უშაკოვის პირად საქმეში სადოქტორო დისერტაციის თეზისები არ არის. თუ ჩვენ ორ აკადემიკოს-აღმოსავლეთმცოდნეს დავუჯერებთ, პეტრე უშაკოვს ურარტულოლოგიაში აბსოლუტურად არაფერი არ გაუკეთებია. ბატონებო! თქვენ ხომ მტკიცედ გწამთ, რომ გ. მელიქიშვილს არავითარი პლაგიატი არ ჩაუდენია, მაშ რატომ გჭირდებათ საქართველოში მოღვაწე რუსი აღმოსავლეთმცოდნის, კერძოდ ურარტულოლოგის, ნამუშაკევის ამგვარი გაბიაბრუება? და რაკი ამას სჩადიხართ, ამით ხომ არა გსურთ თავისებური ალიბი მოუძებნოთ თქვენთვის დიდად სათაყვანებელ პიროვნებას? ბ-ნ თამაზ გამყრელიძესა და ბ-ნ გრიგოლ გიორგაძეს ძალიან გაზვიადებულად წარმოუდგენიათ ლურსმული დამწერლობის, ასევე ურარტული ენის, შესწავლა. მას შემდგომ რაც მეცნიერებმა შეძლეს ამ დამწერლობის გაშიფვრა, მისი დაუფლება (ენითურთ) დიდ სიძნელეებს აღარ წარმოადგენს. რასაკვირველია, ორივენი თვლიან, რომ კარგად არიან დაუფლებული ურარტულოლოგიას. გულზე ხელი დაიდონ და აღიარონ — რამდენ ხანში მიაღწიეს ამას. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ამ მიზნის საშუალო დონეზე მისაღწევად ერთი წელიც კი სავსებით საკმარისია. თურმე 20-მდე ენის მცოდნე პეტრე უშაკოვმა მთელი 13 წლის მანძილზე ვერ შესძლო ურარტულოლოგიის ანბანა შეესწავლა. თანაც იგი თავის საყვარელ საქმეს მარტო კი არ შეუდგა, არამედ ჯერ ნიკო მარის დახმარებით. ყოველ შემთხვევაში 1935 წლის ბოლოსათვის პეტრე უშაკოვს ურარტულოლოგიაში გარკვეული წარმატებისათვის მიუღწევია. მარჩიელობაში რომ არ ჩამოგვერთვას, მოვიტანთ ამონარიდს ბ-ნ გიორგი ახვლედიანის რეცენზიიდან (დაწერილია 1935 წლის 10 ნოემბერს) პეტრე უშაკოვის ნაშრომზე „Халдские надписи Закавказья", ч. 1-ая. რეცენზიის დასაწყისში აღნიშნულია: "очень интересная исследовательская работа П. Н. Ушакова". შემდეგ კი ვკითხულობთ: "Таким образом, наш краткий анализ работы П. Н. Ушакова показывает, что не предрешая даже вопроса о верности основного положения автора, работа эта безусловно носит все признаки самостоятельной исследовательской работы: довольно новая концепция по актуальному вопросу, неоспоримое, почти исчерпывающее знание источников и литературы на всех европейских языках (до 400 работ), критическое отношение к таким крупным иследователям в этой области как проф. Леман-Хаупт, акад. И. И. Мещанинов, М. Церетели и И. Фридрих, осторожное отношение к фактам надписей, убедительность метких наблюдений - заставляют заключить, что представленная работа больше чем удовлетворяет в своей первой части требованиям, предъявленным к кандидатской работе"." შეგახსენებთ, რომ პეტრე უშაკოვმა მალე 600 გვერდიანი ნაშრომი (ძირითადად წარწერების კრებული) დაასრულა ურარტულოლოგიაში, მაგრამ კანდიდატის ხარისხის მიღება როდი უჩქარია. როგორც უკვე ვწერდით, საკანდიდატო დისერტაცია მან ლიდიურ ენისა და დამწერლობის თემაზე დაიცვა.

ახლა მოვიხმოთ გამოჩენილი საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნის ვასილ სტრუვეს ავტორიტეტი, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, ურარტულოლოგიაში ბ-ნ თამაზ გამყრელიძესა და ბ-ნ გრიგოლ გიორგაძეზე ნაკლებ განსწავლული არ ყოფილა. როგორც პეტრე უშაკოვის პირადი საქმიდან ვგებულობთ, ვასილ სტრუვე გასცნობია მის 600 გვერდიან ნაშრომს და დადებითადაც გამოხმაურებია. სახელდობრ პეტრე უშაკოვი აღნიშნავს გამოჩენილი (ნამდვილად!) რუსი აღმოსავლეთმცოდნის „весьма лестный отзыв“-ს და ვფიქრობთ ამაში პირველი სრულიადაც არ აჭარბებდა. აქედან გამომდინარე ვასილ სტრუვეს მისი რამდენიმე ურარტულიდან რუსულად შესრულებული თარგმანი შეუტანია მისი რედაქტორობით გამოსულ წიგნში „Хрестоматия по древней истории“ (М. 1936, т.1, გვ. 74-75). თქმულს დავუმატებდით, რომ ვასილ სტრუვეს ძირითადად მის მიერვე დაწერილ სახელმძღვანელოში „История древнего мира“ (ტ. I, 1936, გვ. 440) მოჰქონდა ამონარიდი პეტრე უშაკოვისეული თარგმანიდან. სხვათა შორის, ალბათ არ იქნება ინტერესსმოკლებული აღვნიშნოთ, რომ როცა სტუდენტი გ. მელიქიშვილი უნივერსიტეტში სწავლობდა, იგი ურარტუს შესახებ ცნობებს სწორედ პეტრე უშაკოვის თარგმანებით ღებულობდა. კერძოდ ვასილ სტრუვეს სახელმძღვანელოს XXII თავში, რომელიც ხალდების (ე. ი. ურარტუელთა) საზოგადოების ისტორიას ეხება, სარდური II-ის ასურეთში ლაშქრობის თაობაზე ვკითხულობთ:

"Сардур говорит: я поднялся на Вавилонию - на всю страну; я захватил страну Вавилона, я воцарился и забрал всю страну Баруат. Величием бога Халда Сардур говорит: я взял три укрепленных дворца, штуромом я взял, 23 города в один день я забрал, 6000 юношей я угнал, кроме 25000 человек; дворцы я разграбил, города пожег, страны объел, мужчин и женщин угнал я, 8135 воинов, 2500 коней я захватил, 12300 голов рогатого скота, 32100 овец. Это досталось царю, а то, что воины захватили особо, захватили особо, когда я им велел занимать страну" (пер. проф. (!) П.Н. Ушакова, ст. 440).

მოვლენებს წინ გავუსწრებთ და აქვე მოვიტანთ ამავე ურარტული ტექსტის გ. მელიქიშვილისეულ თარგმანს:

"Сардури говорит: выступил я (в поход) на страну Бабилу, завоевал я страну Бабилу: дошел (?) я до страны Баруата. Величием бога Халди Сардури говорит: завоевал я три цитадели, укрепленные в бою я (их) завоевал. 23 города за один день я захватил, крепости разрушил; города сжег, страну разорил, мужчин (и) женщин оттуда я угнал. 8135 отроков я увел (а также) 25000 женщин (и) 6000 воинов; 2500 коней я угнал (а также) 12300 голов крупного рогатого скота, 32100 голов мелкого рогатого скота. (Все) это досталось царю, но (то), что воины забрали, забрали они отдельно, когда (завоеванную) страну я покинул (?)" (УКН, 1960, ст. 300).

იგივე ვასილ სტრუვე სტატიაში "Изучение истории Древнего Востока в СССР" წერდა: "Национальная политика СССР создала все предпосылки для бурного роста в наших союзных республиках научной работы. В области изучения Халдского языка и эпиграфики должны быть отмечены большие успехи в ССР Грузии и в ССР Армении. Интерес к халдским клинописным надписям, находимым в пределах нашего Закавказья, стал возрастать и в среде самих работников на местах"(იხ. ВДИ, 1938, №1-2, გვ. 16-17) და მაგალითისათვის იქვე დასძენს: "Так, в Тбилиси работает над халдским языком и эпиграфикой П.Н. Ушаков и др." (იქვე, გვ. 17. „და სხვებში“ პირველ რიგში იგულისხმება ბ-ნი გიორგი წერეთელი). ჩვენ უკვე აღვნიშნავდით თუ როგორი მონდომებით უსმენდა და ესწრებოდა პეტრე უშაკოვი იმდროინდელი მსოფლიო ურარტულოლოგიის ლიდერის კარლ ლემან-ჰაუპტის ლექციებსა და სემინარებს თბილისში თითქმის შვიდი თვის განმავლობაში.

როგორც ვიცით, პეტრე უშაკოვს ჰქონია დაწერილი საკმაოდ ვრცელი ნაშრომი „ურარტულ-რუსული ლექსიკონი“, რომლის დართვა სადოქტორო დისერტაციისათვის სდომებია. იგი მოუწონებიათ ენიმკის მახლობელი აღმოსავლეთის ენების განყოფილებაში. მომწონებელთა შორის იყო ბ-ნი გიორგი წერეთელიც (განყოფილების გამგე). (ამის შესახებ იხ. პეტრე უშაკოვის მიმართვა ამ განყოფილებისადმი, 1939 წ. 5. IX).

ყოველივე ზემოაღნიშნული სერიოზულ, ობიექტურ ჭეშმარიტებაზე ორიენტირებულ ისტორიკოსს, ვფიქრობთ, ბევრ რამეზე სხვანაირად აფიქრებინებს... ამჯერად ბ-ნ გიორგი წერეთლის რეცენზიაზე შევჩერდებით. თუ ჩვენ ორ „უკვდავს“ (აკადემიკოსს) ვეწმუნებით, აღნიშნულ რეცენზიაში პეტრე უშაკოვის ურარტულოლოგოსობიდან ქვა ქვაზე აღარ დარჩა. მაგრამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ოდენ დისერტაციის კრიტიკით არ შემოფარგლულა, არამედ მას დადებითი აზრებიც აქვს გამოთქმული. ჩვენი ორი აკადემიკოსი მართალია შეჩერდნენ ზოგიერთ ამ მომენტზე, მაგრამ ისე, სხვათა შორის. ეს გარემოება სავსებით გასაგებია, მათეული ლოგიკიდან გამომდინარე. ასე სასხვათაშორისოდ ნათქვამშიც იკვეთება, რომ პეტრე უშაკოვის ნაშრომი რაღაც პოზიტიურს მაინც შეიცავდა და ამდენად მავანის მხრით მისით დაინტერესება გასაგებია. ამჯერად ბ-ნ გიორგი წერეთლის რეცენზიიდან უფრო ვრცელ ამონარიდებს მოვიტანთ. „"Несмотря на указанные недостатки, труд П.Н. Ушакова характеризуется известными достоинствами"; "Прежде всего следует отметить, что автор хорошо и кратко характеризует в начале своего труда современное состояние дела изучения урартского языка. Интересны его соображения относительно значения некоторых слов и форм урартского языка, напр. значения слова gie, а также ui (союз, как в свое время утверждал Капанцян), удачно изложена система урартских местоимений, ценны его наблюдения относительно отрицательной частицы la (которая в разных вариантах встречается и в семитических и в индоевропейских, а также в кавказских языках), весьма правдоподобно его наблюдение относительно инхоативного суффикса ul"; "Следует также отметить, что некоторые из приведенных автором текстов списаны у него у отдельных авторов довольно правильно... В этих случаях, основываясь на каком либо издании текста, автор вносит ряд поправок на основании существующих по нему рецензий. Таковы напр., хроника Сардура, колангранская надпись и некоторые другие"; "Переводы урартских текстов, в тех случаях, когда чтение правильное, в общем удачны и осмыслены"; "Автор правильно излагает теории западно-европейских ученых, напр. теорию Менгина, а также Грозного, Стюртеванта, Форрера и весьма удачно и убедительно их критикует".

"Интересен взгляд автора на вопрос о языковых взаимоотношениях в древней Малой Азии и на Кавказе. Излагаемые автором предположения весьма заманчивы и правдоподобны. Они дают возможность объяснить некоторые факты схождения между древними языками различных систем, но эта точка зрения пока еще нуждается в обосновании, чтобы ее можно было принять даже за рабочую гипотезу"; "Рецензируемая работа не единственное научное сочинение автора. Им опубликовано около десятка статей по вопросу о генезисе индоевропейских и картвельских языков и их связи с языками Малой Азии. Все эти работы, с которыми я знаком, характеризуются такими же недостатками и достоинствами, как и рецензируемое исследование".

ცხადია, პეტრე უშაკოვის დისერტაციაში ბ-ნ გიორგი წერეთლის ვითომდა 1939 წელს დაბეჭდილი მნიშვნელოვანი ნაშრომის „საქართველოს მუზეუმების ურარტული ძეგლების“ გამოუყენებლობა ფრიად გააღიზიანებდა ავტორს. მაგრამ სინამდვილეში წიგნს დასაბეჭდად ხელი მოეწერა 1939 წლის 20 დეკემბერს და თუ გავითვალისწინებთ მისი ტექსტის სირთულეს, უნდა ვიფიქროთ, რომ წიგნი შეიძლება 4-5 თვის დაგვიანებით გამოიცა. ასე რომ, პეტრე უშაკოვს, რომელმაც დისერტაცია მანამდე წარადგინა, ჯერჯერობით არ შეეძლო მისი გამოყენება. უაზრობაა მტკიცება იმისა, რომ ბიბლიოგრაფიულ დანართში მითითებული 38 ნაშრომის უმეტესობა პეტრე უშაკოვს არ გამოუყენებია — რა თქმა უნდა, გამოიყენა, მაგრამ ბიბლიოგრაფიის უზარმაზარ ნუსხაში ისინი გამორჩა.

როგორც ვიცით, რეცენზენტსა და დისერტანტს შორის დიდი დავა ატყდა ატამხანის (ადიამანის) წარწერების გაშიფვრის თაობაზე. ამჯერად ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა შევამოწმოთ მათეული თარგმანები გ. მელიქიშვილის „ურარტული ლურსმული წარწერების“ მიხედვით. როგორც ირკვევა, სიტყვების“ „Baušini“ და „Luehu“-ს წაკითხვისას ბ-ნ გიორგი წერეთელი სწორი გახლდათ. მაგრამ წარწერის ბოლო ორი სტრიქონის აზრის გაგება მას გასჭირვებია და უთარგმნელად დაუტოვებია. ფაქტია, რომ ამ ადგილების სწორ გაგებას პეტრე უშაკოვი უფრო მიუახლოვდა. ერთი სიტყვით, თუ ბ-ნი თამაზ გამყრელიძე და ბ-ნი გრიგოლ გიორგაძე პროფესიონალი ურარტულოლოგისები არიან, მაშინ მათ ბევრი რამ უნდა შეემჩნიათ.

სიმონ ჯანაშიასა და სიმონ ყაუხჩიშვილის შენიშვნები ძირითადად ეხება მხოლოდ პეტრე უშაკოვის მარისტული შეხედულებების კრიტიკას, რამაც, კვლავ გავიმეორებთ, ისინი მართლები იყვნენ. ამ მიმართულებით კიდევ მეტის თქმა შეიძლებოდა, რაც პირადად ჩემთვისაც კი, არაენათმეცნიერისათვის, საკმაოდ ნათელია. მაგრამ ორივე ჩვენს ცნობილ მეცნიერს, სავსებით გასაგები მიზეზის გამო, არ შეეძლოთ პეტრე უშაკოვის სადოქტორო ნაშრომის მაღალპროფესიონალური შეფასება. როგორც ჩანს, დღესდღეობით ეს მხოლოდ გ. მელიქიშვილს ხელეწიფება, მაგრამ ამ საკითხზე იგი, მოგეხსენებათ, ხმას არ იღებს.

ჩვენი „უკვდავნი“ მიგვითითებენ გ. მელიქიშვილის მაღალი მეცნიერული ღირსების დაფასებას რუსი ნატალია პოსტოვსკაიას ნაშრომში „Изучение древней истории Ближнего Востока в Советском Союзе (1917-1959)“, მაგრამ იგივე ნაშრომში ხომ რამდენიმე გვერდზეა აღნიშნული (გვ. 46, 61, 153, 157, 158, 159, 172, 220, 258, 299-300, 300) პეტრე უშაკოვის სამეცნიერო დამსახურება. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ამ ქალბატონმა ჩვენ, ქართველებს კარგი გაკვეთილი მოგვცა წარსული სამეცნიერო (ენათმეცნიერული და ისტრიოგრაფიული) მემკვიდრეობის დაფასებისა. ხომ ფაქტია, რომ თვით დისერტაციის მსჯელობისასაც კი თითქმის არავის არ გაუმახვილებია ყურადღება პეტრე უშაკოვის გამოქვეყნებულ ნაშრომებზე. ამ თვალსაზრისით მოვიხსენიებთ ბ-ნ ნოდარ ლომოურის აზრს: „...ქართულ ისტორიოგრაფიაში ისეთ ტომთა გაიგივება, როგორიცაა დაიახი-ტაოელები, კოლხა-კოლხები, ვიტირუხი-ბიძრები, იგანი(ეზხი)-ჰენიოხები, აგრეთვე ქატანა კლარჯეთის კატარძასთან გაიგივება დაწვრილებით აქვს გარჩეული ცნობილ ურარტოლოგს პ. უშაკოვს რამოდენიმე სპეციალურ სტატიაში“ (იხ. „მნათობი“, 1971, № 10, გვ. 183).

თურმე ჩემეული სამსჯავროს წინაშე უნდა აღმოჩნდეს ბევრი რუსი და უცხოელი მეცნიერი, რომელთაც ფრიად აღმატებითი აზრი გააჩნდათ და გააჩნიათ გ. მელიქიშვილის ვითარცა ურარტულოლოგისის შესახებ. მაგრამ რა იცოდნენ და რა იციან მათ საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ, როგორ უნდა დაედგინათ ან დაადგინონ გ. მელიქიშვილის ნაშრომის შესაბამისი წყარო? გამოდის, რომ „ხარისა და ძროხის“ მაგიერ რომ "крупный рогатый скот"-ს იხმარ, ხოლო „ცხვრის“ მაგიერ "мелкий рогатый скот"-ს, (ხომ ნათელია ამ უკანასკნელი სიტყვების არაბუნებრიობა! ეს ფაქტები ხომ უკვე რაღაცას მიგვანიშნებენ?), „ბავშვის“ ნაცვლად — „отрок“-ს და ა. შ. — ამ მანიპულაციებით თარგმანს სულ სხვა სახე ეძლევა. რაც შეეხება გ. მელიქიშვილის მიერ მიხაკო წერეთლის სახელის განდიდებას, ხოლო პეტრე უშაკოვის მიერ ამ უკანასკნელის დამცირებას, ეს ურცხვი დემაგოგია გახლავთ და ჩვენს ორ „უკვდავს“ მსგავსი რამ არ ეკადრებათ.

კორექტორულ შეცდომებს, ჩემი ოპონენტებისაგან განსხვავებით, არ გამოვეკიდებით, მაგრამ „სჩანს“ და „ჩანს“ შორის რომ განსხვავებაა, ეს მითუმეტეს ენათმეცნიერს არ უნდა ესწავლებოდეს. მას არ უნდა გაუკვირდეს, რომ ვცდილობ ვიხმარო სიტყვები: „ურარტული“, „ურარტუელნი“, „ურარტულოლოგია“ და ა. შ. ვნახოთ იქნებ მოხდეს მათი დამკვიდრება. (სხვათა შორის, ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი წამომწყები „შვედეთისა“ და „მასმედიის“ დამკვიდრებისა, რომლებიც ახლა აღარ ეხამუშებათ).

დასასრულს, ჩემეულ პუბლიკაციაში ფართოდ შევეხე პეტრე უშაკოვის მთელ რიგ წარმატებულ მიგნებებს ისტორიის სფეროში, რომელთაც ამჯერად აღარ გავიმეორებთ.[1] დიდად სამწუხაროდ, „კომისიის“ წევრებმა, მათ შორის „უკვდავებმა“ ისინი ვერც ამჯერად შეამჩნიეს. კვლავ გვავიწყდება „რაც არ უნდა მინდისაო“...

და სულ ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ არ უარვყოფ გ. მელიქიშვილის თვალსაჩინო და გარკვეულ დამსახურებას ურარტოლოგიასა და საქართველოს ძველი ისტორიის დარგებში, მაგრამ ეს როდი გამორიცხავს იმას, რომ მივაგო „კეისრისა კეისარს“ პეტრე უშაკოვის სამეცნიერო მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. ამასთანავე ურყევი ფაქტია, რომ გ. მელიქიშვილს საკმაოდ არსებითი წვლილი მიუძღვის ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელ დაკნინებაში. მისი დირექტორობა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ყოვლად ალოგიკური იყო ყოველთვის და მითუმეტეს დღევანდელ სიტუაციაში, როცა დიდი ტრადიციების მქონე ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ახალი ჰორიზონტები უნდა გადაიშალოს, რაც კერძოდ, უნდა გამოიხატოს ინსტიტუტის ახალ სოციალურ (ეროვნულ) ფუნქციაში. უპირველესად სწორედ ეს გარემოება და არა „იდეების არქონა“ (რომელიც სრულიადაც არ მაწუხებს ვძიო მეწყვილე მეცნიერებაში!) მიბიძგებს „შეუტიო“ მეცნიერებაში დიდად „აღზევებულ“ გ. მელიქიშვილს. ძალიან მჯერა, რომ ჩვენი დღევანდელი მთვლემარე საზოგადოებრიობა, პირველ რიგში ისტორიკოსებისა, ამას ადრე თუ გვიან გაიცნობიერებს.

გურამ ყორანაშვილი

---

*1 მხოლოდ ერთ ფაქტს დავუმატებდით. ჯერ კიდევ თავის საკანდიდატო დისერტაციაში (დაცვა შედგა 1944 წლის 15 დეკემბერს) გ. მელიქიშვილი ურარტუს სახელმწიფოს წარმოშობას ძირითადად საგარეო ფაქტორს (ასირიას) უკავშირებდა. ასეთი თვალსაზრისი („რეაქციის თეორია“) გაკრიტიკებულ იქნა ბ-ნ სიმონ ჯანაშიას (ოპონენტი გახლდათ) მიერ. ჩვენთვის ამჯერად ისაა საინტერესო, რომ მსგავსი მოსაზრება წამოაყენა პეტრე უშაკოვმა. მაგრამ მისი შემცველი სტატია მხოლოდ 1946 წელს დაიბეჭდა (ВДИ-ში). საკითხავია: საიდან იცოდა ეს თვალსაზრისი დისერტანტმა 1944 წელს?*

# თურქ-სელჩუკ-ოღუზები და საქართველო (დასკვნისათვის)

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №57

საქართველოში თითო-ოროლა ენთუზიასტის გარდა, არავის ახსოვდა ინგილოდ წოდებული ჰერეთის ქართველი, რომელთაც ქართველი ინაურები არ თვლიდნენ შინაურებად და ემტერებოდნენ დრო და დრო! ამიტომ საქართველოში ერსაც და ბერსაც არაფრად ულირდა ინგილო და მისი ტკივილები. ყოველივეს დასამოწმებლად დავიმოწმებ უამრავი მაგალითებიდან ზოგიერთებს:

1982 წელია. ზაქათალისა და ბელექნის რაიონების ქართული სკოლების, ქართული საბავშვო ბაღებისა და ქართული სკოლა-ინტერნატის აზერბაიჯანულად გადასაკეთებლად დაიწყო ხელისუფალთა მორიგი შემოტევა. ივნისში გამოცხადდა ზაქათალის ქართული სკოლა-ინტერნატის დაკეტვა. ქალაქ ზაქათალის კომუნისტურ-ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა ელიტამ ზარზეიმით აღნიშნა მისი ლიკვიდაცია. ისინი შემდეგში ასე ტრაბახობდნენ: „ბაქოდან მოსულ დიდ სტუმარს კარგად გავაგებინეთ ზაქათალაში ქართული ინტერნატის ზედმეტობა!“ სხვათა შორის, ჯერ კიდევ 50-იანი წლების შუაში ალიაბადს, ვიდრე აქაურ ქართულ სკოლებს აზერბაიჯანულ სკოლებად გადააკეთებდნენ, ორი წლით ადრე გაუუქმეს ეს ინტერნატი, სადაც მე-7 კლასის შემდგომ სწავლას აგრძელებდნენ სოფლების: მოსულის, ზეგამისა და თასმალურიდან მოსული მოსწავლეები.

ამავე წლის აგვისტოში ბელაქნის რაიონში ახლად მოვლენილმა რაიკომის პირველმა მდივანმა პედაგოგთა კონფერენციაზე, ჩვეული უტაქტო-უზრდელობით გამოაცხადა გადაწყვეტილება სოფ. ითითალის ქართული საშუალო სკოლის პირველ კლასში პირველი სექტემბრიდან მოსწავლეთა მიღების შეჩერებისა და აქვე აზერბაიჯანული პირველი კლასის გახსნის თაობაზე (50 წელია ასე ულმერთოდ უმრუდებდნენ ბავშვებს ცნობიერებას და უმახინჯებდნენ ჩვენს ახალგაზრდა თაობებს). 55 ითითალელი პირველკლასელი ინგილო მოსწავლე პროტესტის ნიშნად და „თათრული ენა არ ვიცითო“, არ წავიდნენ თათრულ სკოლაში (სხვათა შორის, 1957წ. პირველ სექტემბერს ალიაბადის ქართული სკოლები უფრო ბარბაროსული მეთოდებით გადააკეთეს: რაიონის ხელისუფალნი მიესივნენ ქართულ სკოლებს. პირველი ზარის შემდეგ I კლასიდან IX კლასის ჩათვლით, ქართველი მასწავლებლები გაკვეთილებიდან გამოიძახეს და თათრულენოვანი მასწავლებლები შეუშვეს კლასებში!.. ალიაბადელებმა მოსკოვში ჩივილისა და იქ დელეგაციის ჩასვლის შედეგად, მალე აღიდგინეს თავისი ქართული სკოლები; თუმცა ხელისუფლება მერე ისევ არ მოეშვა მათ და 5-10 წლის შემდეგ ისევ ბევრი არმოსათმენი ანტიქართული ამბები დატრიალდა ამ სოფლებში!). ამავე წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში სოფ. ითითალიდან თბილისში ჩამოვიდა მშობელთა და პედაგოგთა, ასე ვთქვათ, დედათა დელეგაცია. საქართველოს კპ ცკ-ის II მდივნის (ეროვნებით რუსი) მიერ ბაქოში თავის კოლეგასთან მოლაპარაკების შედეგად ითითალელთა დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრა ბაქოში. ითითალელი ქალების თბილისში და ბაქოში მოგზაურობის ნაყოფი ის იყო, რომ თვენახევარი გაკვეთილების გაცდენინების შემდეგ ბელექნის რაიკომის I მდივანს ითითალის ქართული საშუალო სკოლის I კლასი გაახსნევინეს და 55 ბავშვი შეუშვეს ქართულ I კლასში.

მაგრამ იგივე რაიკომის მითითებით, აღნიშნული საშუალო სკოლის I კლასისათვის განკუთვნილი ქართული „დედა ენები“ თურმე ადრიდანვე მოეცილებინათ, ლაგოდეხში გაეყიდათ და უდედაენოდ დარჩენილი ითითალელი ბავშვების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა ეთხოვა ინგილოთა შეფებს მეცნიერებათა აკადემიიდან. ამ მიზნით, 1982 წ. ნოემბრის დასაწყისში აწ-განსვენებული როდამ ჩაჩანიძემ, ნოდარ ნათაძემ, გულაბერ ანანიაშვილმა და სხვებმა გავწიეთ განათლების სამინისტროსაკენ, სადაც ქალბატონ ნაზი ლლონტის საქმიანი და სწრაფი მოქმედებით „დედა ენის პრობლემა“ მალე გადაწყდა. მაგრამ ყოველივე ეს აი, რატომ გავიხსენე. „დედა ენისათვის“ განათლების სამინისტროში რომ მიდიოდნენ, დღევანდელი საქართველოს პარლამენტის შენობის წინ ბატონ რ. ჩაჩანიძეს შემოხვდა ორი ნაცნობი: მწერალი და პროფესორი (მან ამათი გვარები არ გაამხილა). ორივემ მას ურჩიეს: „საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაში საინგილო და ინგილო მაინც და მაინც პოპულარული არაა, თავი დაანებეთ ინგილოებისათვის ზრუნვას...“ ხოლო მეორემ, პროფესორმა ასე დაამატა თურმე: „მერე რა მოხდა, დიდი ამბავი, თუ ინგილოებს არა აქვთ „დედა ენა“, აქ, თბილისშიც კი ზოგიერთ სკოლებს აკლიათ სახელმძღვანელოები!“

თავის დროზე საქართველოს „ცეკავშირის“ თავმჯდომარე ჯავახაძესთან საინგილოს ქართულ



სკოლებს უშუამდგომლეს ინგილოთა ტრადიციულმა შეფებმა. ისინი „ცეკავშირს“ თხოვდნენ, მათი ყოფილი ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის საკრავებისა და ფორმების — საწყობში რომ ულპებოდათ (ეროვნული ჩაცმულობა) საჩუქრად საინგილოს ქართული სკოლებისათვის გადაცემას, მაგრამ თავმჯდომარემ თავისი ცივი უარი ასე დააგვირგვინა: „ამხანაგებო, ცეკავშირი მეწველი ძროხა ნუ გგონიათ!“

თელავის პედინსტიტუტის რექტორმა ნ. ქორთუამ ინგილო აბიტურიენტები, რომლებიც მათთვის გამოყოფილ ლიმიტებზე მისაღებ გამოცდებს აბარებდნენ, ჩაჭრა, თავისთან დაიბარა და ამ სიტყვებით გამოისტუმრა ისინი: „აქ რატომ მოდიხართ, სასწავლებლად კიროვობადში, ბაქოში წადით და იქ ისწავლეთო“ — ურჩია...

ხდებოდა უფრო უარესიც: 33 წლის განმავლობაში (1958-1991 წწ.) ზაქათალისა და ბელექნის რაიონების ინგილოებისათვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში უკონკურსოდ ჩასარიცხი ადგილების თითქმის ყველას ამ ინსტიტუტის (ახლა უკვე უნივერსიტეტის) რექტორატი თვითონ ითვისებდა, ე.ი. ინგილოებს არ ათვისებინებდა... აღნიშნულ წლებში აღნიშნული რაიონების ინგილოებს აღნიშნულ ინსტიტუტში საქართველოს ხელისუფლებამ თუ ასზე მეტი ადგილი გამოუყო, ათვისებული იქნა მათ მიერ სულ 8 ადგილი; 7 სამუშაოდ საინგილოს დაბრუნდა, ხოლო ერთი, ისიც სანიტარული ექიმი, თბილისში იქნა დატოვებული, რომელიც ბედს ინყევლის, რომ სამუშაოდ თბილისში დარჩა...

მას, როგორც დაბალ ღობეს, რიგითი სანიტარული ექიმის ადგილის წართმევა სუფრებზე „კაცურ-კაცად“ ცნობილებმა ბევრჯერ მოუნდომეს. ამ 22 წელში ინგილოთა შეფებს მეცნ. აკადემიიდან დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რათა სრული უსამართლო მოპყრობისაგან დაეფარათ ეს ინგილო ქალი!

1997 წ. 5 ივლისს, ქალბატონმა თამარ ძოძუაშვილმა (თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს მთავარი სპეციალისტი) „ბაქოში ქართულად ასწავლიან“ სათაურით მეტად აღფრთოვანებული წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „თბილისში“. განა არ სჯობდა კეთილმეზობლობის შენარჩუნებისათვის, ჭეშმარიტებისათვის და ათიათასობით ინგილო-ქართველთა გადარჩენისათვის „აზერბაიჯანელი ძმების“ გასაგონად იქვე განეცხადებინა მათთვის: „მხოლოდ ბაქოში ნუ ასწავლით ქართულად, მშობლიურ ქართულ ენაზე თავისუფალი სწავლის უფლება მიეცით ზაქათალისა და ბელექნის რაიონების ინგილო-ქართველებს, ნუ მოეპყრობით ისე, როგორც II მსოფლიო ომამდე და ომის შემდგომ წლებში მოეპყარით კახის რაიონის მაჰმადიან ინგილოთა მრავალი სოფლის მოსახლეობას, მშობლიურ ენაზე არსებული ქართული სკოლები გადაუკეთ-გადმოუკეთეთ თურქულ-აზერბაიჯანულ სკოლებად, თაობები დაამახინჯეთ, ქართული კულტურისაგან მოსწყვიტეთ, ცნობიერება დაუმახინჯეთ და ბოლოს, მშობლიური ენაც დაავიწყებინეთ...“ ანდა, აქვე უნდა განეცხადებინა ის სინამდვილეც, რომ „საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებად წოდებულ, მაგრამ ქართული გაგებით თათრების, სინამდვილეში თურქმენების სკოლებისათვის, ენისათვის, გვარ-სახელისათვის, ადათისათვის მრუდედ და ბინძური ხელით არასოდეს არ შევხებივართ! ჩვენში, ამ ბოლო ექვს წელში, აღნიშნულმა თურქმენ ტომთა ნარჩენებმა, რამდენი საქველმოქმედო საზოგადოების დაარსებაც მოინდომეს, შექმნეს. შექმნეს 6 საზოგადოება და რეგისტრაციაშიც მაშინათვე გატარდნენ. ბოლო წლებში დამატებით გაიხსნა: აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი, ახუნდოვის სახლ-მუზეუმი, ნარიმან-ნარიმანოვის სახლ-მუზეუმი და ჯალილ-მამედ ყულიზადეს სახლ-მუზეუმი; თავის ენაზე აქვთ გაზეთები, რადიო, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში ფაკულტეტი, ტექნიკუმები, პროფსასწავლებლები, რაც ინგილოებს არ გააჩნიათ ანდა აზერბაიჯანიდან მუდმივად, ხოლო ბოლო ათი წელია ირანიდან და თურქეთიდან სხვადასხვა ჯურის ემისარ-მისიონერები და რიგითი სტუმრები ჰყავთ უწყვეტ ნაკადად, მაგრამ თქვენი ხელისუფლება ალმაცერად უყურებს ზაქათალისა და ბელექნის რაიონებში იმ ინგილო ოჯახებს, რომლებიც საქართველოდან მოსულ სტუმრებს იღებენ და უმასპინძლდებიან, ხანდახან მილიციის რაზმი შუაღამით თავს ესხმის ასეთ ოჯახებს და საქართველოდან მოსულ სტუმრებს, ხოლო იმ საინიციატივო ჯგუფს, რომელთაც ალიაბადისა და კახის მხარეში გადაწყვიტეს საქველმოქმედო საზოგადოების დაარსებისათვის ზრუნვა, აღუშფოთდა ხელისუფლება, ბოლოს თქვენი სუკიც ჩაერია ამ საქმეში და საინიციატივო ჯგუფს ყოველგვარი ხალისი დააკარგვინა ინგილო-ქართველები რაიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია რომ შეექმნათ! იცოდეთ, ამ მხარეში ელემანტარული ეროვნული უფლებების შებღალვა-ხელყოფა ყოველდღიურად ხდებოდა და ხდება, განსაკუთრებით კი ამ ბოლო 4-5 წელში თქვენმა ასიმილატორებმა გააშიშვლეს იათაგანი! კმარა, შეჩერდით: ადამიანურობას, კაცთმოყვარეობასა და კეთილმეზობლობას ეცით პატივი.“ უნდა ეყვირა ქ-ბ-ნ თამარს და სხვებსაც...

დარწმუნებული ვარ, არც აღნიშნული წერილის ავტორმა და, მითუმეტეს, არც გაზეთ „თბილისის“ რედაქციამ ისევე, როგორც სხვა რედაქციებმა, ან არაფერი იციან ინგილოთა საუკუნო სავალალო-ეროვნული უფლებააყრილი მდგომარეობის შესახებ, ან თუნდაც იცოდნენ, ამ კეთილზნიანი ხალხის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ, მათი ხვედრის შესამსუბუქებლად კრინტსაც არ დაძრავენ, 80-წლიანი სიჩუმის ყინულის გატეხვას არავინ შეეცდება. დიახ, შერცხვენილი და დამნაშავე მეზობლისათვის სიმართლის პირში თქმას მოერიდებიან, ისიც უკვე „ვიღაცად“ ქცეულ ინგილოსათვის. ჯერ კიდევ ყორდანიას დროიდან დღემდე ჩამოყალიბებულ ყალბ ტრადიციას არ უღალატებენ და ისევ საქართველოსაგან ინგილოდ წოდებულ ქართველთა მოწყვეტასა და უპატრონოდ მიგდებას ამჯობინებენ! როგორც ერია, ისეთივეც ბერია, ხომ?! (თუმცა ბოდიში უნდა მოვუხადოთ ბატონ გერმანე ფაცაციას, რომელმაც 80-იან წლებში თბილისიდან ბაქოში მივლინებულმა, ერთადერთმა ქართველმა კაცმა გასწირა იქ მასპინძლის სუფრა, პატივისცემა და „იმელის“ საკავშირო შეკრებაზე ანუ ბაქოს სიმპოზიუმზე ინგილო-ქართველთა მძიმე, ეროვნულ უუფლებო მდგომარეობაზე ხმამაღლად განაცხადა, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია მსმენელებში და ამას მცირედი შედეგიც მოჰყვა... ბევრად უფრო დიდი შედეგი მოყვებოდა და გაუბედავი ინგილო გაბედულიც გახდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ბაქოში მივლინებული ყოველი მეორე ქართველი მაინც, მოიქცეოდა ბატონ გერმანეს მსგავსად. მაგრამ, არა, რას ამბობთ, წასული 80 წლის განმავლობაში იგი სამწუხაროდ, ერთადერთი ქართველია, რომელიც ასე კეითლშობილურად და რაინდულად მოიქცა! ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი ქართველები!).

ორ მეზობელ ქვეყანაში: აზერბაიჯანში და საქართველოში შეიქმნა საელჩოები. საქართველოს საელჩოს კორპუსს ბაქოში ინგილოთა ორივე თემიდან არცერთი ინგილო არ გააკარეს, არავინ არ მიიღეს თანამშრომლად, მაგრამ, რაც შეეხება თბილისში აზერბაიჯანის საელჩოს, რომელიც ცოტა მოგვიანებით გაიხსნა, მისი თანამშრომლების ძირითადი ბირთვი საქართველოს თათარ-თურქმენებისაგან შეადგინეს. უფრო მეტიც, თუ ამ საელჩოს წარმომადგენლები ბატონ ჰაჯან ჰაჯიევის მეთაურობით აქტიურად მოქმედებენ ქვემო ქართლისა და კახეთის თურქულ-ენოვანთა სოფლებში, ხანდახან დამოუკიდებლად, ერთპიროვნულადაც დადიან და ისედაც ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ყოველთვის ჰუმანური მოპყრობით განებივრებულები უფრო მომთხოვნი და უფრო პრეტენზიული შეიქმნენ. სამაგიეროდ, არც გ. ჭანტურიას და არც მის თანამშრომლებს დამოუკიდებლად საინგილოში, ინგილოთა სოფლებში, მოსახლეობის მდგომარეობის ახლოდან გასაცნობად დღემდე არ შეუდგამთ ფეხი...

უსახსრობის გამო ციმბირში-პოლარეთში საშოვარზე ვერ წამსვლელ ინგილოთა ერთმა მოზრდილმა ჯგუფმა განცხადებით მიმართა აკადემიკოს ნოდარ ამაღლობელსა და სხვებს, რათა მათ ეშუამდგომლათ ბატონ გ. ჭანტურიასთან, როგორც აზერბაიჯანში, საქართველოს ელჩთან და ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტთან, რათა ეს ინგილოები ბაქოსუფსას ხაზზე მუშებად დაესაქმებინა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა ნ. ამაღლობელმა გასულ წელს ორჯერ, დანარჩენებმა თითოჯერ უშუამდგომლეს წერილობითა და სიტყვიერადაც, დღემდე არავინ არ იქნა მუშად დასაქმებული...

30 წელია, რაც ინგილოები საქართველოს ხელისუფლებას წერენ და თხოვენ, რომ 60-იანი წლების შუადან მოყოლებული, ველარ იჭერენ საქართველოს ტელეგადაცემას, ტელეგადაცემაში მანამდე არსებული მდგომარეობის აღდგენაზე ოცნებობენ და ითხოვენ ამას, მაგრამ საქართველოში, მის ხელისუფლებაში, ესეც არავის არაფრად ულირს!.. მერე რა მოხდა, ინგილო თათრულ ტელევიზიას ხომ უყურებს, თათრულ რადიოს ხომ ისმენს, თათრულ კინოფილმებსა და კონცერტებს ხომ ესწრება. ეს მას ეყოფა! როგორც თავის დროზე ერთ-ერთმა ქართველმა მგზნებარე ბოლშევიკმა ბრძანა: 1921 წ: „სულ ერთი არ არის, მარქსიზმს რომელ ენაზე დაეუფლებიანო“.

**ვახტანგ ნადირაშვილი**

**P.S.** აზერბაიჯანის რესპუბლიკის კომუნისტურ-დემოკრატიული კონსტიტუციები, ეროვნულ უმცირესობებს თავის მშობლიურ ენაზე აღუთქვამდნენ ეროვნული კულტურის, ენის, ფოლკლორისა და სხვა მრავალის ჰარმონიული განვითარების უფლებებს, მაგრამ ეს კონსტიტუციები, როგორც დარწმუნდით, ინგილო-ქართველთათვის (არა მხოლოდ მათთვის!) მკვდრად დაბადებულად დარჩნენ. ჩვენთვის ახლა საინტერესოა ბოლო, 1995 წელს მიღებული და დღეს მოქმედი დემოკრატიული კონსტიტუცია, თუ რას ჰპირდება თავის ქვეყანაში მილიონობით იბერიელ-კავკასიელსა და ინდოევროპიელებს, ანუ აზერბაიჯანის არათურქულენოვან მოსახლეობას! განსჯისათვის დავიმოწმებ აღნიშნული კონსტიტუციიდან ზოგიერთ საყურადღებო მუხლებსა და პარაგრაფებს:

მუხლი 12, I. სახელმწიფოს უზენაესი მიზანია ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა;

მუხლი 21, I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა აზერბაიჯანული ენაა. მის განვითარებას სახელმწიფო უწყობს ხელს;

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკა სხვა ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობის ენების თავისუფლად გამოყენებასა და განვითარებას უზრუნველყოფს;

მუხლი 25, I. ყველა კანონისა და სასამართლოს წინაშე, თანასწორია;

II. კაცსა და ქალს ერთიდაიგივე უფლებები და თავისუფლებები აქვთ;

მუხლი 28, I. ყველას თავისუფლების უფლება აქვს;

მუხლის 32, I. ყველას პირადი ხელშეუხებლობის უფლება აქვს;

მუხლი 44, I. ყველას ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისა და შენახვის უფლება აქვს;

II. არ შეიძლება ვინმე აიძულო, რომ შეიცვალოს ეროვნული თვითმყოფადობა;

მუხლი 45, I. ყველას დედაენით სარგებლობის უფლება აქვს;

II. არავის არ წაერთმევა დედაენით სარგებლობის უფლება;

მუხლი 48, I. ყველას აქვს სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის უფლება (ე.ი. აზერბაიჯანში ყველას აქვს უფლება, ირწმუნოს ის რწმენა, ის რელიგია-რჯული და ამ გზით, ამ რჯულით დაუახლოვდეს ღმერთს, რომელიც გზაც, რჯულიც თვითონ აირჩია!).

ასეთი მშვენიერი კონსტიტუციების მქონე ქვეყანაში უკიდურესი, საუკუნო ეროვნული უუფლებობა რომ სუფევს, ამიტომ დღეიდან და მომავალში თავხედი ასიმილატორი რომ ავლაგმოთ და ჩვენს ეროვნულ საქმეში კონსტიტუციური უფლებები რომ მოვიპოვოთ, აუცილებელია ახლებური მოქმედება, ბრძოლა, რის გარეშეც აზერბაიჯანის ხელისუფლება, რომელიც მიჩვეულია ასიმილირება-გათათრებას, ე.ი. ყოველივე ეროვნულის წართმევას, ინგილო-ქართველ ხალხს არაფერს



არ მისცემს, ხოლო საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერისა და პატრონობის იმედი, ჯერჯერობით, არ უნდა ვიქონიოთ. დღეს უკვე სხვა დროა: რკინის ფარდები, ღობეები და ბარიკადები აღებულია, მჭიდრო კავშირურთიერთობებია ქვეყნებსა და ერებს შორის. ამიტომ ჩვენი ელემენტარული ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლის პირველ ეტაპზე, მინიმალური წარმატების მისაღწევად, ჩვენ ვალდებული ვართ მივმართოთ მშვიდობიან ხერხებს. კერძოდ: ამისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ბაქოში და თბილისში მოვლინებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოთა მისიების სხვადასხვა წარმომადგენლობა, მათი მასმედია, ანდა ჰააგაში არსებულ საერთაშორისო სასამართლოში ჩივილი! რაიმე წარმატება თუ არ იქნება მიღწეული, მაშინ ევროპაში და ამერიკაში საგანგებო დელეგაციებიც უნდა გაიგზავნოს — სხვა გზა არაა, იქ უნდა გამოვფინოთ ამ ქვეყნის ხელისუფალთა სამარცხვინო და ჭუჭყიანი ლაქები, რათა ამ გზით მაინც ბოლო მოვუღოთ ჩვენი ხალხის ეროვნულ უუფლებობას და თავის ისტორიულ მიწაზე შეეძლოს მშობლიურ ქართულ ენაზე თავისუფლად ტირილიცა და სიცილ-სიმღერაც!

ალექსანდრე აბდალაძე

# სომხეთ-საქართველოს „უპრეცენდენტო" ომის კვალდაკვალ

*მესამე გვერდიდან*

აპირებენ ზეიმით აღნიშნონ 1918 წლის დეკემბრის სომხეთ-საქართველოს ომში სომხეთის „გამარჯვების" 80 წლისთავი. თუ რანაირ „გამარჯვებას" მიაღწიეს ამ ომში სომხებმა, ამის თაობაზე უკვე ვისაუბრე ერთ ჩემს წერილში (იხ. ჟურნალი „მნათობი", 1998, №3-4) და ამჯერად სიტყვის გაგრძელებას აღარ ვაპირებ. ისიც უნდა ითქვას, რომ თუ ქვეყნისათვის თავდადებულმა ქართველებმა „შეძლეს უწამლონ, უპატრონონ ჩვენს დაქცეულ სამშობლოს 1918 წ. სომხეთ-საქართველოს ომის საგანგებო შესწავლის საგნად უნდა იქცეს ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. ჯერჯერობით კი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არაქართული ხელმძღვანელობა და მისი ტაშისდამკვრელები სავარძლების შენარჩუნებისათვის იბრძვიან ყოველგვარი საშუალებებით.

დღეისათვის სომხები მიიჩნევენ, რომ ამ ომში სომხებმა გაიმარჯვეს, ქართველები კი თვლიან, რომ მენშევიკების (ნოე ჟორდანიასა და ძმათა მისთა) არაეროვნული პოლიტიკის, ბედოვლათობის მიუხედავად, ომი ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. ნუთუ საისტორიო მეცნიერებას არ ძალუძს ამ საკითხის ისე ღრმად შესწავლა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს, საერთაშორისო დაწესებულებების ჩარევის შედეგად მაინც ხმა აღარ ამოეღებოდეს? ანდა, არ შეიძლება იმისი საბოლოოდ გარკვევა, 1918 წ. დეკემბერში თბილისი სომხთა დაპყრობისაგან ინგლის-საფრანგეთმა იხსნა თუ არა? თურქეთში მოწყობილი სომხთა გენოციდის გამო სომხეთი ხომ I მსოფლიო ომში გამარჯვებული ინგლის-საფრანგეთის მოკავშირედ გამოცხადდა, ხოლო საქართველოს ხომ გერმანია მფარველობდა, სანამ თავს დამარცხებულად ცნობდა? ასეთ ვითარებაში როგორ ავხსნათ ინგლის-საფრანგეთის მიერ სომხეთისათვის, ვითომც ხელის შეშლა საქართველოს წინააღმდეგ ომში? (იხ. ჩემი დასახელებული წერილი).

ცხადია, XI საუკუნიდან მოყოლებული სომხეთი ომს ვერ გააჩაღებდა საქართველოს წინააღმდეგ 1918 წლამდე, სომხური სახელმწიფოს აღდგენამდე. რა ხდებოდა XI საუკუნემდე? ვითომ, მართლა არ ჰქონდა სომხეთს (კერძოდ, ე.წ. დიდ სომხეთს) პრეტენზიები ქართული მიწების მიმართ იმ უძველეს ხანებში? სინამდვილეში ამგვარი პრეტენზიები და ომები მრავალჯერაა დადასტურებული. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, რომ არ გამოვედევნოთ, ისევ სახელმძღვანელოებს მივმართოთ. 1943 წელს გამოქვეყნებულ ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის. ს. ჯანაშიას „საქართველოს ისტორიაში", რომელიც სახელმძღვანელო იყო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის, სტრაბონის ცნობაზე დამყარებით, აღნიშნულია: „როცა 190 წელს, ძვ.წ., სელევკიდების სამეფომ სასტიკი დამარცხება განიცადა რომაელებისაგან, მას გადაუდგნენ მისი მმართველები სომხეთში, რომლებმაც ორი სამეფო (ე.წ. დიდი და მცირე სომხეთი — ა.ა.) დააარსეს.

ეს სამეფოები თავდაპირველად პატარა იყო, მაგრამ მალე ისინი გაფართოვდნენ მეზობელი ქვეყნების ხარჯზე. კოლხეთისა და იბერიისათვის ჩრდილოეთ სომხურ სამეფოს ხუთი ოლქი ჩამოუჭრია (ცხადია, ომების შედეგად - ა.ა.).

იბერიამ ამ დროს დაკარგა სამი დიდი ოლქი — პარიადრის მთიანეთი, ხორძენა და გოგარენა (ანუ ტაო, სპერი, კოლა-არტაანი და ქვემო ქართლი-ა.ა.)... იბერიისა და კოლხეთის საზღვარზე მდებარე ხალიბებისა და მოსინიკების თემებმა თავისი აღმოსავლური რაიონები დაჰკარგეს — კარინითი და დერქსენა. დერქსენა ეხლანდელი დერჯანია, კარინითი — კარნუ ქალაქის ანუ ერზერუმის ოლქი" (გვ. 52; იხ. ამ სახელმძღვანელოს რუსული გამოცემაც). ქართველები იმ დროს უკვე გამოირჩეოდნენ მეომრული ბუნებით და, ცხადია, სომხეთაგან ამოდენა ქართული მიწა-წყლის მიტაცებას ვერ შეურიგებოდნენ. ამის გამო საქართველო-სომხეთის ომები საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ამ მხრივ ქართველებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ახ. წ. I საუკუნეში, როდესაც ქართლის, ანუ იბერიის სამეფოს მეფე, ფარსმან I მთელი სომხეთის დაქვემდებარებასაც შეეცადა. ამას წინ აღუდგნენ რომისა და ირანის (პართიის) იმპერიები. ფარსმან I-მა მიიჩნია, რომ იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაში ქართლის სამეფოსთვის პართიის წინააღმდეგ რომთან კავშირი მაინც აუცილებელი იყო. ხსენებულ სახელმძღვანელოში ნათქვამია: „ფარსმანი, ქართლის მეფე, განაგრძობდა ბრძოლას სომხების წინააღმდეგ. 58 წელს მან სომხეთს მესხები შეუსია.

შემდეგ ფარსმანმა რომაელებს დიდი დახმარება გაუწია აღმოსავლეთში. სანაცვლოდ, რომაელებმა სომხეთს რამდენიმე ოლქი ჩამოაჭრეს და ფარსმანს მისცეს" (გვ. 71). ეს იყო ის ოლქები, რომლებიც სომხებმა ქართველებს წაართვეს ძვ. წ. IIს-ში. სხვათა შორის, იმ დროს რომის იმპერია სომხეთს უჭერდა მხარს საქართველოს წინალმდეგ, რადგან ჩვენი ქვეყანა, კერძოდ, ქართლის სამეფო ძვ. წ. II საუკუნისათვის რომის მოწინააღმდეგის, სელევკიდთა სახელმწიფოს მოკავშირე იყო.

1990წ. დასტამბულ ნ. ასათიანის, ვ. გუჩუას, მ. ლორთქიფანიძის, შ. მესხიას „საქართველოს ისტორიაში" (VIII-IX კლასების სახელმძღვანელოში) ვკითხულობთ: „რომაელებმა ჩვენს წ-აღ-მდე 190 წელს დაამარცხეს სელევკიდები. ამით ისარგებლეს სომხეთის მმართველებმა და სელევკიდების ბატონობისგან თავი გაითავისუფლეს. სომხეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ორი სომხური სახელმწიფო — დიდი და მცირე არმენია. ამ სახელმწიფოებმა საქართველოს სამხრეთი ტერიტორიის ნაწილიც მიიტაცეს" (გვ. 44), რა თქმა უნდა, ომების შედეგად.

იმ უძველეს ხანებში სომხეთ-საქართველოს ომების შესახებ მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრებაც": სომეხთა მეფემ, იარვანდმაო „დაივიწყა... კეთილი ქართველთა, ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა (ამ თხრობაში ქრონოლოგია, მეფეთა სახელები ხშირად არეულია-ა.ა.), და მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე. და დასხნა წუნდას შინა კაცნი მხეცნი, ნათესავნი დევთანი, და უწოდა წუნდასა სახელად ქაჯატუნი, რომელი-ესე ითარგმანების დევთა-სახლად. და ვერ იძებნეს მეფეთა ქართლისათა საზღვარი და მოკუდეს მწუხარებასა შინა დიდსა". ქართველთა მეფეებმაო „განიზრახეს ძიება საზღვართა ქართლისათა", რასაც დიდი, სისხლისმღვრელი ომები მოჰყოლია.

სომეხთა მთავარსარდალმა „აღაშენა ციხე ქუეყანასა ოძრხევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქვიან დემოთი, მოკიდებულად მთასა ღადოსსა. და დაუტევნა მას შინა ლაშქარნი შემწედ წუნდელთა და მაბრძოლად ოძრხეველთა". "წარმოემართა ძალითა თვისითა ყოვლითა არტაშან, მეფე სომეხთა, და სპასპეტი მისი... მოვიდეს სომეხნი და დადგეს მცხეთას, და ჰბრძოდეს ხუთ თუე..." იგივე მატიანის მიხედვით. სომხეთსა და ქართლის სამეფოს შორის ომები ყოფილა ახ. წ. IVს-ის დასაწყისშიც, ქართველთა მეფე მირიანისა და სომეხთა მეფე თრდატის დროს. საბოლოოდ, ქართველები ახერხებდნენ ქართული მიწა-წყლის დაცვას სომეხთაგან.

428 წელს ირანმა სომხეთში მეფობა მოსპო (სომხეთის სამეფო აღდგენილ იქნა IXს-ის ბოლოს). შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში ქრთულ მიწებზე პრეტენზია სომხურმა ეკლესიამ და მისმა საჭეთმპყრობელებმა განაცხადეს. ამ მიზნით, ისინი დამპყრობლებთან მორიგებასაც ცდილობდნენ. ამას შედეგად მოყვა ქართულ-სომხური ეკლესიების განხეთქილება VIIს-ის დასაწყისში, როდესაც ქართველთა კათოლიკოსი იყო კირიონ I. დაახლოებით 613 წელს გამართული „სპარსული კრების" შედეგად სპარსეთის შაჰმა ხოსრომ გამოსცა ბრძანება: „ყველა ჩემმა ქვეშევრდომმა ქრისტიანმა უნდა მიიღოს სომხური სარწმუნოება" (ამის თაობაზე იუწყება სომეხი მემატიანე სებეოსი). გავითვალისწინებთ რა ამგვარ ვითარებას, შეიძლება გადაჭარბებულად აღარც მოგვეჩვენოს ე. თაყაიშვილის სიტყვები: „კირიონი რომ არა, ჩვენ ნამდვილად გავსომხდებოდით. დიდი საქმე ქნა ეროვნული თვალსაზრისით, ნამეტანი გონიერი, მაგარი და გამჭრიახი კაცი ყოფილა, როგორც გავს! ჩვენს მას ძეგლი უნდა დავუდგათ". მართლაც, კავკასიის ალბანელთა დიდი ნაწილი გაასომხეს და იგივე მიზნები ექნებოდათ ქართველების მიმართაც. სომეხთაგან დაპყრობილ ქართულ მხარეებში მრავალი ქართველი გასომხდა კიდეც საუკუნეთა მანძილზე.

სომხეთ-საქართველოს შორის არაერთი ომი გაიმართა IXს-ის ბოლოს და Xს-ის დასაწყისშიც (ამის თაობაზე გვაუწყებენ ქართულიც და სომხური მატიანეებიც). ამ ომების შედეგად სომხებმა მიიტაცეს ქვემო ქართლი, რომელიც დაახლოებით ორი საუკუნე იყო მოწყვეტილი საქართველოს და ამის გამო თვით ქართველებმა „სომხითიც" კი შეარქვეს.

სომხეთ-საქართველოს ომის გაჩაღებაზე დღესაც ფიქრობენ სომეხთა გარკვეული წრეები. სხვანაირად ძნელი ასახსნელია ის, რომ რამდენიმე თვის წინ ქართული მცირერიცხოვანი სამხედრო რაზმი ჯავახეთში არ შეუშვეს და „დამოუკიდებელი ჯავახეთისათვის" კონსტიტუციაც შეადგინეს. საქართველოს მიმართ სომეხთა აგრესიული განწყობილების დასტურია 1918 წ. სომხეთ-საქართველოს ომისადმი დიდი ყურადღების გამოჩენაც ამჟამინდელ სომხეთში. 1921წ. ბოლშევიკურმა რუსეთმა ქვემო ქართლის ნაწილი, ლორეტაშირი მოაგლიჯა საქართველოს და სომხეთს გადასცა. ახლა ჯავახეთის მიტაცება აქვთ გეგმაში. ფიქრობენ, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დამარცხებული საქართველო დიდ წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევსო.

მართალია, სომხეთ-საქართველოს 1918წ. ომის მომზადებასა და გაჩაღებაში რუსეთის იმპერიას დიდი წვლილი მიუძღვის, მაგრამ სათანადო მიზეზების ძიებისას ქართული მიწა-წყლის მიმართ არც სომეხთა ძველისძველი, საუკუნოვანი, ორი ათასწლოვანი პრეტენზიები არ უნდა დავივიწყოთ. ამგვარ პრეტენზიებს კი სომხეთ-საქართველოს მრავალი ომი მოჰყვა შედეგად ძველ ხანებშიც. XI-XVIII სს-ში სომხები საქართველოზე ამყარებდნენ იმედებს, მისგან ელოდნენ ხსნას, მაგრამ იმ დროსაც არ ავიწყდებოდათ საქართველოს მიმართ ძველი პრეტენზიები, რომლებმაც XIX-XX სს-ში ახალი ძალით იფეთქეს.

# ...ხალხს რისი იმედი უნდა ჰქონდეს, თუ არა ისევ ამ ხელისუფლებისაგან თავის დაღწევისა?!

## ანუ ვისი ხათრით დასდევს ხელკეტებით საქართველოს ერთი ნახევარი მეორე ნახევარს?!...

7 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველი ერი, სრულიად საქართველოს მოსახლეობა ბ-ნ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით 200-წლიან ძილ-ბურანიდან გამოფხიზლდა და „დიდ საბჭოთა კავშირის ძმური ოჯახიდან" თავის დაღწევის შედეგად მოპოვებული თავისუფლება დაკარგა.

7-წლის წინ, 1991-92 წწ. დეკემბერ-იანვარში განხორციელებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად, ამ ტრაგედიის ორგანიზატორებმა და სულისჩამდგმელებმა: კომუნისტმანქურთებმა და სხვა სახელმწიფოს სამსახურში დახელოვნებულმა სოფისტებმა, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნების და უფლებების შელახვით, იარაღის ძალით განდევნეს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება და ქვეყნის პრეზიდენტი. დაამკვიდრეს ერისათვის მიუღებელი ხელისუფლება და რეჟიმი. გააუქმეს მოქმედი კონსტიტუცია და მასთან ერთად ყველა ის სასიცოცხლოდ აუცილებელი გარანტიები, რომლითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და თავისი მოქალაქეების დაცვას.



უგულვებელყვეს და ფეხქვეშ გათელეს 1991-წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატული ერის ნება და რესპუბლიკა „დსთ"-ში შეათრიეს, თითქოს მეზობელ ქვეყნებთან გარდა მონობისა სხვაგვარი ურთიერთობის დამყარება არ შეიძლებოდეს.

სოფისტი დემაგოგიური მთავრობა, ანუ ხუნტის კანონმემკვიდრე ხელისუფლება, უკვე მერამდენედ ცდილობს დაიკანონოს თავი არჩევნების გზით, რომელსაც ყოველთვის თავისი წესებით მართავს და, რაც მთავარია, არსებული საარჩევნო კანონით — ბ-ნ ზვიად გამსახურდიას მიერ გამოღვიძებული და ეროვნული ცნობიერებით გონება გამდიდრებული, ერთი შეხედვით ინდიფერენტული მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ნება და უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ე. წ. არისტოკრატების არჩევნებს სათოფეზედაც არ ეკარებიან, სავსებით უგულვებელყოფილია. ამას ადასტურებს ახლახანს გამართული ადგილობრივი არჩევნებიც, სადაც მთლიანი ამომრჩევლების 20-30%-ის მონაწილეობა იქნა დაფიქსირებული და არჩევნებიც კანონიერად მიჩნეული.

ამომრჩეველთა 70-80%, ანუ ერის უდიდესი ნაწილი იმთავითვე განწირულია უკეთეს შემთხვევაში სიღატაკისათვის, რბევისათვის და ხელკეტებით ცემა-ტყეპისათვის, — უარეს შემთხვევაში კი არსებული რეჟიმის საწინააღმდეგო პოლიტიკური აზრისა და მშვიდობიანი საპროტესტო აქციებში აქტიური მონაწილეობისათვის, რის გამოც, შეთითხნილი უმძიმესი ბრალდებებით ერის საუკეთესო შვილებით გადაჭედილია ციხეები. ყოველივე ეს, არსებულ ხელისუფლებას და პრეზიდენტს ხელს არ უშლის ქვეყანაში „გაერო"-ს მიერ დეკლარირებული ადამიანის უფლებების 50 წლისთავი საზეიმო დღედ გამოაცხადოს, — რესპუბლიკის მოედანზე საზეიმოდ მოსული ხალხი კი (ვისი ინიციატივითაც არ უნდა ყოფილიყო), სასტიკად დაარბიოს და ცემა-ტყეპა გაუმართოს.

ადამიანის უფლებების აღსანიშნავ დღესასწაულს ხელისუფალთა გუშინდელი და დღევანდელი მაღალი ჩინოსნებიც ესწრებოდნენ, რომლებიც მოედნის გარე ამაღლებული ადგილებიდან ისეთი სიამოვნებით დაჰყურებდნენ მოედანზე გამართულ წნევა-გლეჯას, როგორც რომაელი დიდგვაროვნები და იმპერატორი გლადიატორთა უკომპრომისო ბრძოლას არენაზე.

დღეს საშინელებებით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ რა გულქვა უნდა იყოს ადამიანი, რომ მშვიდად უცქიროს, თუ როგორ ითრევენ თმებით დედის ტოლა ქალებს შვილის ტოლა ბიჭები, თუ როგორ დაუზოგავად სცემენ წიხლებით მამის ტოლა კაცებს შვილის ტოლა ბიჭები.

ორგანოს მაღალი ჩინოსნები, რომლებსაც ვერ ძალუძთ აიძულონ ქვეშევრდომები აღასრულონ ამაზრზენი ბრძანებები, თავად ასრულებენ შავ სამუშაოს. აი, მაგალითიც: 30-იოდე წლის, 1,9 მეტრის სიგრძის ახოვანი ახალგაზრდა კაცი, საბჭოთა მილიციის უნიფორმაში გამოწყობილი, მაიორის ვარსკვლავით დამშვენებული სამხრეებით, სწორედ იმ დროს მომეპარა ზურგიდან, როცა ვილაც წაქცეულის წამოყენებას ვაპირებდი და ისე მძლავრად ჩამცხო წიხლები წვივებში, რომ ჩემი ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი, ქ-ნი თამარ ლობჟანიძე რომ არა, ალბათ სახლამდე ვერ მივაღწევდი.

აღსანიშნავია, რომ მე იმ თავყრილობაზე უპირველეს ყოვლისა მივლინებული ვიყავი ჩემი ორგანიზაციიდან, როგორც კორესპონდენტი და გაზეთ „არჩევანის" რედკოლეგიის წევრი, ამავე ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის თავმჯდომარე.

მე ასევე იმ ახალგაზრდა მაიორის მშობლების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ არც მე მყავს ნაკლები სიმაღლის (და არა სიგრძის) შვილები, რომელთათვის თავი მარტო მილიციელის ქუდის სატარებლად არ მიუცია ღმერთს და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხელისუფლებას დღეს ასეთი მაიორების ასი ათასიანი არმია იცავს, რომელთა საერთო რაოდენობამ ოჯახის წევრებითა და ნათესავებით შეიძლება ნახევარი მილიონი შეადგინოს, წარმოიდგინეთ სანამდე შეიძლება მიგვიყვანოს სიძულვილმა და დაპირისპირებამ. უგუნური უნდა იყოს კაცი, 7 წლის მანძილზე ვერ გაარკვიო რისი ან ვისი ხათრით დასდევს ხელკეტებით ნახევარი საქართველო მეორე ნახევარს, ვის აძლევს ხელს ეს დაპირისპირება. და ბოლოს, ის, რაც რუსმა ვერ მოგვითავა ორლესული ნიჩბებით, ჩვენ რატომ უნდა მოვითავოთ ჩვენივე ხელით?

მილიციელის თუ პოლიციელის უპირველეს მოვალეობას რომ ქუჩაში თავშეყრის და სხვა ადგილებში მოქალაქის ხულიგნებისაგან და ძალადობისაგან დაცვა შეადგენს, ეს ყოველგვარი დეკლარაციების გარეშეც ცნობილია, მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარია თვით ხულიგანი პოლიციელის ძალადობისაგან და ადამიანის უფლებებზე თავდასხმისაგან ვინ უნდა დაიცვას საზოგადოება ან პიროვნება? მითუმეტეს, თუ ეს უმსგავსობა სათავეს იღებს თვით პრეზიდენტის ან მისი მთავრობისაგან. ამაშია ჩვენი უბედურების შინაარსი, და ეს რომ ასეა, ამის დასამტკიცებლად 7-წლის მანძილზე დაგროვილი უამრავი ფაქტიდან ერთი — ფილარმონი აში გამართულ მოქავშირლების ყრილობაზე პრეზიდენტის თვალწინ პოეტ ამაშუკელის მიერ ტრიბუნიდან გადმოთრეული და თანაპარტიელების მიერ ერთობლივი ძალით ფეხქვეშ ამოდებული და დასისხლიანებული ახალგაზრდა კაცის მაგალითიც კმარა, რომლის საბედისწერო „დანაშაულს" დაუმთავრებელი ფრაზა „შევარდნაძე დალუპავს საქართველოს"... შედგენდა.

ამ ხულიგნობისათვის პოეტ ამაშუკელს პრეზიდენტმა ღირსების ორდენი უბოძა და თავის პარტიაში საპასუხისმგებლო ადგილიც მიუჩინა, ხოლო ძვალ-რბილ გაერთიანებული კარგი ყმა, სამედიცინო დახმარების გაუწევლად ციხეში გააგზავნეს.

ოჯახში რომ მამა შვილების გამორჩევას დაიწყებს, ის ოჯახი დაილუპება. პრეზიდენტი რომ ხალხს თავისიანებად, ზვიადისტებად და შევარდნაძისტებად, პოზიციონერებად და ოპოზიციონერებად რომ დაჰყოფს და მერე ერთმანეთს სასიკვდილოდ დაუპირისპირებს, კანონსაც მაჯაზე მათრახივით მოირგებს და ეროვნული ცნობიერების მატარებელთა ზურგზე ცხრა ფენა ტყავს აძრობს, იმ ქვეყნის ხალხს რა გაახარებს ან რისი იმედი უნდა ჰქონდეს, თუ არა ისევ ამ ხელისუფლებისაგან თავის დაღწევისა?!

**რ. კუტალია**

**„სამართლიანობის აღდგენის კავშირის — ხმა ერისა„-ს დარბაზის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის თავმჯდომარე**

# ქალი პროკურორი — თანაც პოეტი?!

**ნინო მარიამიშვილს,** ქართული პოეზიის მოყვარულები უკვე მეორედ ხვდებიან. იგი პროფესიით იურისტია, დამთავრებული აქვს საქართველოს შ.ს.ს.-ოს აკადემია. მუშაობდა ამავე აკადემიაში მასწავლებლად. იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის ერთ-ერთი სამმართველოს პროკურორი. ამჟამად მომხიბლავი და ახალგაზრდული ენერგიით სავსე ქალბატონი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საინფორმაციო-საორგანიზაციო სამმართველოს უფროსია.

უნდა გამოგიტყდეთ, როცა გენერალური პროკურორის პრესცენტრში ხალხმრავლობაა, ყველანი შეგუებული ვართ იმას, რომ ამ სამსახურის უფროსი, ბატონი გიგლა გობეჩია პრესკონფერენციაზე მიგვიწვევს, რომელიმე გახმაურებული საქმის დასრულების ან კიდევ ძიების დაწყებასთან დაკავშირებით გამართულზე 16 დეკემბერს კი სულ სხვა შემთხვევის მომსწრენი გავხდით. გენერალურ პროკურატურაში მიწვეული ჟურნალისტები, ახალგაზრდა პროკურორისა და პოეტის, ნინო მარიამიშვილის, ლექსების კრებულის პრეზენტაციაზე აღმოვჩნდით. როდესაც ეს შევიტყვე უმალ კითხვამ გამიელვა გონებაში — ქალი პროკურორი — თანაც პოეტი?! დიახ, ქალბატონი ნინო ისეთივე უცნაურად მომხიბვლელი პიროვნებაა, როგორი უცნაური მომხიბვლელობითაც გამოირჩევა მისი ლექსები. მოკლედ ძალიან ძნელია, ჩაწვდე ამ ლამაზი სულის მატარებელი, გულწრფელი პოეტის სულიერ სამყაროს, იგი ხან დედოფალია, ხან გენერალი, რომელიც სახლში მისული მისი სამი ცუნცულა ჯარისკაცისგან პატაკს იბარებს, ხან კიდევ გახლეჩილი და გაუბედურებული საქართველოს ერთგული შვილი და, რაც მთავარია, უბრალო და ბევრისმთქმელი პოეტი.

როგორც მწერალი ნათელა ინაშვილი მასზე ამბობს: აჰა, ღიაა ჩემი სულიერი სამყაროს კარი! შემოდი, იგრძენ, დაინახე და, თუ გნებავს, გაითავისე ჩემი ტკივილიცა და სიხარულიც!

მკითხველიც ინტერესით ეწაფება მისი მომხიბვლელი უბრალოების, პირველქმნილს სისადავეს, როგორც გაზაფხულის ადრეული ქუხილის რომანტიკულ მუსიკას.

ნინო მარიამიშვილის ლექსების კრებული: „გაზაფხულმა მომიტანა საფიქრალიც..." პოეზიის მოყვარულთა ფართო წრისთვისაა განკუთვნილი და გვჯერა, რომ ქართველი მკითხველი ამ კრებულს, როგორც თავად ნინო უწოდებს თავის მეხუთე პირმშოს, სიამოვნებით გაეცნობა და გულში ჩაიკრავს.

**კოკა კაპანაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალაქის კოლორიტი

## „ჭრელი აბანო"

„მეიდანი" სხვადასხვა ეროვნების მაცხოვრებელი ხალხით აჭრელებული უბანია და ეს „ჭრელი აბანოც" ისე უხდება აქაურობას, როგორც ნათელ ცას თეთრი და ცისფერი ღრუბლების ფენა.

„ჭრელი აბანო" მე-17 საუკუნის დასასრულს აშენდა. მისი მფლობელი კი თავადი ორბელიანი გახლდათ. ამიტომ თავდაპირველად მას „ორბელიანების აბანოდ" მოიხსენიებდნენ, ხოლო შემდგომ „ჭრელი აბანო" უწოდა ხალხმა. ორ საუკუნეზე მეტია, რაც ეს ისტორიული შენობა შეუცვლელი, თავდაპირველი სახით წარმოუდგება ხოლმე ყოველ ახალ მნახველს, რომელსაც შესასვლელშივე ანცვიფრებს უმშვენიერესი მოზაიკური პანო, შესრულებული სწორედ ცის გარდამავალ ფერებში. შენობაში შე-



სულ ადამიანს კი, ცალკეული ვიტრაჟით შეუძლია თავისებურად, წინა საუკუნეებში დროებით მაინც გადაინაცვლოს, წარმოიდგინოს საკუთარი თავი იმ ადამიანების ადგილზე, ვინც ეს ყოველივე 100-200 წლის წინათ იხილა. აქ ხომ მრავალი ისტორიულად ცნობილი ადამიანი, სინამდვილიდან ლიტერატურაში შემოსული გმირია ნამყოფი. „ჭრელ აბანოში" მე-3 ნომერს — პუშკინის სახელს უკავშირებენ, ვინაიდან პოეტი ნამყოფია აქ, რომელსაც თურმე ძალიან მოსწონდა გოგირდოვანი წყლის სურნელი. ასეთ აბაზანებს ალმერთებდნენ არა მხოლოდ მეფე-პოეტები, არამედ ნამდვილი მეფეები, ბატონიშვილები, თავადები... ალბათ აქვე გაგახსენდათ ლიტერატურული გმირები: არსენა მარაბდელი, ნოდარ დუმბაძის პერსონაჟი გიჟი მარინა, ჭაბუა ამირეჯიბის — გრაფი სეგედი — რომელიც იხსენიებს: „...როს საშინელმა დაღლილობამ და დეპრესიამ დამრია ხელი. რატომღაც აბანო, მექისე, თბილი გოგირდოვანი წყლის მსუყე სუნი მომინდა, ჩავჯექი ეტლში, დალმართებს ჩავყევი ორბელიანების აბანოსაკენ. ცოტა ხნის მერე მარმარილოს ტახტზე პირქვე ვიწექი, ქამბაზა — მექისე სიქას მაცლიდა... ზურგზე ფეხით შემდგა, ხერხემლის მალებმა და სახსრებმა ტკაცატკუცი ატეხეს. ფეხის ტერფმა კისრიდან კუდუსუნამდე წკნელის ფარცხივით ჩამიარა, სიმსუბუქე ვიგრძენი — ვაშე სიატელსტვო, გაგრილება ნადა? — ჩამესმა ქამბაზას ხმა. კვერი დავუკარი, გახურებულ სხეულზე იმ წამს ქარიშხალის ტალღასავით დამაცხრა მთელი ზღვა. მექისემ მხრებზე ვეება ზეწარი წამომასხა და გამომეთხოვა".

გოგირდოვანი წყლებით მრავალი სატკივარის მკურნალობამ თავიდანვე მოდური ხასიათი მიილო, თუმცა ეს საკითხი სადაო სულაც არ გახლავთ. „რა ავადმყოფობას აღარ შველის ეს დალოცვილი გოგირდის აბანოები", ამბობს შვებამოცემული ხალხი და ექიმებიც ადასტურებენ წყლის სამკურნალო თვისებების კეთილ გავლენას ანთებითი პროცესების, სახსრებისა და კუჭის ტკივილის დროს, შველის ათასგვარ ნევროზებს, უძილობას, ამშვიდებს და აწყნარებს ნერვულ სისტემას, აშუშებს იარებს, კურნავს კანის დაავადებას.

„ჭრელ აბანოს" დღესაც მრავალი უცხოელი დამთვალიერებელი და სტუმარი ჰყავს. აი, დღესაც, ჩინელების ჯგუფი მე აქ თვითონ მოვაცილე როცა მკითხეს „სად ამოდის ნამდვილი ცხელი გოგირდოვანი ბუნებრივი წყალიო?" — სტუმრები ძველი ჩინური მედიცინის წარმომადგენლები ალმოჩნდნენ, ადგილზე მისულებს იქვე დაგვიხვდა გერმანელი სტუმრების სხვა ჯგუფიც, რომლებიც თავისი მოგზაურობის ამსახველ გადაცემას ფირზე იღებდნენ. ჩინელების „ექსკურსიამ" მათ სცენარში გაუთვალისწინებელი ცვლილებები შეიტანა. ცოტა ხანში, გერმანელებს ჩინელი ვან-ხუნი მოუთხრობდა ასეთი ბუნებრივი საშუალებებით მკურნალობის მნიშვნელობაზე და ასევე ნერტილოვანი მასაჟის შესახებ. გერმანელი გულმოდგინედ იღებდა ყოველივეს და ამით ორივე მხარე მეტად კმაყოფილი ჩანდა.

მე კი ამასობაში გავესაუბრე შ.პ.ს. „გოგირდის" ჭრელი აბანოს დირექტორს, ბატონ **გია ხიზანეიშვილს.**

ბატონი გია უკვე თერთმეტი წელია, რაც აქ მუშაობს. დამთავრებული აქვს უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი — საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალობით. საერთოდ კი, ბატონი გია უკვე 20 წელია, რაც ამ სისტემას ხელმძღვანელობს. ჰყავს მეუღლე და 3 შვილი. ორივე გოგონა სტუდენტია. ერთი უცხო ენების ინსტიტუტში გერმანულს ეუფლება, მეორე კი მომავალი ექიმია. ბიჭი ნაბოლარაა — ჯერ იგი მხოლოდ მესამე კლასშია და ანსამბლში ცეკვავს.

ბატონ გიას დამსახურებულად პატივს სცემს მთელი უბანი, მისი ჰუმანური და ადამიანური ქმედებების გამო. მრავალი ასეთი მაგალითის უნებლიე შემსწრე და თვითმხილველი მრავალგზის ვყოფილვარ, ვინაიდან ჩემი მეგობრები „ჭრელ აბანოსთან" ცხოვრობენ.

ასეთი ამბების მოყოლით თავს არ შეგაწყენთ, რადგან ჩემი რესპოდენტიც თვლის, რომ „კარგი საქმე ჩუმად უნდა გააკეთო ადამიანმა, შენ და ღმერთმა უნდა იცოდეთ მხოლოდო"... „ადრე ავჭალაში ვმუშაობდი, მეთექვსმეტე კომბინატი რომ იყო იქ — აბანოს დირექტორად. რაც შემეძლო, გულით ვაკეთებდი ჩემს საქმეს, მერე მოხდა ისე, რომ ეს ობიექტი ჩამაბარეს და მას მერე ვმუშაობ აქ".



მეტად საპასუხისმგებლო ობიექტია და თან ცოცხალი „უკვდავების-წყლის მუზეუმი" — ღია ცის ქვეშ. დიახ, ერთადერთი ცნობილი, უძველესი აბანოა თბილისში — სიძველის პატივისცემისა და ისტორიული მნიშვნელობის გამო, არავის მისი გადაკეთებ-გადმოკეთების უფლება არ უნდა მიეცეს — არ შეიძლება ამის გაკეთება — ეს ხომ დანაშაულია, რამდენჯერ ურჩევიათ ჩემთვის — ამ მხარეს კაფე რომ იყოსო ან კიდევ რესტორანიო, მოგებას მოიტანდაო, სხვაგან ასე საკითხისადმი მიდგომა შეიძლება ჩვეულებრივი ამბავი იყოს, მაგრამ ასეთი რამ აქ არ შეიძლება მოხდეს და თან მე ხელი შევუწყო?! რაც შეეხება გამასპინძლებას — ყავას და ჩაის ისედაც მიართმევენ ჩვენთან სტუმარს, თუ კი მოისურვებს.

„ჭრელ აბანოს" რეკონსტრუქცია გაუკეთდა გასულ წელს, გაახლდა ნომრები, ახალი კაფელით, მეტლახით. კაცთა საერთო განყოფილებაში გაკეთდა კეთილმოწყობილი აუზი მოცულობით 4X5-ზე რომელსაც 1 მ და 60 სმ. აქვს სიმაღლე. ჩვენი შეხედულებებით, ვერ ვახერხებთ განყოფილებების გადანაცვლებასაც. ეს ყველაფერი მომავალ თაობას ისეთივე უნდა დახვდეს, როგორიც მაშინ იყო, მე-3 ნომერს ალექსანდრე პუშკინი რომ ეწვია.

ნომრების ფასი ჩვენთან დაბალია — საათი 10 ლარი, სხვაგან 20-30 ლარიცაა გადასახადი. ჩვენ მთლიანად ბუნებრივი წყლით ვმუშაობთ დილის 7 სთ-იდან საღამოს 8 საათამდე.

ქალაქში იმ პერიოდში, როდესაც გაზის მიწოდება შეწყდა, გოგირდის წყალი დაიკარგა, სადღაც სხვაგან ჩაიკარგა და წავიდა წყალი. ჩვენი ძალებით ჭაბურღილი გავჭერით 120 მეტრის სიღრმეზე და 39 გრადუსიანი გოგირდის წყალი ვიპოვეთ. ჩვენმა შრომამ ამაოდ არ ჩაიარა, რადგან სინჯებით აღებულმა წყალმა ლაბორატორიაში, ექსპერტების მოწონება დაიმსახურა. ზაფხულში წყალი ტემპერატურის მხრივ კარგია, მაგრამ ზამთარში გათბობა სჭირდება, რადგან მილში ცივდება და ამიტომ 42-43 გრადუსამდე ვაცხელებთ წყალს, ეს კი საკმაოდ ძვირი გვიჯდება. ჩვეულებრივ წყალს ჩვენ გოგირდს არ ვურევთ, ამიტომ ბევრი ადამიანი სამკურნალოდ აქ დადის, რადგან ექიმებიც ურჩევენ ავადმყოფებს ჯანმრთელობის აღსადგენად მიიღონ გოგირდოვანი წყლის 10-15 აბაზანა მაინც.

როცა არეულობა იყო, უფასოდ ვემსახურებოდით საჯარისო ფორმირებებს, პენსიონერებს, ლტოლვილებს, თავდაპირველად კვირაში 1 დღე გვქონდა გამოყოფილი და ყველა მადლიერიც იყო. შემდეგ შევცვალეთ 2 დღით, მერე კვლავ 1 დღით მომსახურეობაზე გადავედით, რადგან, სამწუხაროდ, სიკეთის გაკეთება აღარ დაგვაცალეს. ფორმირებები, როცა უნდოდათ მაშინ მოდიოდნენ. ირღვეოდა საშინაო განაწესი და ეს ყოველივე მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. უგულისყუროდ ეკიდებოდნენ მითითებებს, ამტვრევდნენ და აფუჭებდნენ ინვენტარს. ყოველივე ეს კი ჩვენი ისტორიული ძეგლის შეურაცხყოფად მივიჩნიეთ და მიუხედავად ჩემი დიდი სინანულისა, მათ ჩვენ ასეთი დახმარება შევუწყვიტეთ. ასეთი რამ მოვიფიქრეთ დანარჩენებისათვის: მოვემსახურებოდით თვეში ერთხელ უფასოდ პენსიონერებს, ლტოლვილებს, მარტოხელებს.

ჩვენი ხარჯებით ვეხმარებით შეჭირვებულ ხალხს — ან უარი როგორ უნდა ვუთხრათ ასეთ ადამიანს, პურის ფულიც რომ არ აქვს და ძალიან უჭირს...

მაგრამ, აი ისინი კი ძალიან მაღიზიანებენ, მანქანით რომ მობრძანდებიან და თითქოს გავალდებულებენ უფასოდ მოემსახურონ, „მე ეს ვარ, მე ის ვარო!". თან ნომრისაკენ იწევენ, საერთოში შესვლა ხომ არ ეკადრებათ და!..

„ჩემს საყვარელ თბილის-ქალაქს ვემსახურები, მიხარია, რომ კმაყოფილია ყველა, ვინც მოდის, — სტუმარიც და აქაურიც" — თქვა ბატონმა გიამ და მერე უცხოელ სტუმრებს ღიმილით მიუახლოვდა.

**ქეთი ჩადუნელი**

# საზოგადოება „ერთობის" განცხადება

ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ თურქეთში, ქალაქ სამსუნში, თურქი თანატოლის მკვლელობის ბრალდებით წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან ქართველი მოზარდები. პროცესი, რომელმაც უნდა დაადგინოს ჩვენი თანამემამულეების დამნაშავეობა, უკვე მეოთხედ გადაიდო სასამართლოს მიერ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების საბაბით. დღემდე ვერ მოხერხდა ქართველი ბავშვების თავდებით განთავისუფლება. 3 დეკემბერს გამართულ სხდომაზე სასამართლომ თავდებით გაანთავისუფლა ექვსიდან სამი „ეჭვმიტანილი". გაანთავისუფლა, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ თურქეთის კანონმდებლობა 15 წლამდე მოზარდს ოთხ თვეზე მეტი წინასწარ პატიმრობაში ყოლას არ ითვალისწინებს.

ასეთ ვითარებაში მიუღებელია საქართველოს მთავრობის პოზიცია: ქართველი ხელისუფალნი ერთის მხრივ პესიმისტური ტონით აცხადებენ, რომ თურქეთის სასამართლო დამოუკიდებელი სტრუქტურაა და მასზე გავლენის მოხდენა შეუძლებელია, ხოლო მეორეს მხრივ პრესის წინაშე ჩვეული კეკლუცობისას, შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რომ ხაზი გაუსვან იმ „ღვაწლს", რომელიც მთავრობას მიუძღვის თავისი ქვეყნის მოქალაქეების მიმართ დემირელისადმი შევარდნაძისეული ყბადაღებული თხოვნით სპეკულირების ფონზე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთავრობა, დღეს თუ არა ხვალ, „ჩააწყობს" საქმეს და საქართველოში ამ აპრობირებული ფორმით გადაჭრის საკითხს; ამასთანავე ინერგება აზრი, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს თურქული სახელმწიფოს ინტერესები და ჩვენ, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ ეს ქვეყანა არ გაგვინაწყენდეს. ასეთი მიდგომა საქართველოს მთავრობას მარტო ამ კონკრეტული საკითხის გარდა ზოგადადაც ახასიათებს. მაგ: ორი რუსეთის გახმაურებული თეორია და სხვა. ამგვარი დემაგოგიით გატაცებულ ხელისუფლებას ავიწყდება, რომ მისი უპირველესი მოვალეობა საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვაა და არა სხვა ქვეყნების ინტერესების გათვალისწინება.

მიუხედავად იმისა, თუ როგორ დამთავრდება სასამართლო პროცესი, არსებული ფონი ხელისუფლების უნიათობაზე მეტყველებს, მას არ შეუძლია, ან არ სურს საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა.

არსებულ სიტუაციაში ხმა ქართულმა საზოგადოებრიობამ უნდა აღიმაღლოს. სამწუხაროდ, ჩვენში ამ პრობლემით დაინტერესება ეპიზოდურ და ქაოტურ ხასიათს ატარებს. ეს მით უფრო საგანგაშოა, ვინაიდან საქმე ჩვენს მომავალს, ქართველ მოზარდებს ეხება. მოზარდებს, რომლებსაც კონკრეტული დამნაშავის არყოლის პირობებში „კოლექტიურად" ადანაშაულებენ და მიუხედავად შესაძლებლობისა, თავდებითაც არ ანთავისუფლებენ. უფრო მეტიც, თურქეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მათ სალანძღავი და დამამცირებელი ეპითეტებით მოიხსენიებენ, ხოლო თურქეთის ჩერქეზული დიასპორა კი, საჯაროდ, მათ ჩაქოლვას მოითხოვს. ყოველივე ეს საკმარისი უნდა გამხდარიყო, რათა ჩვენს საზოგადოებრიობას მოეხდინა შესაბამისი რეაგირება, რაც არ უნდა ატარებდეს ანტითურქული ისტერიის ან ექსტრემისტული გამოხტომების ხასიათს, შექმნილი ვითარება არ უნდა გახდეს პოლიტიკური სპეკულაციების საგანი. ჩვენს კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს ბავშვების უსწრაფესი განთავისუფლება და სამშობლოში დაბრუნება. შესაძლებლობის ფარგლებში თავიანთი საშუალებები უნდა გამოიყენონ საქართველოში მომრავლებულმა არასამთავრობო, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და სხვადასხვა სახის ფონდებმა. საჭიროებისდამიხედვით ეს ძალისხმევა კორდინირებულ, ფართომასშტაბიან აქციაში უნდა გადაიზარდოს.

საზოგადოება „ერთობა" მოგიწოდებთ: მისალები ფორმით მიმართოთ თურქეთის სასამართლოს ქართველი ბავშვების უსწრაფესი განთავისუფლების მოთხოვნით, აგრეთვე დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია ქართულ და შეძლებისდაგვარად თურქულ პრესაში.

# გაზეთი „საქართველო" იწყებს მონიტორინგს

## მოსახლეობას ვთხოვთ მოგვაწოდონ ინფორმაცია ელექტროენერგიით მომარაგების გრაფიკის შესახებ



რედაქციაში აღელვებული მამაკაცი გვესტუმრა. აღელვების მიზეზი თითქმის ყველა ჩვენი თანაქალაქელისთვის ცნობილია და ახალი ველოსიპედის გამოგონება ნამდვილად არ გახლავთ.

ლილოს დასახლებას ბოლო ორი კვირაა, შეიძლება ითქვას, არჩევნების შემდეგ, ელექტროენერგია საერთოდ არ მიუღია. გადასახადებს კი მოსახლეობა იხდის, მაგრამ სად მიდის, ღმერთმა უწყის. რაც შეეხება თელასს, მათი მესვეურების მიმართ საპრეტენზიო ნამდვილად აქვთ და თუ პრობლემებს უახლოეს ხანში არ მოაგვარებენ, კრიზისით გაწამებული ადამიანები პროტესტის უკიდურეს ზომებს მიმართავენ.

საქენერგოს პრობლემები დაუგროვდა. მიზეზი კი მარტივი და უბრალოა. თელასი და ენერგო კომპანიები, რომლებიც მსხვილ მომხმარებლებად ითვლებიან, საქენერგოდან იღებენ პროდუქციას ელექტროენერგიის სახით, ხდება ელ. ენერგიის რეალიზაცია, მაგრამ შესაბამისი თანხები არ ჩანს... იმიზეზებენ იმას, რომ ვერ იღებენ საფასურს, მაშინ რატომ მიაქვთ საქენერგოდან ელ. ენერგია, თუ გაყიდვა არ შეუძლიათ?

ცნობილია, რომ არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომლის საფუძველზეც მატერიალურად დაუცველ ფენებს სახელმწიფო ეხმარება დახარჯული ელ. ენერგიის საფასურის გადახდაში. შემოწმებით დადგინდა, რომ ძირითადი შემოსავლები სწორედ სოციალურად დაუცველი ფენებისგან არის შემოსული, ხოლო შეძლებული გადამხდელები, რატომღაც „ურჩ გადამხდელებად" გვევლინებიან. ეს ბადებს ეჭვს, რომ სწორედ „ფულიან" ხალხთან ხდება გარიგებები და ამიტომაც თელასის და ენერგო კომპანიების ანგარიშზე მათი თანხები არ ხვდება.

შექმნილია საზოგადოებრივი აზრი, რომ მოსახლეობისათვის ელ. ენერგიის მიწოდებაში არსებული ხარვეზები საქენერგოს ბრალია. ამ უკანასკნელის სპეციალისტები კი დაბეჯითებით გვარწმუნებენ, თუ კი მათ მიერ მიწოდებული ელ. ენერგიის საფასურს თელასი და ენერგო კომპანიები პატიოსნად გადაიხდიან, მოსახლეობაზე ელ. ენერგიის მიწოდების პრობლემა აქამდეც გადაიჭრებოდა.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული უკიდურესად მძიმე პირობებისა, არც ერთი პურის ქარხანა უფასოდ არ იძლევა პურს... თუ მას უფასოდ არსად არ იძლევიან, რატომ ვითხოვთ უფასოდ სითბოს და სინათლეს. და თუ დღეს არ ავიმაღლეთ ხმა და ხელი არ შევუწყვეთ საქენერგოს ურთიერთობის დარეგულირებას თელასსა და ენერგო კომპანიებს შორის, იმის დაჯერება ძნელი არ არის, რომ ხვალ საერთოდ არ გვექნება შუქი და შესაბამისად, სითბო...

**იზოლდა ცირდავა**

***რედაქციისაგან:*** **გაზეთ „საქართველოს" რედაქცია იწყებს მონიტორინგს გრაფიკით ქვეყნის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის შესახებ. თბილისის ცალკეული უბნების, საქართველოს რაიონებისა და ქალაქების მოსახლეობას ვთხოვთ, მოგვაწოდონ ინფორმაცია თელასისა და ენერგო კომპანიების მუშაობაში არსებული ხარვეზების შესახებ, რითაც დიდ დახმარებას გავუწევთ და გავუადვილებთ მუშაობას საქენერგოს.**

# ბიუჯეტის წინაშე ვალში მარტო ბიზნესმენები როდი არიან



საგადასახადო სამსახურების ხელმძღვანელთა ზედიზედ შეცვლამ გეგმების ქრონიკულ შეუსრულებლობას ვერაფერი უშველა. იმისი ფიქრი, რომ ყველა უსუსური (პროფესიული გაგებით) პიროვნება თანამდებობაზე ინიშნება, საქმეში გაუცნობიერებელ კაცსაც კი ჟრუანტელს მოჰგვრის. საყვედურები და „ფეხის დაბაკუნება", ვშიშობთ, ამ შემთხვევაში, კანონმდებლებს უფრო ეკუთვნით, ვიდრე საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელებს, (ხელის დაფარებას არავისზე ვაპირებთ, ცოდვა კი გამხელილი სჯობს), რადგან სახელმწიფომ გეგმა ერთი საგადასახადო კოდექსით დაიწყო, ახლა კი...(?!) სულ სხვა კოდექსით ამთავრებს. ამასთან, მოულოდნელ პროცესებსაც თუ გავითვალისწინებთ (მაგალითისთვის რუსეთის ბოლო დროინდელი მოვლენებიც კმარა, რაც ასე მკაფიოდ აისახა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში), მხოლოდ საგადასახადო და ოპერატიულ სამსახურზე ხელის შეწმენდა, ვერაფერი ვაჟკაცობაა კანონმდებელთა მხრიდან. თუმცა, ვაჟკაცობისა რა მოგახსენოთ, ზოგიერთებს არც ისე საამაყო სიტყვად ეჩვენებათ იგი და „საცა არა სჯობსო"... ერთგვარ ხელობად უქცევიათ.

— გეგმის შეუსრულებლობაში ბევრი რამ ჩვენი ბრალია, მაგრამ ბევრიც საკანონმდებლო მხარისა. არის ზოგიერთი ფაქტორი, რომელიც გეგმის შეუსრულებლობას განაპირობებს. არც გეგმის შედგენას აქვს პრეტენზია, რომ იგი სრულყოფილია.

პრობლემების მიუხედავად, შეიძლება ითქვას მაინც წინ მივდივართ — აღძრული საქმეების მიხედვით გასულ წელთან შედარებით რაოდენობრივი ზრდა შეიმჩნევა (1997 წ.-40, 1998 წ.-60. ამ უკანასკნელიდან 12 საქმე ოქტომბერ-ნოემბერში აღიძრა). ამას ორგანულმა მხარემაც შეუწყო ხელი, ჩვენ ჩვენი მოკვლევის სამმართველო გვყავს და მოკვლევებს თავად ვატარებთ, — გვითხრა რესპუბლიკის საგადასახადო სამსახურის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა **ირაკლი კოპალეიშვილმა.**

დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენის რაოდენობრივ ზრდას მხოლოდ მოკვლევის სამმართველოს არსებობა არ უნდა განაპირობებდეს, ბუნებრივია, დავინტერესდით, ზემოხსენებული ვითარება ოპერატიული სამსახურის მუშაობის გაუმჯობესებამ გამოიწვია თუ დღევანდელმა მძიმე ვითარებამ, რის შედეგადაც შემოსავლების დამალვის მცდელობა იზრდება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ.

— როცა დანაშაულის გამოვლენისას კლება შეიმჩნეოდა რაოდენობრივი თვალსაზრისით, ამას საკანონმდებლო ცვლილებებიც განაპირობებდა. დამალული შემოსავალი საქმის აღსაძვრელად 25000 ლარს უნდა აღემატებოდეს. როცა კანონმდებელმა დამალული შემოსავლის ქვედა ზღვარი ამდენზე ასწია, დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენის შესაძლებლობა შემცირდა, რადგან ჩვენთან ძალიან ცოტაა ისეთი ფირმა, რომელსაც თუნდაც ნახევარმილიონიანი ბრუნვა აქვს (მეტზე აღარ ვსაუბრობთ) და საბიუჯეტო გადასახადი ამდენი ერიცხება. კანონმდებელმა, აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, გაითვალისწინა ყოველივე და კანონის გამკაცრების მიზნით გადასახადის დამალვის ქვედა ზღვარი 5000 ლარამდე დასწია. ეს ცვლილება დანაშაულის გამოვლენის შესაძლებლობებს გაზრდის... — ამბობს ბატონი ირაკლი.

აქვე მინდა ვთქვა ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი მძვინვარებს. გადამხდელს არანაირი პასუხისმგებლობის გრძნობა არ აწუხებს გადასახადის დამალვის შემთხვევაში. ბიუჯეტის წინაშე ვალში მარტო ბიზნესმენები როდი არიან... თითოეულ ქართველს წმინდა, პატრიოტული გულისტკივილი უნდა ამოძრავებდეს. ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორის გია ყანჩელის საქციელი მაგალითი უნდა იყოს ბევრისათვის. ბატონმა გიამ საზღვარგარეთ აღებული შემოსავლებიდან საკუთარი ნებით საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მოკლედ, დანაშაულის გამოვლენის ფაქტები იზრდება, გეგმები მაინც არ სრულდება, საბიუჯეტო კრიზისი კი სახეზეა. იმის რკვევა, ამაში საგადასახადო სამსახურია დამნაშავე თუ ოპერატიული, შორს წაგვიყვანს. უმჯობესი ის იქნებოდა, ვისაც ჯერ არს, გაერკვია, თუ რატომ შემცირდა ამ ბოლო დროს ქვეყანაში საწვავის იმპორტი. მაშინ, როცა საქართველო ევროპა-აზიას შორის დერეფნის ფუნქციას იღებს, ტრანსპორტი კი არ მცირდება, იზრდება და, შესაბამისად, საწვავის მოხმარებამაც უნდა მოიმატოს. სრულიად საპირისპირო მოვლენების მხილველი ოპერატიული დეპარტამენტი დაინტერესდა აღნიშნული ფაქტით და „აღმოჩენაც" გააკეთა. თურმე, საწვავის იმპორტის შემცირება უცხოეთიდან შემოტანილი საწვავის „გაბევრებამ" გამოიწვია საქართველოში მოპოვებულ-დამუშავებული ნავთობპროდუქტით, რომლის საწვავად გამოყენება დაუშვებელია (ფეთქებადსაშიში ნივთიერებაა).

აღნიშნული საკითხით ოპერატიული სამსახურის დაინტერესებამ შეიძლება გააკვირვოს კიდეც მკითხველი, მაგრამ... ჯერ ერთი საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა ინტერესები ვინმემ ხომ უნდა დაიცვას (უვარგისი საწვავი მძღოლთა გულისწყრომას იწვევს) და მეორეც... დიდი რაოდენობით დამალული შემოსავლები სახელმწიფოს აკლდება.

— მილიონები დააკლდა ბიუჯეტს... არ შემოვიდა საწვავი, ვერ დაფიქსირდა საბაჟოზე და დაიკარგა შემოსავალი აქციზისა და ეკოლოგიური გადასახადის სახით; როცა ამ საკითხს ჩავუღრმავდით და მოძიება დავიწყეთ, კურიოზული ფაქტი აღმოვაჩინეთ. საქართველოში მოპოვებული ნავთობპროდუქტი რამდენიმე ავტოგასამართ სადგურებში ბენზინში შეურიეს, მწარმოებელმა კი კვალის დაფარვის მიზნით, ბრძანა, კარტოფილზე გავცვალეთ და შემსყიდველმა სომხეთში გაიტანაო. „თურმე" 8 ტონა ნავთობპროდუქტი ნივით და ჟიგულით გაუტანიათ საზღვარს იქეთ!!! მსგავს ფაქტებს მოვიკვლევთ, დამნაშავეებს ვიპოვით, მაგრამ იმ ზარალს რა ვუყოთ, რაც ასეთი მავნებლური მოქმედებით იქნა გამოწვეული, — ვერ მალავს გულისწყრომას ბატონი ირაკლი.

ფალსიფიკაციის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლის დაწყება სასწრაფო, გადაუდებელი საქმეა, ოპერატიული სამსახურის ხელმძღვანელობას დიდი სურვილი კი აქვს, მაგრამ კანონი ამის საშუალებას არ აძლევთ. ამ დროს ბიუჯეტისთვის დაკარგული თანხები მარტო პენსიონერებს და საბიუჯეტო ორგანიზაციებს კი არ აკლდებათ, არამედ თვით ოპერატიულის თანამშრომლებს, რომელთაგან ბოლო ორი თვის განმავლობაში 32 კაცი გამოაკლდა უკვე კოლეგების რიგებს. უხელფასობით დატანჯულ თანამშრომლებში კორუფციის ელემენტებმა რომ მოიმატოს, გასაკვირი არ იქნება...

— უხელფასო ინსპექტორი საზოგადოებისთვის საშიშია, ამბობს პრეზიდენტი. ვინც თავის სამხრეებს და მუნდირს პატივს არ სცემს და იმ დროს და იმ დატვირთვას ვერ უძლებს, რომლითაც ჩვენ ვმუშაობთ, სამსახურიდან ვათავისუფლებთ, — ასეთია ოპერატიული სამსახურის უფროსის კომენტარი თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

ასე რომ, დამნაშავის ხატად მხოლოდ საგადასახადო სამსახურის დასახვა მართებული არ იქნება. ჯერ შინაგანად მოწესრიგებაა აუცილებელი კანონებისა და გეგმების შესრულებაზე საუბარი მერე გაადვილდება; თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში არაქართველს უფრო ეშინია გადასახადის დამალვის, ვიდრე ქართველს, აშკარად დავინახავთ, იმდენი რამ გვაქვს დასახვეწი, გასაუმჯობესებელი, ამას მარტო საგადასახადო სამსახურები ვერ აუვლენ.

**მანანა ლობჟანიძე**
**ნანა ძველაია**

# დიდუბის რაიონის დაცვის პოლიცია — საიმედოდ დაცვის გარანტი

ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ, როცა საკუთრების დაცვა არასაუწყებო დაცვის სამსახურს ევალებოდა, დაცვის პოლიციის ხსენება საზოგადოების გაოცებას გამოიწვევდა. სიტყვა პოლიცია ხომ თავისთავად დაცვას გულისხმობს, მისი უფლება და მოვალეობა ყველას და ყველაფრის დაცვა გახლავთ — იტყოდნენ ალბათ. დღეს მანქანების ქროლა დედაქალაქის ქუჩებში „დაცვის პოლიციის" წარწერით გაოცებას სულაც არ იწვევს. იგი საიმედობის გარანტი უფროა. დაცვის პოლიციის ფუნქცია საკუთრების დაცვა გახლავთ. ჩვეულებრივი პოლიციისაგან განსხვავებით უცხო თვისების მქონეც. იგი იცავს მას, ვინც ფულს უხდის (ე. ი. კომერციული სტრუქტურაა) ასევე ჩვეულებრივი პოლიციელისგან განსხვავებით არანაირ დანაშაულზე თვალს არ ხუჭავს, რადგან მთლიანად აგებს პასუხს მისი დაცვის ქვეშ მყოფ ობიექტში მომხდარ დანაშაულზე.

დიდუბის რაიონის დაცვის პოლიცია ერთ-ერთი ძლიერი განყოფილებაა. განყოფილების უფროსი პოლიციის პოლკოვნიკი, ბატონი **რეზო ბელქანია** გახლავთ. ჩვენი თავაზიანი მასპინძელი, როგორც განყოფილებაში შევიტყვეთ, ძალასა და ენერგიას არ იშურებს, რომ განყოფილებამ მაქსიმალური დატვირთვით იმუშაოს და ამასთან კმაყოფილი ჰყავდეს კლიენტი.

დღესდღეობით დიდუბის რაიონის განყოფილება 74 ობიექტს იცავს. აქედან 26 ობიექტი ბაზრები და ბაზრობებია, 13 კომერციული და სახელმწიფო ბანკი, 48 — მაღაზია და სავაჭრო ობიექტი, 2-ბინა. ისინი ჩართულია ცენტრალურ სამეთვალყურეო პულტზე და 24 საათიან კონტროლს ექვემდებარება. დიდუბის რაიონის დაცვის პოლიციის 350 კაციანი კოლექტივი საიმედოდ იცავს მათთვის მინდობილ ობიექტებს. თითოეულ ობიექტზე ხან ორი პოლიციელია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სათანადო ღილაკზე თითის დაჭერით თანამშრომლებს აფრთხილებს და 3-5 წუთის განმავლობაში დაკავების ჯგუფი შემთხვევის ადგილზეა. ალბათ, სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ აღნიშნული განყოფილების დაცვის ქვეშ მყოფ ობიექტებზე ქურდობა-ყაჩაღობა ჯერ არ მომხდარა.

— წელს სისხლის სამართლის დანაშაულის 16 ფაქტი გვაქვს გამოვლენილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ რაიმე პასუხისმგებლობა დაგვეკისრა. დანაშაული ადგილზევე იქნა აღკვეთილი: დღეს საბაზრო სისტემაა, თუკი კარგად დავიცავთ ობიექტებს და კმაყოფილი იქნება ხელმძღვანელობა, თანდათან გაიზრდება ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფ ობიექტთა რიცხვი, ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ კიდევ უფრო გავძლიერდებით, თანხები, ჩასაცმელი, ტრანსპორტი, აპარატები რაც სჭირდება პოლიციას, ყველაფერი გვექნება მეტი და უკეთესი — გვითხრა დიდუბის რაიონის განყოფილების უფროსის მოადგილემ პოლიციის ვიცეპოლკოვნიკმა **ჯონი ბელაშვილმა**. დღეს პოლიციელთა ხელფასების პრობლემა როგორ დგას რესპუბლიკაში, ყველას კარგად მოხსენება. უხელფასო პოლიციელს კი რა მოეკითხება, დანაშაულის შემსწრე თვალს უნდა დახუჭავს, უნდა გაახელს, არც აუტკივარ თავს აიტკივებს...

დიდუბის რაიონის პოლიციაში კი გაუფასურებამდე 70-80 ლარი ხელფასი მაინცდამაინც ურიგო თანხას არ წარმოადგენდა, ხელმძღვანელთა დიდი ძალისხმევის შედეგად ხელფასები თითქმის არ იგვიანებს. — როცა პოლიციელი ხელფასს იღებს, პასუხისმგებლობა მეტი აქვთ, პოლიციელმა მასზე მინდობილ საქმეზე უნდა იფიქროს, იზრუნოს და არა იმაზე, შინ მშიერ-მწყურვალ ოჯახს რა მიუტანოს — ასე ფიქრობს აღნიშნული განყოფილების ხელმძღვანელობა.

მოკლედ, ცდილობენ და აღწევენ კიდევ მიზანს. ხელფასის დაგვიანება დიდუბის რაიონის დაცვის პოლიციის თანამშრომელთათვის ერთგვარად უცხო ხილს წარმოადგენს.

— ჩვენ თანხის გარეშე ვერავის დავიცავთ, ვისაც ფული აქვს და გადაგვიხდის, დაცვის საიმედობა გარანტირებული აქვთ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ყველას, ვინც საკუთრებას ჩვენ მოგვანდობს, ღამე მშვიდად ეძინოს — აი, დევიზი, რომლითაც განყოფილება მუშაობს.

მოკლედ, ყველას, ვისაც გსურთ მშვიდად გეძინოთ, შეგიძლიათ დიდუბის რაიონის განყოფილებას მიმართოთ. თქვენ კმაყოფილი დარჩებით.

**მანანა გელოვანი**
**ნანა ძველაია**


## დიდუბის რაიონის დაცვის პოლიციის განყოფილება გთავაზობთ

ყველაზე სწრაფად, ყველაზე იაფად, საიმედოდ და ხარისხიანად!

პიროვნების, ბინების, ობიექტების, ოფისების დაცვას საიმედო ამერიკული აპარატურით, სამეთვალყურეო პუნქტზე ჩართვით და ასევე საპოლიციო დაცვით.

ღირებულება დამოკიდებულია დასაცავი ობიექტის სიდიდეზე და პოლიციელის საშტატო განაკვეთის რაოდენობაზე.

დაცვა სრული მატერიალური პასუხისმგებელია ობიექტის და პიროვნების ხელშეუხებლობაზე, ორმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

დაგვიკავშირდით და გადაგიწყვიტავთ ყოველგვარ პრობლემებს

**ჩვენი მისამართია:** წერეთლის გამზირი № 56

**ტელ:** 96-51-55 34-80-42 96-62-25 35-40-56 96-23-45 34-63-16 34-07-49 34-56-17


## 1999 წლის მთვარის კალენდარი

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი |
|---|---|---|---|---|
| ახალმთვარეობა | 9.01 | 7.02 | 9.03 | 8.04 |
| I მეოთხედი | 16.01 | 15.02 | 16.03 | 14.04 |
| სავსემთვარეობა | 23.01 | 21.02 | 22.03 | 21.04 |
| III მეოთხედი | 29.01 | 28.02 | 30.03 | 29.04 |
| IV მეოთხედი | 6.02 | 8.03 | 7.04 | 6.05 |

| | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო |
|---|---|---|---|---|
| ახალმთვარეობა | 7.05 | 5.06 | 4.07 | 2.08 |
| I მეოთხედი | 13.05 | 12.06 | 11.07 | 8.08 |
| სავსემთვარეობა | 21.05 | 20.06 | 18.07 | 16.08 |
| III მეოთხედი | 29.05 | 27.06 | 25.07 | 24.08 |
| IV მეოთხედი | 4.06 | 3.07 | 1.08 | 31.08 |

| | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|
| ახალმთვარეობა | 1.09 | 1.10 | 30.10 | 29.11 |
| I მეოთხედი | 8.09 | 8.10 | 6.11 | 6.12 |
| სავსემთვარეობა | 16.09 | 15.10 | 13.11 | 13.12 |
| III მეოთხედი | 23.09 | 22.10 | 20.11 | 20.12 |
| IV მეოთხედი | 30.09 | 29.10 | 28.11 | 28.12 |

# კინოპანორამა

ნათქვამია, ხელოვნება არის არა „რა“, არამედ „როგორ“? ამდენად, იმ მრავალ თემათა შორის თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ კი-



ნოხელოვნებაზე.

ჩვენს რუბრიკაში მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ. კინოს წარსულზე, მომავალზე, გადაღებებსა და მსახიობსა და რეჟისორების ცხოვრებაზე.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის, როგორც იტყობინებოდა ამერიკული კინოს მაცნე, მთელს მსოფლიოში 60-ათასზე მეტი კინოთეატრია.

არ ყოფილა ქვეყანა, სადაც არ იცნობდნენ კინოს.

ათი ათასობით კინოთეატრები, ასი ათასობით მაყურებელი, ახალი სტუდიები. ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ მრეწველობის ახალ სფეროში, მილიონობით დოლარი და სხვა. ეს ყველაფერი კი გვამცნობს კინოს წარმატებას მთელს მსოფლიოში.

ყველაზე პატარა ქვეყანაშიც კი არსებობდა კინოატელიე, სადაც ილებდნენ ფილმებს, აქტიური მონაწილეობა კი ამ საქმეში ფრანგებს მიუძღვით, შემდგომ მოდის — იტალია, დანია და გერმანია. 1914 წლამდე ფილმის ეროვნული წარმოება შეადგენდა 12%-ს იმ საერთო რაოდენობიდან, რომელიც ქირავდებოდა.

კინოს წარმოებაში დიდ მოგებას ნახულობდნენ მეწარმეები. ისინი სულ უფრო და უფრო ზრდიდნენ კაპიტალს.

უკვე 1914 წლისათვის ქალაქ მანჩესტერში 714 ათას მცხოვრებზე იყო 111 კინოთეატრი. ლონდონში 600 კინოდარბაზია, ნიუიორკში — 1200-ზე მეტი, გერმანიაში 2900, სადაც ყოველდღიურად 1392 ათასი მაყურებელი დადის. ეს ციფრები მეტყველებდა იმაზე, რომ პირველი მსოფლიო ომის წინაპერიოდში კინო იქცა ერთ-ერთ უდიდეს საზოგადოებრივ ძალად, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მილიონობით მაყურებელზე.

კინოს პოპულარობა წარმოქმნა მდიდრულმა კინოთეატრებმაც. მაგალითისათვის „ელექტრიკ თეატრი“ ლონდონში, რომელშიც დადიოდნენ ქალაქის ყველაზე მდიდარი მცხოვრებლები.

1908 წელს კინოს პოპულარობით დაშინებულმა მოწინააღმდეგეებმა შეცვალეს ბრძოლის ტაქტიკა. მათ გადაწყვიტეს აემალლებინათ ფილმების მორალური მხარე. გერმანიაში ფილმებს არჩვენებდნენ სკოლებში, როგორც დამატებით გაკვეთილს. ამ მოვლენამ საწინააღმდეგო გამოვლინება ჰპოვა იმაში, რომ კინოთი დაინტერესდა ყველა. თეატრის მოლვაწენი თანდათან მეგობრები გახდნენ კინოსი.

კინომ კი უკვე თამამად გაშალა ფრთები და ფეხი მოიკიდა ხალხში.

იმ პერიოდისათვის რეჟისორების უმრავლესობა ვერ ფლობდა ახალ ტექნიკას და ისინი ჯერ კიდევ თეატრალური მოდელის ქვეშ იყვნენ. მათ არ შეეძლოთ, ლიტერატურული რომანული მოდელის გამოყენება.

სამრეწველო რევოლუციის ეპოქაში 1908-14 წლებში შეინიშნება რეალისტური მიმართულებისაკენ მსვლელობა, რაც დამახასიათებელია საბაზრო კინოსათვის.

კინემატოგრაფი უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება და იძენს გამოცდილებას, თავისავე სფეროში აბამს ბევრ ნიჭიერსა და აქტიურ ადამიანს.

დღეს-დღეობით კი კინო ერთ-ერთი ძირითადი ხელოვნებაა, რომელიც აინტერესებს ყველას: განსხვავებული ასაკისა თუ მსოფლმხედველობის ადამიანებს.

## „შურისმაძიებელნი“

„შურისმაძიებელნი“ — 60-იან წლებში გამოდიოდა, როგორც ტელესერიალი და უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდისათვის მეტად პოპულარული იყო.

1998 წელს კი ტელესერიალის მოტივებზე დაყრდნობით დიდი კინოს ეკრანებზე გამოდის რეჟისორ ჯერემი ჩეჩიკის სურათი ამავე სახელწოდებით „შურისმაძიებელი“.

ფილმში მთავარ როლებს ასახიერებენ: ფეიფ ფაუნსი, უმა ტურმანი და შონ კონერი.

დამდგმელი მხატვარი კი სურათისა არის სტიუარტ კრეიგი, რომელიც სამჯერ გახდა ოსკაროსანი ფილმებისათვის „განდი“, „სახიფათო კავშირები“ და „ინგლისელი პაციენტი“.

ფილმის „შურისმაძიებელის“ გადაღება იმდენად მასშტაბური იყო, რომ ადგილი არ ჰყოფნიდა პავილიონებისათვის. ნატურალურ კადრებს ილებდნენ მდიდრულ სახლებსა თუ სასახლეებში, მათ შორის გამოირჩეოდა გიორგი ჩელსკის „ბელხაემის სასახლე“ და საზლვაო კოლეჯი — რომლებიც ინგლისური არქიტექტურის ღირსშესანიშნაობებს წარმოადგენს.

სურათში ყველაზე მეტად გამოირჩევა ცილინდრისებური დეკორაცია, რომელიც მიწისქვეშა სამალავს წარმოადგენს (ბოროტი დესანტესას).

„შურისმაძიებლის“ გადაღებების მსვლელობისას ქალაქში ქარბუქმა დაბერა და ლონდონში 30 ფუნტის ოდენობის თოვლი დადო



ტრაფალგარის მოედანზე, ამ ფაქტორს მუშაობა არ შეუჩერებია. ფილმის მწარმოებლები იძულებულნი გახდნენ სტუდიაში. აეგოთ 1:10 მასშტაბიანი დეკორაციები.

დეკორაციებში ილებდნენ ბრძოლას ემა პილისა და დესანტესას. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტორი, რომ სწორედ ამავე პავილიონში მსახიობი უმა ტურმანი ეპაექრება თავის დუბლიორს (რომელსაც კომპიუტერზე მსახიობის სახე მიახატეს).

ფილმებში დიდი ყურადღება ეთმობა სპეცეფექტებს და ეს ვალდებულება „შურისმაძიებელში“ იკისრა ნიკ დევისმა.

დევისი ცნობილია ფილმებით „დაპყრობა“, „ყოველთვის არ არის ბეტმენი“ და „ჯაჭვური რეაქცია“.

აგრეთვე ცნობილია ისიც, რომ ნიკ დევისისათვის ფილმი „შურისმაძიებელნი“ მეტად ძნელი დასამუშავებელი შეიქნა, რადგან მასშია 220 ვიზუალური ეფექტი, სამმაგი გრაფიკა და ორმაგი კომპოზიციური კადრი.

„შურისმაძიებელს“ სცენარისტმა სული შთაბერა და გამოიყვანა სურათი, რაც ფილმის ფინალში კარგად გამოიკვეთა (ჯონ სტიუარტი და ემა პილი, მზიან დღეს ბაღში ხსნიან შამპანურს და ულოცავენ ერთმანეთს საქმის კარგად დასრულებას. კამერა შორდება ფილმის გმირებს და ეკრანზე შემოდის ამბავი იმისა, თუ როგორ გამოიცნეს ბოროტი დევინტერის იარაღის საიდუმლოება. დასასრულს კი, ნაწვიმარ სახლის სახურავიდან მზის სხივი ირეკლება და ეცემა მხოლოდ სურათის გმირებს).

ასეთია მოკლე მიმოხილვა ფილმისა „შურისმაძიებელნი“. უყურეთ ფილმს საქართველოს ტელევიზიის ეკრანით და თქვენ თქვენებურად განსაჯეთ.

**ნათია კორახაშვილი**

## საქართველოს საღამოს ეთერის ფილმების პროგრამა

**სამშაბათი**

I არხი — "ცრუმენის შოუ"

II არხი — 22.10 იდეალური მკვლელობა (მელოდრამა რეჟისორი ე. დევისი)

რუსთავი 2 — 21.35 მხ. ფილმი „ფანდანგო“ (რეჟ. კევინ რეინოლდსი. მთ. როლებში კევინ კოსტნერი და ჯ. ნელსონი)

იბერია — 22.35 „გველის თვალი“ (დეტექტივი რეჟისორ იან დე პალმა მთ. როლებში ნიკოლას კეიჯი)

ევრიკა — 22.30 „შემოდგომის ლეგენდები“ (რეჟი. ედვარდ ცვიკი მთ. როლებში ბრედ პიტი და ენტონი ჰოპკინსი).

**ოთხშაბათი**

I არხი — „სამოთხე“ — სათავგადასავლო მელოდრამა (რეჟ. სტიუარტ გილარდი მთ. ფობი კეიტი)

II არხი — „მიმინო“ 22.20

რუსთავი 2 — 21.35 „ლოგინში მტერთან“ (რეჟ. ჯოზეფ რებენი მთ. როლში ჯულია რობერტსი)

იბერია — 22.35 „დუმილის ზონა“ ბოევიკი (რეჟ. ჯეფი რევენი მთ. როლში მაიკლ კელნი)

ევრიკა — 23.00 „ზოროს ნიღაბი“ (რეჟ. მარტინ კემპბელი მთ. როლ. ა. ბანდერასი, ე. ჰოპკინსი)

**ხუთშაბათი**

I არხი — „შეყვარებულები“ — მელოდრამა (რეჟ. გარის ბარტი. მთ. როლ. მერილ სტრიპი და რობერ დე ნირო)

II არხი — 22.30 „შურისგება“ (რეჟ. არტ კამაჩო. მთ. როლ. ჰელი დენიელსი, რ. ფორონჟაი)

რუსთავი 2 — 21.35 „ბლეიდ რანერი“ (რეჟ. რიდლი სკოტი მთ. როლ. ყარისონ ფორდი და შონ იანგი)

იბერია — 22.35 „რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“

ევრიკა — 22.30 „შარმატებებს გისურვებ“ (რეჟ. რიჩარდ ლაბრიე მთ. როლ. ვინსენტ დონოფრიო, გ. ჰაინს)

**პარასკევი**

I არხი — „თვალთმაქცობა“ — კომედია (რეჟ. ბარი ლევინსონი, მთ. როლ. დასტინ ჰოფმანი და რობერტდე ნირო)

რუსთავი 2— 22.05 „ჯარისკაცის სიყვარული“ (მელოდრამა. მთ. როლ. კლოტილდა კოურაუ და გიომ დეპარდიე)

იბერია — 0.40 „მეზობელი ოთახი“ (რეჟ. დევიდ ყეიმანი მთ. როლ. დევიდოჰარა და ანდიან დანბარი)

ევრიკა — 23.00 „ნაციონალური თევზაობის თავისებურებანი“ (რეჟ. ანდრიან როგოჟინი)

**შაბათი**

I არხი — „პრგორამა ილუზიონი“ — ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაურბინა ( ფსიქ. დრამა მთ. როლში ჯეკ ნიკოლსონი)

II არხი — 21.55 — „არაფერი საერთო“ (რეჟ. ჰარი მარშალი მთ. როლ. ტომ ჰენქსი)

რუსთავი 2 — 21.35 „ფსიქო — სოფლის მღვდლის შვილები“ (რობერ ყბრეისონი)

იბერია — 0.40 „ელენე ტროადან“ (რეჟ. რობერტ უაიზი მთ. როლ. ჯაკ სერნა, სტენლი ბეიკერი)

ევრიკა — 23.45 „როზმარის საყვარლები“ (რეჟ. ბერნარ ეიპინგერი)

**კვირა**

I არხი — „წარსულის მეორე მხარეს“ მელოდრამა (რეჟ. რო?? საიმენი, ჯანა ტერშონი, ??)

II არხი — 21.40 „არმაგედონი“ (რეჟ. მაიკლ ბეი მთ. როლ. ბრუს უილსი)

რუსთავი 2 — 23.10 „საახალწლო სასწაულები“ (რეჟ. შონ ტომპსონი მთ. როლ. კრისტოფერ ლოიდი)

იბერია — 22.30 „ჯორჯი ჯუნგლებიდან“ (რეჟ. სემ ბესმანი მთ. როლ. ბრენდინ ფრეიზერი)

ევრიკა — 22.30 „რეგთაიმი“ (რეჟ. მილოშ ფორმანი მთ. როლ. ელიზაბეტ მაკგოუკერნი, ჯ. ოლსონი).

**მადლობას ვუხდით სტუდია „ვიდეო ეკრანს“.**

---

### მილოცვა



ჩვენს საყვარელ ბებოს, **სონია პაპიაშვილს** ვულოცავთ 75 წლის იუბილეს და პატარა შვილთაშვილის, ჯუანშერის დაბადებას, ასევე შვილიშვილების გაბედნიერებას. ეს ახალი წელიწადი ყოფილიყოს ჩვენი ძვირფასი ადამიანისათვის ულევი სიხარულისა და ბედნიერების მომტანი.

ყველას ძალიან გვიყვარხარ, დაე, შენი თბილი სიტყვა და ღიმილი გვათბობდეს მრავალი წლების მანძილზე.

**შენი მოსიყვარულე შვილები ჯუანშერი, თემური და მალხაზი, რძლები და შვილიშვილები.**

---

ტარიელ კაპანაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ოჯახის უახლოესი მეგობარი **გურამ ბესელია**.

სამძიმარსა და თანადგომას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა სამშაბათს, 22 დეკემბერს სენაკის რაიონში, სოფელი ნოსირი.

---

### გილოცავთ!



ვულოცავთ დაბადების დღეს ჩვენს მეგობარს და კოლეგას, გაზეთ „საქართველოს“ დირექტორს **ელგუჯა ჩხაიძეს**, ნამდვილ ქართველს, მგზნებარე პატრიოტს, მამულისათვის მრავალ ომგადახდილსა და უპატიოსნეს ვაჟკაცს. გუჯა! იყავი დღეგრძელი, ჯანმრთელი, მხნე და შემართებელი, გისურვებთ მალე დაოჯახებას, შენი მიზნების ასრულებას და კვლავაც მუხლჩაუხრელ შრომას ჭეშმარიტად თავისუფალ, დამოუკიდებელ, აღორძინებულ საქართველოში. გვიმრავლოს ღმერთმა შენისთანა ქართველები.

**გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია**

**გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია**

---

### ნოდარ ბაქრაძეს



ბატონო ნოდარ! გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ბედნიერ სიცოცხლეს, პროფესიულ წარმატებებს, რამეთუ თქვენი საქმიანობა და პროფესია, როგორც დღემდე, ასევე მომავალშიც გამოადგება ჩვენს საქართველოს.

თქვენი ცხოვრების მანძილზე გეამაყოთ თქვენს მიერ აღზრდილი სტუდენტების კაცობით, ჰუმანურობითა და პროფესიონალიზმით.

**თქვენს მიერ დაარსებული სამედიცინო ინსტიტუტ „ცოდნას“ III კურსის სტუდენტები**

---

გაზეთი „ვარსკვლავები“ და ახალგაზრდული კლუბი „კოქტეილი“ 23 დეკემბერს 14 საათზე გიწვევთ საახალწლო დისკოთეკაზე 51-ე საშუალო სკოლის სპორტდარბაზში ბილეთის ფასი 2 ლარი. ტ. 99-71-68

ბილეთები შეიძინეთ მ. კოსტავას 14-ში მე-5 სართული შ-ტ 7-62.

---

### რამინ ჯანაშიას

გული ჩაგვწყდა, რამე ბიძია, შენი გარდაცვალების ამბავი რომ შევიტყვეთ. არც ისე ხანდაზმული იყავი, რომ დროულად მიიცვალაო, ეთქვა ვინმეს. შენ ჯერ კიდევ გაუძლვებოდი შენს ოჯახს ისე ღირსეულად, როგორც აქამდე უძღვებოდი, მაგრამ ავმა სენმა არ დაგაცალა ამ საწუთროში ყოფნა, შენს შვილებთან, შვილიშვილებთან, მეუღლესთან კარსმომდგარი ახალი წლის შეხვედრა. ჯერ კიდევ ბევრი გქონდა საკეთებელი, საფუსფუსო, საშრომი, მაგრამ ვაგლახ, რომ არ დაგცალდა. ნათესავებისათვის, მეზობლებისათვის, მეგობრებისათვის მუდამ თავგადადებული, ჭირში და ლხინშიც მათი ერთგული თანამდგომი და მრჩეველი იყავი, რამე ბიძია და როგორ ხშირად მოგისაკლისებთ ხოლმე, როცა შენი კეთილი რჩევა, შენი დარიგება და გვერდით დგომა დაგვჭირდება. უკანასკნელი მოჰიკანივით წახვედი იმქვეყნად, რადგან ჩვენს შტოში, ბედის სიმუხთლის გამო, ერთადერთი შენ გვყავდი უხუცესი, თუმცა უხუცესი ასაკის მიხედვით არც გეთქმოდა.

ნათელში იყავი, რამე ბიძია, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური სოფლის, რუხის მიწა, რომელსაც დაგაყრიან გულზე ხუთშაბათს შენი საყვარელი ნათესავები, მეზობლები და მეგობრები.

**სერგო, თეა, ლაშა, ნათია, საშა, ვალია, არმაზი, დიმიზი, ამრიტა ჯანაშიები**

---

### თამაზ ქირია



რა მუხთალია წუთისოფელი, ძმაო თამაზ! თითქოს გუშინ იყო, იმქვეყნად სავალ გზას რომ შეუდექი და აგერ, ორმოცი დღეც მიიწურა უკვე, რაც ჩვენთან აღარ ხარ, რაც ოჯახში, საძმოში, სამეგობროში არ ისმის შენი ომახიანი, იმედიანი ხმა. წახვედი მოულოდნელად, რადგან ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო, თუ სულთამხუთავი ასე ადვილად დაგჯაბნიდა. არ გვეგონა, ასე მშვიდად დაემორჩილებოდი ბედისწერას. შენ ხომ იმითაც გამორჩეული იყავი, რომ ცხოვრებას მედგრად ერკინებოდი. არ ეპუებოდი სიძნელეს, მძიმე ტვირთს ღირსეული ქართველი ვაჟკაცისას ღირსეულად ეზიდებოდი და შენი დაუდგრომელი სული, მშფოთვარე ენერგია, სიკეთით აღსავსე გული ალალად, უსაყვედუროდ დაახარჯე შენს საყვარელ ოჯახს, ახლობლებს, საძმოს.

განგებამ ამქვეყნად სავალი გზა მოკლე, მაგრამ შინაარსიანი დაგანათლა და ამიტომაც იყო ალბათ, რომ ვინც კი შეიტყო შენი უდროოდ აღსრულების ამბავი, უკლებლივ ყველამ ცხარე ცრემლით დაგიტირა. ყველამ შენდობა გითხრა და იმქვეყნიურ საუფლოში მარადიული სუფევა და ნათელი გისურვა.

ჩვენ, შენმა მეგობრებმა იმ ტრაგიკულ დღეებში, როცა შენი ვაჟკაცური სხეული მშვიდად და უტყვად ესვენა ოჯახში, იმდენი ცრემლი ვერ გაფრქვიეთ, როგორც ჩვენს ძმობას, ჩვენს დიდ მეგობრულ გრძნობას ეკადრებოდა, მაგრამ მერე აგაკითხეთ სამუდამო სასუფეველში და იქ მოვიოხეთ გული. კიდევ ბევრჯერ მოგაკითხავთ და ჩვენს სათქმელ-სადარდებელსაც ბევრჯერ გეტყვით, მაგრამ გულს შვებას მაინც ვერ მივცემთ ბოლომდე, მაინც ვერ მოვიოხებთ, რადგან ის ადგილი, ჩვენს გულებში რომ გეკავა, ჩვენო თამაზ, ღრმა ჭრილობითაა სავსე და მისი მოშუშება შეუძლებელია.

აქაც კარგი კაცი იყავ და იქ ნათელი დაგადგეს, ძმაო!

**შენზე მგლოვიარე შენი მეგობრები**

**მურთაზ ჩიძოვანი, ჯოტი გელენავა, შოთა კვარაცხელია, ავთო შუბლაძე, სერგო ჯანაშია, მურმან მარლანი.**

---

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე

რედაქცია: გია თვალავაძე (რედაქტორის მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), კობა კაპანაძე (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), გიორგი ლალიაშვილი (რელიგიის განყოფილების გამგე), კორესპონდენტები: კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეგეძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჟანიძე, ნანა ძველაია, იზოლდა ცირდავა.
კორექტორები: ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ